საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№ 168 (12847) 20 ივლისი ორშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი



## მინუს ერთი, პლუს ერთი



ახალგაზრდული ნაკრები ბულგარეთის ტურნირზე

» გვერდი 2

## ხურციძემ სარტყელი ისევ შემოირტყა

» გვერდი 10



## ქართული ტალღა სკანდინავიას მიადგა

ორი მნიშვნელოვანი გამარჯვება

» გვერდი 12

# ჯანოს ჯანი

## და ტალანტი საქართველოსთვის

## ანანიძემ რუსებს უარი სტკიცა



### მაკარიძემ მთავარ ლე მანში ითამაშა... ოვონოს ნაცვლად



### გოლი!

ტატანამ დრეზდენის დინამოს დაუტატანა

» გვერდი 5



» გვერდი 4

## ცვლილებები დინამოსა და ოლიმპში

მეხუთე ბრაზილიელი, ხორვატი ზადარიდან და ბელგიელი შარლერუადან

» გვერდი 2



## მოქალაქე ადებაიორი

სიტი ინგლისურ რეალად იქცა

» გვერდი 6

U-21

საერთაშორისო ტურნირი



ზაურ სვანაძე

# მინუს ერთი პლუს ერთი

## ბალკანეთში გამოუცდელებით გამოცდილებისთვის

უკვე ვწერდით, რომ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს - ორ-ორი გუნდი ევროპიდან და აფრიკიდან. ბებერ კონტინენტს მასპინძელთა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები წარადგენენ, აფრიკას კი ზიმბაბვესა და სამხრეთ აფრიკის 21-წლამდელები. სწორედ ამ გუნდთან მატჩით გახსნიან ტურნირს ჩვენი ახალგაზრდები. ეს მოხდება ხვალ, 21 ივლისს. ამავე დროს, ეს იქნება **ოთარ გაბელიას** დებიუტიც. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 18 ფეხბურთელით გუშინ ბულგარეთში გაფრინდა. გამგზავრებამდე გუნდში ცვლილება მოხდა - ცხინვალის „სპარტაკის" ნახევარმცველი **გიორგი კბილცეცხლაშვილი** ავად გახდა და ის „ვიტ ჯორჯიას" შუახაზელმა **გივი იოსელიანმა** შეცვალა. გაბელიას გუნდი სრულად ასე გამოიყურება:

მეკარეები - **რევაზ თევდორაძე** (გაგრა), **თორნიკე ზარქუა** (მგლები/ბაია);

მცველები - **ლაშა თოთაძე** (დინამო კიევი, უკრაინა), **გურამ ადამაძე, ლაშა კასრაძე, ილია გამრეკლიძე** (ყველა ვიტ ჯორჯია), **გიორგი ხატიაშვილი** (ლოკომოტივი), **ივანე კილაძე** (გურია);

ნახევარმცველები - **ირაკლი ხუციძე** (მგლები/ბაია), **ვალერი ბოლქვაძე** (დინამო თბილისი), **თორნიკე თარხნიშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, თემურ შონია** (ყველა სპარტაკი), **გივი იოსელიანი** (ვიტ ჯორჯია), **გელა გოგიტიძე** (ბათუმი);

თავდამსხმელები - **გიორგი ჭედია** (უკლუბოდ), **ბესიკ ჩიმაკაძე** (ამერი), **ილია პავლიაშვილი** (გაგრა).

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენები პირველ მატჩს 21 ივლისს, სამხრეთ აფრიკასთან გამართავენ, 24-ში ბულგარეთს ეთამაშებიან, ხოლო დასკვნით ტურში - ზიმბაბვეს.

ბულგარეთში გამგზავრებამდე გაბელიას თანაშემწე **ზაურ სვანაძეს** გავესაუბრეთ.

*„ბუნებრივია, გაბელიას ყველა საჭირო ინფორმაცია გადავეცი. უკვე რამდენიმე კვირაა, ჩვენ ერთად ვმუშაობთ სელექციაზე. რა თქმა უნდა, ამ პროცესში მეკარეების მწვრთნელი დავით გვარამაძეცაა ჩართული. ბოლოს ზესტაფონში, „ჰელსინგბორგთან" მატჩს დავესწარით. ხიდეშელის, დაუშვილისა და ბენაშვილის თამაში ვნახეთ. გარდა ამისა, ხშირი კონტაქტი გვაქვს ჩვენს სიაში მყოფი ფეხბურთელების მწვრთნელებთან და მათგან ვიღებთ ინფორმაციებს მოთამაშეთა მდგომარეობის, მათი სათამაშო კონდიციების თაობაზე"*, - გვითხრა სვანაძემ.

შეამჩნევდით, ახალგაზრდულ ნაკრებში რამდენიმე ახალი ფეხბურთელია. სვანაძე განმარტავს:

*„ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირი ფიფას მიერ დადგენილ თარიღს არ ემთხვევა და კლუბებს ფეხბურთელების დათმობას ვერ დავაძალებთ. თანაც, ჩვენი გუნდები ევროტურნირებზე ასპარეზობენ, შესაბამისად, „ვიტ ჯორჯიამ", „დინამომ" და „ზესტაფონმა" ნაკრების ნამყვანი ფეხბურთელები ვერ გამოუშვეს. ამით კი გაჩნდა საშუალება, რომ ახალგაზრდულის გაფართოებული შემადგენლობიდან სხვა ფეხბურთელები გამოვცადოთ. მაგალითად, მეკარე თორნიკე ზარქუა პირველადაა გამოძახებული. ან თუნდაც „ვიტ ჯორჯიას" მცველები - ლაშა კასრაძე და ილია გამრეკლიძე, ამავე გუნდის ნახევარმცველი გივი იოსელიანი. 21-წლამდელთა სიაში პირველადაა „ლოკომოტივის" მცველი გიორგი ხატიაშვილი, შუახაზელები - ვალერი ბოლქვაძე თბილისის „დინამოდან", გელა გოგიტიძე „ბათუმიდან", ფორვარდი ილია პავლიაშვილი „გაგრადან". თავდამსხმელ გიორგი ჭედიას 21-წლამდელებში მხოლოდ 15 წუთი აქვს ნათამაშები... ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც საერთაშორისო მატჩებში გამოცდილება ძალზედ მწირი, ან საერთოდ არ აქვთ. ამ მოთამაშეებს ბულგარეთში საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის ჩინებული შანსი ექნებათ. წინ 3 მატჩია და ვნახოთ, ვინ როგორ გამოიჩენს თავს. ასე რომ, ყველაფერი თავად ფეხბურთელებზეა დამოკიდებული".*

სელექცია აუცილებელია, მაგრამ ამას გარდა, მწვრთნელებს სხვა სამუშაოც აქვთ, რაც 5 სექტემბრამდე უნდა მოესწროს. სწორედ ამ დღეს იწყება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. საინტერესოა, სელექციის გარდა, კიდევ რა კონკრეტული საქმეა გასაკეთებელი. სვანაძე განაგრძობს:

*„სელექციას არ შევწყვეტთ, ეს პროცესი გარკვეული დოზით კვლავ გაგრძელდება. ბულგარეთის ტურნირზე და შემდეგაც, რა თქმა უნდა, ტაქტიკა-სტრატეგიაზე, რგოლებს შორის შეთამაშებაზე ვიმუშავებთ. 12 აგვისტოს ლიტვასთან გვაქვს ამხანაგური შეხვედრა და ეს ჩვენთვის კარგი რეპეტიცია უნდა იყოს საკვალიფიკაციო ეტაპის წინ".*

რაც შეეხება ბულგარეთის ტურნირსა და ამ გათამაშების მნიშვნელობას, ამაზე ბატონმა ზაურმა შემდეგი გვითხრა:

*„ბულგარეთში კარგ გუნდებთან მოგვიწევს დაპირისპირება. ბუნებრივია, ეს ჩვენს ფეხბურთელებს გამოცდილებას შესძენს. ამ ტურნირს თავისი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს. მზადების პროცესში სამხრეთ აფრიკასთან, ბულგარეთთან და ზიმბაბვესთან თამაში როგორც მთლიანად გუნდს, ისე თითოეულ ფეხბურთელს უთუოდ წაადგება. ჩვენი ნაკლი და პლუსი ნათლად წარმოჩნდება, ფეხბურთელებს მივუთითებთ, თუ რაზე მოუწევთ მეტი მუშაობა".*

ბალკანეთში გამგზავრებამდე ახალგაზრდულმა ნაკრებმა საკონტროლო შეხვედრაში ცხინვალის „სპარტაკი" 6:4 დაამარცხა. მოგება კარგია, მაგრამ 4 გოლის გაშვება, სხვა თუ არაფერი, დამაფიქრებელია. იგივე აზრისაა სვანაძეც.

*„აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ პრობლემა სახეზეა. 4 გაშვებული გოლი ძალიან ბევრია. ზოგიერთი ფეხბურთელისგან ნამდვილად მეტს ველოდით. არ დავაკონკრეტებ, თუ რომელ ფეხბურთელებს ვგულისხმობ. იმედი გვაქვს, ისინი საკუთარ თავზე მუშაობას გააგრძელებენ და მომავალში უკეთ ითამაშებენ".*

**დავით ცაბაძე**

---

დინამო

# ხორვატი და ბელგიელი

ლატვიიდან ჩამოსვლის მერე მესამე დღეა თბილისის „დინამო" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ემზადება. შეგახსენებთ, რომ ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოსა" და ლიეპაიას „მეტალურგსის" განმეორებითი შეხვედრა ხუთშაბათს, 23 ივლისს ჩატარდება. აქვე, ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ მატჩის დაწყების დრო (18 საათი) შესაძლოა ბევრს არც მოსწონდეს - აქაოდა, ივლისის ბოლოა და აუტანელი სიცხე იქნებაო. სხვისი რა მოგახსენოთ და ჩვენი აზრით, მაინც მართებულად მიგვაჩნია თამაშის ადრე დაწყება; ელემენტარულად, მცირე, მაგრამ რაღაც უპირატესობა წინასწარვე გვექნება სტუმრებთან. რა თქმა უნდა, მხოლოდ კლიმატური პირობებისადმი (ამ შემთხვევაში - ჰაერის მაღალი ტემპერატურის) ბევრად „მედეგი" დამოკიდებულების იმედზე ვერ ვიქნებით - მთავარი მაინც მოედანზე ბრძოლა და ჩვენთვის სასურველი შედეგის მიღწევაა. სხვათა შორის, ხშირად ყოფილა, როცა ქართულ კლუბებს... იმის გამო შექმნიათ სერიოზული პრობლემები, სტუმრად თამაში მეტისმეტად ადრე ან პირიქით - „არანორმალურად" გვიან რომ ჰქონიათ. მაგალითებსაც გავიხსენებთ: 2003 წელს, თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე რომ დამარცხდა „ტირანასთან", ალბანეთის დედაქალაქში მატჩი იქაური დროით 17 საათზე დაიწყო. ახლა, ტემპერატურას აღარ იკითხავთ? 50 გრადუსს არც არაფერი აკლდა; უფრო ადრე, კონკრეტულად კი 1996 წლის შემოდგომაზე, იმავე „დინამოს" პორტუგალიაში ფიასკო რომ შეემთხვა „ბოავიშტასთან", ის მატჩი ჩვენი დროით... ღამის სამის ნახევარზე დაიწყო!...

...ნამდვილად არ ვიცით, რამდენი გრადუსი იქნება 23 ივლისს, სამაგიეროდ, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „დინამოში" ორი ახალწვეული გამოჩნდა. ვაღიაროთ - სხვებთან ერთად, ჩვენც, ცოტა არ იყოს, მთლად აღტაცებით ვერ ვუცქერდით ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის აქტიურობას „სატრანსფერო ბაზარზე". კი, „ვიღაც-ვიღაცები" გამოჩნდნენ, მაგრამ - ყველა დაიწუნეს; აკი თქვა კიდეც ჩვენთან ერთ-ერთ ინტერვიუში „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** - გუნდში მხოლოდ ისეთმა ლეგიონერებმა უნდა ითამაშონ, ადგილობრივებს „ათი თავით" რომ აჯობებენო. ვნახოთ, როგორ შთაბეჭდილებას დატოვებენ „დინამოს" ახალწვეულები, ყოველ შემთხვევაში, მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში საბოლოო პასუხი, წესითა და რიგით, უკვე გვეცოდინება. ახლა კი „დინამოს" პოტენციურ ახალწვეულებსაც გავეცნოთ: **დამიან მიკელის** და **ანტე იურიევიჩს.** მიკელი ბელგიელია, ამპლუით ცენტრალური ნახევარმცველია და უკანასკნელი ორი სეზონი ამ ქვეყნის უმაღლესი ლიგის გუნდში „შარლერუაში" თამაშობდა. 24 წლის მიკელი 179 სმ სიმაღლის არის და 75 კგ-ს იწონის. გასულ სეზონში 12 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა; „შარლერუამდე" კი ოთხი სეზონი ჰოლანდიის მეორე ლიგის გუნდში „მაასტრიხტში" თამაშობდა. სხვათა შორის, გასულ სეზონში მიკელი ბელგიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ასისტენტიც იყო. მოკლედ, მკვეთრად გამოხატული პლეიმეიკერია...

ანტე იურიევიჩი ხორვატია და უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სამშობლოში, კერძოდ, „ზადარში" თამაშობდა (თავის დროზე ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც ასპარეზობდა). 28 წლის იურიევიჩი ამპლუით მარცხენა მცველია. ანუ, იმ პოზიციის ფეხბურთელია, თბილისის „დინამოში" უკვე წლებია, ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურად რომ მიიჩნევა. მიკელიმ ჯერ მხოლოდ ორი ვარჯიში ჩაატარა გუნდთან ერთად, იურიევიჩი სულაც გუშინ გამოჩნდა დიღმის ბაზაზე; თუმცა, ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე პოტენციური ახალწვეული ურიგო შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს.



დამიან მიკელი

**გია ტუხაშვილი**

---



გუშინ აკინომ გოლი გაიტანა

ოლიმპი

# ესეც მეხუთე ბრაზილიელი...

ვარშავის „ლეგიასთან" განმეორებითი მატჩის წინ რუსთავის „ოლიმპმა" ერთ-ერთი უკანასკნელი სპარინგ-მატჩი ჩაატარა. გუშინ რუსთაველთა მეტოქე ბოლნისის „სიონი" იყო და მატჩი „ოლიმპის" გამარჯვებით დამთავრდა - 4:1. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს: **ლონლაძემ, რეხვიაშვილმა, აკინომ** და **გორდეზიანმა**, სტუმართაგან - **ბაჯელიძემ.** „სიონთან" მატჩში „ოლიმპის" შემადგენლობა ასეთი იყო:

**ალავიძე (შეყრილაძე) - სეთურიძე (გორდეზიანი), ალექს ფრაგა, ლომიძე (რეხვიაშვილი), ლონლაძე (გილაური) - ჟერონიმო, დობროვოლსკი (ზ. ჭელიძე), ბაბუნაშვილი (სირბილაძე), ჩოკო (კაკულია) - აკინო, ჟონატასი (გ. ჩხეტიანი).**

როგორც ატყობთ, შეუცვლელად მხოლოდ სამმა ფეხბურთელმა ითამაშა და სამივე ბრაზილიელი გახლავთ: ცენტრალური მცველი **ალექს ფრაგა,** მარჯვენა ნახევარმცველი **ჟერონიმო** და უკანდახეული ფორვარდი **აკინო.** სხვათა შორის, თანამემამულეებისგან განსხვავებით, ჟერონიმო „ოლიმპს" ყველაზე გვიან შეუერთდა და გუშინ პირველად ითამაშა ახალი გუნდის შემადგენლობაში. „ლეგიასთან" წინა კვირას ჩატარებული შეხვედრისგან განსხვავებით, „ოლიმპის" შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებაც ვიხილეთ: დისკვალიფიკაციის ვადა დაუმთავრდა გუნდის კაპიტანს შოთა ბაბუნაშვილს, ხოლო ცენტრალურმა მცველმა **ნოდარ მაჭავარიანმა** ვარშავაში მცირე ტრავმა მიიღო. ჟერონიმოზე უკვე გითხარით და ახლა ხუთივე ბრაზილიელი უკვე „ოლიმპის" სრულფასოვან წევრად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, რუსთავულ კლუბში სოლიდური დანაკლისიც არის - ამიერიდან სხვადასხვა კლუბში ვიხილავთ **გიორგი მეგრელაძეს, გოგა ფიფიას, გიორგი ჭელიძესა** და **გელა ხუბუას.** სხვათა შორის, ხუბუამ მალევე მოასწრო ახალი გუნდის „პოვნა" და გუშინვე „სიონის" შემადგენლობაში... „ოლიმპის" წინააღმდეგ იასპარეზა.

**გია ტუხაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ქართული ფეხბურთი

საკონტროლო მატჩი



რევაზ გოცირიძემ თავი დუბლით გამოიჩინა

# ორმხრივად სასარგებლო სპარინგი

ზაფხულის მოსამზადებელ პერიოდში, „სატრანსფერო ბაზარზე" ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ცხინვალის „სპარტაკი" იყო. ახალი სეზონისათვის მზადების დაწყების წინ გუნდის თუ კლუბის ხელმძღვანელობაშიც სერიოზული ცვლილება მოხდა: მთავარ მწვრთნელად **ვლადიმერ ხაჩიძე** დაინიშნა, ვიცე-პრეზიდენტად კი **მურთაზ შელია.** თუმცა, მთავარი მაინც ფეხბურთელების მასობრივი „მიდი-მოდი" იყო - დღე არ გავიდოდა, „სპარტაკის" ვარჯიშზე რამდენიმე პოტენციური ახალწვეული არ გამოჩენილიყო. სხვანაირად ვერც იქნებოდა: იმ ფეხბურთელებიდან, ვინც წინა ჩემპიონატშიც „სპარტაკის" ღირსებას იცავდნენ, გუნდში მხოლოდ ორი ახალგაზრდა ნახევარმცველი (**თეიმურაზ შონია, ნიკოლოზ მაისურაძე**) დარჩა. მოკლედ, ახალ მთავარ მწვრთნელს სერიოზული სასელექციო მუშაობის ჩატარება მოუხდა. და აი, ახლა უკვე შეიძლება ისიც ითქვას, რომ „სპარტაკის" დაკომპლექტება, ფაქტობრივად, დასრულებულია. ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ხმაურიანი ტრანსფერების მხრივ ოდნავ „სიმშვიდეა", თუ არ ჩავთვლით „სპარტაკის" უკანასკნელ ახალწვეულს - **ლევან მელქაძეს.** ჰო, წინა კვირაში - **დავით ოდიკაძე**, ახლა - ლევან მელქაძე. ვერაფერს ვიტყვით, მართლაც სოლიდური და ფასეული შენაძენით შეუძლიათ იამაყონ „სპარტაკის" ხელმძღვანელებმა. ახლა კი „სპარტაკის" უკანასკნელ საკონტროლო მატჩზეც ვისაუბროთ. „სპარტაკის" მეტოქე საქართველოს ახალგაზრდული (21-წლამდე) ნაკრები იყო და ეს შეხვედრა ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებისთვის ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იყო ბულგარეთში გამგზავრების წინ. შეგახსენებთ, რომ **ოთარ გაბელიას** გუნდი ბულგარეთში საერთაშორისო ტურნირზეა მიწვეული. სხვათა შორის, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში „სპარტაკის" სამი ფეხბურთელიც იყო მიწვეული: ზემოთ ხსენებული შონია და მაისურაძე პლუს გუნდის ახალწვეული **გიორგი კბილცეცხლაშვილი.** სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს არ გაუმართლა - ავადმყოფობის გამო ეს საკონტროლო მატჩიც გაუცდა და, ალბათ, ვერც ბულგარეთში გაემგზავრება. აღსანიშნავია, რომ შონიამ და მაისურაძემ პირველი ტაიმი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში იასპარეზეს, მეორეში კი უკვე - „სპარტაკში".

ანგარიში მატჩის პირველსავე წუთზე გაიხსნა - თავი **რევაზ გოცირიძემ** გამოიჩინა; მე-16 წუთზე კი... თემურ შონიამ „საკუთარ გუნდს" საპასუხო გოლი გაუტანა, რასაც მალე **ბესიკ ჩიმაკაძის** შედეგიანი დარტყმა მოჰყვა და ახალგაზრდული ნაკრებიც დაწინაურდა. თუმცა, ჯერ კიდევ პირველ ტაიმში კიდევ სამი გოლი ვიხილეთ: „სპარტაკიდან" გოცირიძემ და მელქაძემ იყოჩაღეს, ხოლო ახალგაზრდულიდან - ჩიმაკაძემ. 3-3 - აი, ასე მორჩა პირველი ტაიმი, თუმცა გოლები მეორე ტაიმშიც გავიდა; ოღონდ, მელქაძის ერთ გოლს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ერთდროულად სამით უპასუხა - „დუბლი" **ილია პავლიაშვილმა** გაიფორმა, ერთიც - **ვალერი ბოლქვაძემ.** საბოლოოდ, ეს უხვგოლიანი შეხვედრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გამარჯვებით (6:4) დასრულდა. „სპარტაკმა" მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: **ბათიაშვილი - შ. ჯიშკარიანი, ბოიომო, გ. კვახაძე, ჩალაძე - ოდიკაძე, დიდავა, ცხადაძე, შალამბერიძე - რ. გოცირიძე, ლ. მელქაძე.** მეორე ტაიმში შეცვლაზე შემოვიდნენ: შონია, მაისურაძე, **კეტაშვილი** და **ჩივაძე.** აქვე უნდა ვთქვათ, რომ უკვე მერამდენე დღეა, „სპარტაკს" ტრავმის გამო ვერ ეხმარება ერთ-ერთი გამორჩეული ნახევარმცველი **ირაკლი ჩირიკაშვილი**; თუმცა, როგორც ამ გუნდის მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა** გვაცნობა, ჩირიკაშვილი სულ მალე სრულფასოვან ვარჯიშს შეძლებს. უახლოესი საკონტროლო მატჩი კი „სპარტაკს" 21 ივლისს აქვს დაგეგმილი „ლოკომოტივთან". ამას გარდა, არ არის გამორიცხული, რომ 24 ივლისს „სპარტაკმა" სპარინგმატჩი ჩაატაროს ბაქოს „ოლიმპიკთან". ყოველ შემთხვევაში, აზერბაიჯანის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდისგან წინასწარი თანხმობა უკვე მიღებულია. თანაც, როგორც შევიტყვეთ, ამ ერთი კვირის განმავლობაში „სპარტაკში" კიდევ შეიძლება ორი-სამი ცნობილი (ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე) ფეხბურთელიც ჩაირიცხოს.

დაბოლოს, „სპარტაკთან" საკონტროლო შეხვედრაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობასაც გავეცნოთ: **თევდორაძე - კილაძე, ადამაძე, თოთაძე, გამრეკლიძე - თარხნიშვილი, შონია - ხუციძე, ბოლქვაძე, მაისურაძე - ჩიმაკაძე.** მეორე ტაიმში შეცვლაზე შემოვიდნენ: **ზარქუა, კასრაძე, ხატიაშვილი, გოგიტიძე, პავლიაშვილი, ჭედია, იოსელიანი, გოგიაშვილი.**

**გია ტუხაშვილი**

## სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება, მატჩები |
|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია<br>რამაზ მუმლაძე | კვალინიძე (?) | **კახელიშვილი** (ლოკომოტივი) | 10 ივნისიდან, თბილისში<br>**სიმურგი 3:3**<br>24 ივნისიდან უკრაინაში<br>**კრივბასი 0:0, ელიოსი 2:0**<br>**ტავრია 2:3**<br>**კრიმტეპლიცა 4:1**<br>**სტალი 1:4**<br>**მარიბორი 0:0** |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | **ოვონო** (ლემანი, საფრანგეთი), გველესიანი (?), **ტომიჩი** (?), სპასოევიჩი (არმინია, გერმანია) | **სომხიშვილი** (მგლები), მიკელი (შარლერუა, ბელგია), იურიევიჩი (ზადარი, ხორვატია) | 8 ივნისიდან თბილისში,<br>28 ივნისიდან გერმანიაში<br>**ზელბიცი 3:1, პიოსნეკი 2:1,**<br>**ჰესენ კასელი 2:2,**<br>**კარლ ცაისი 0:0**<br>**მეტალურგსი 1:2** |
| ოლიმპი<br>ვარლამ კილასონია | **გ. ონიანი** (ზესტაფონი), **დეკანოსიძე, გ. ნოდარის ძე ჭელიძე, ქუცურუა, ახალაია, აკუასაგა, ჩიკვილაძე, სტურუა (სიმურგი, აზერბაიჯანი),** ხუბუა (სიონი), მეგრელაძე, ფიფია, გ. ნუგზარის-ძე ჭელიძე | **ზ. ჭელიძე** (სიონი, იჯარით), **მიკუჩაძე** (სიონი, იჯარა დაუმთავრდა), **გ. ნუგზარის ძე ჭელიძე, შეყრილაძე** (ბორჯომი), **ლომიძე** (ლოკომოტივი), **სირბილაძე** (სპარტაკი), ალექს ბრაგა, ჟოზე ჩოკო, ჟონატას კარდოზო, ანდერსონ აკინო, ჟერონიმო (ხუთივე ატლეტიკო პარანაენსე) | 10 ივნისიდან რუსთავში<br>**სიმურგი 2:1 სიმურგი 3:2,**<br>**თბილისი 7:3, სიმურგი 0:0**<br>**ბ 36 2:0, 2:0, ლეგია 0:3,**<br>**სიონი 4:1** |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | **კაკალაძე, კვესიეშვილი** (ორივე - სამტრედია), **ლ. მელქაძე, ბოიომო** (სპარტაკი), **ჩასემი (?), ს. თოდუა (?)** | **აფციაური** (გაბალა, აზერბაიჯანი), **გ. ონიანი** (ოლიმპი), **დვალი** (დაჩია, მოლდოვა), **ელიავა** (სკონტო, ლატვია), **მეშველიანი ცხადაია (გაგრა)** | 1 ივნისიდან ზესტაფონში, 12 ივნისიდან სლოვენიაში<br>**პოლონია 1:1** (შეწყდა),<br>**პოლონია 2:2, მარიბორი 1:1,**<br>**გორიცა 0:0, ლისბერნი 5:1, 6:0,**<br>**ჰელსინგბორგი 1:2** |
| სიონი<br>ოთარ კორღალიძე | **ზ. ჭელიძე** (ოლიმპი, იჯარით), **მიკუჩაძე** (ოლიმპი, იჯარა დაუმთავრდა), **ალადაშვილი** (კარიერა დაასრულა), შალამბერიძე, დიდავა, რ. გოცირიძე (სამივე სპარტაკი), შავგულიძე, ჯ. მუჯირი, კაკაშვილი, დავითაშვილი, შენგელია | იმედაძე (ტორპედო) ქურასბედიანი, ოქროპირიძე (ორივე - სპარტაკი), ა. ალავიძე (უგუნდოდ), ზ. ავალიანი (უზბეკეთი), ზუხბაია (?), რაქვიაშვილი (მგლები), სილაგავა, ხუბუა (ოლიმპი) | 21 ივნისიდან - ბოლნისში<br>**სპარტაკი 3:1**<br>**IBSU 2:2, გაგრა 2:1,**<br>**ლოკომოტივი 1:2,**<br>**ოლიმპი 1:4** |
| ლოკომოტივი<br>გელა სანაია | **ზამთარაძე, კიკნაძე** (მთავარი მწვრთნელები), **კახელიშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ლომიძე** (ოლიმპი), ჩირიკაშვილი (სპარტაკი), **გ. ლომაია** (ინტერი, აზერბაიჯანი), შ. კვანტალიანი (გაგრა), დიაკვნიშვილი, კ. მახარაძე (უზბეკეთი), ფოფხაძე (სომხეთი), ბარბაქაძე | **სანაია (მთავარი მწვრთნელი),** ხატიაშვილი, ტიკურიშვილი, ჩიმაკაძე (სამვე ამერი), ქვილითაია (მარტვილი) | 22 ივნისიდან - თბილისში<br>**სიონი 2:1** |
| გაგრა<br>ვიქტორ კაშჩეი | **კოზლენკო, ცხადაძე (სპარტაკი),** ლ. ნოზაძე, **ცხადაია (ზესტაფონი),** ჩარგეიშვილი | **პავლიაშვილი** (ბორჯომი), ბარბაქაძე, შ. კვანტალიანი (ორივე - ლოკომოტივი), ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი (ორივე - სამტრედია), ნადირაშვილი (ამერი), კოლესნიკი, **ბერბატი,** (ორივე - უკრაინა), ატერე (ნიგერია) | 15 ივნისიდან თბილისში,<br>21 ივნისიდან ურეკში<br>**სამტრედია 1:0, სამტრედია 2:2**<br>**კოლხეთი (ფ) 1:1, მგლები 2:0,**<br>**სპარტაკი 2:3**<br>**სიონი 1:2** |
| სპარტაკი<br>ვლადიმერ ხაჩიძე | **გაბელაია** (მთავარი მწვრთნელი), **სირბილაძე** (ოლიმპი), ოქროპირიძე, ქურასბედიანი (ორივე - სიონი), მეტრეველი, გ. იაშვილი, თურმანიძე, შ. ლონლაძე, კოდალაევი, მგალობლიშვილი, ქორიძე, თარხნიშვილი, ჯანგიძე (სამტრედია) | **ხაჩიძე** (მთავარი მწვრთნელი), ჩირიკაშვილი (ლოკომოტივი), ბათიაშვილი (მესხეთი), ბოიომო (ზესტაფონი), ჩალაძე (მარტვილი), კბილცეცხლაშვილი (თბილისი), შალამბერიძე (სიონი), ცხადაძე (გაგრა), კეტაშვილი (ყაზახეთი), შ. ჯიშკარიანი (აზერბაიჯანი), დიდავა, რ. გოცირიძე (ორივე სიონი), ს. თოდუა (ზესტაფონი), ოდიკაძე (დიორ ეტო, უნგრეთი), ლ. მელქაძე (ზესტაფონი) | 20 ივნისიდან თბილისში<br>**სიონი 1:3**<br>**გაგრა 3:2**<br>**IBSU 3:2**<br>**ახალგაზრდული ნაკრები 4:6** |
| მგლები/ბაია<br>ბესიკ შეროზია | **სომხიშვილი** (დინამო), ბაკარანძე, ჯოჯუა (ორივე - სამტრედია), რაქვიაშვილი (სიონი), მალიჩავა, ჟიშკარიანი, ა. ბაჯელიძე, ხუხია, ჭითანავა, ჭკადუა, ჭედია, ინჯგია, პ. დათუნაიშვილი | მაქაცარია, ზ. ექონია, გუგუჩია, პაჭკორია, ზარქუა, კვეკვესკირი, სვირავა, ქვარცხავა, აფაქიძე, ჟვანია, ვართაგავა, გ. ქირია, ნ. შონია, სიხარულია, წურწუმია, დ. კუტალია, რაფავა, ძალამიძე (ყველა - ბაია), ხუციძე (ამერი), ჩისამბა ლუნგუ (ზამბია), ბოადი (განა), შუჩკინი (ასტრახანი, რუსეთი), რ. ჯიქია | 15 ივნისიდან - ზუგდიდში,<br>1 ივლისიდან - ურეკში<br>**გაგრა 0:2**<br>**ბათუმი 0:0**<br>**სამტრედია 3:1** |
| სამტრედია<br>ვალერიან ჩხარტიშვილი | ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი (ორივე - გაგრა) | ჯოჯუა, ბაკარანძე (ორივე - მგლები), კვერენჩხილაძე (გურია), კაკალაძე, კვესიეშვილი (ორივე - ზესტაფონი), ჩომახიძე (მარტვილი), ხარძეიშვილი (ხობი), ლ. ვაშაკიძე (მესხეთი), ფირცხალავა (ზაკარპატიე, უკრაინა) ბენდელიანი (ამერი), ტყებუჩავა, ჯანგიძე (სპარტაკი) | 20 ივნისიდან სამტრედიაში<br>**გაგრა0:1, გაგრა 2:2,**<br>**მგლები\ბაია 1:3** |

შენიშვნა: **მუქი შრიფტით გამოყოფილია გადაწყვეტილი ტრანსფერები**

ტალანტი

# არანაირი რუსეთი, მხოლოდ საქართველო!

## ჯანომ რუსები უარით გაისტუმრა

16 წლის ვირტუოზმა **ჯანო ანანიძემ** მოსკოვის „სპარტაკს“ „ყუბანთან“ გასვლითი სათასო შეხვედრა რომ მოაგებინა, რუსმა მიმომხილველებმა დაწერეს - არაფრად ღირს ის მატჩი, რომელიც ანანიძის საოცარი ტექნიკითა და გოლებით არ არის გაჯერებულიო.

ერთი სიტყვით, ფაქტია - **კარპინი** ჯანოს მთავარი გუნდისთვის ამზადებს და ეს ალბათ მომავალ სეზონში მოხდება. ამავე დროს, ვუნდერკინდს, რომელიც ქობულეთში ეზიარა ფეხბურთს, რუსებიც უსინჯავენ კბილს - თავიანთი ნაკრებისთვის უნდათ. ცხადია, თუნდაც რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ჯანოს ტალანტი ნამდვილად არ აწყენდა.

ანანიძის გადაბირების მცდელობა პირველი არ არის. ამ ბოლო დროს იყო **გია გრიგალავას** საგა, რომელიც დასრულდა იმით, რომ ქართველმა არჩევანი რუსეთის ნაკრების სასარგებლოდ გააკეთა.

ვიცით, რომ ანანიძესაც არაერთხელ შესთავაზეს რუსეთის მოქალაქეობა და 17-წლამდელთა ნაკრებში თამაშიც, მაგრამ ფეხი არ ჩაუვიდათ - ჯანოსგან უარი მიიღეს.

ამ რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ რუსულ ვებგვერდზე „სპარტაკის“ ჭაბუკთა გუნდის თავკაც **ვლადიმირ ბოდროვის** ინტერვიუ გამოქვეყნდა. ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა რუსულ კლუბებში მოთამაშე უცხოელი ტალანტების გამოყენებას ამ ქვეყნის ასაკობრივი ნაკრებებისთვის, რომელზეც ბოდროვი პასუხობს: *„ეს პრობლემა უკვე მოხსნილია, ანანიძე რუსეთის მოქალაქე გახდა“.*

ბუნებრივია, გადამოწმება ვცადეთ. თავად ჯანოსთან დაკავშირება ვერ შევძელით. championat.ru-სა და თავად „სპარტაკის“ ოფიციალურ ვებგვერდზე ანანიძე საქართველოს მოქალაქედაა მოხსენიებული. ფეხბურთელთან დაახლოებულმა ერთ-ერთმა წყარომაც გვითხრა - ჯანოს მოქალაქეობსა არ შეუცვლია, თუმცა საამისოდ რუსებს არაერთი მცდელობა ჰქონდათო...

ამის შემდეგ ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** დავუკავშირდით:

*„უკვე მესამე წელია, ანანიძე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში თამაშობს. ის ჯერ კიდევ ჰერბერტ ცანკერმა გამოიძახა 17-წლამდელებში. ამ გუნდის შემადგენლობაში მან ბოლოს აპრილში, ავსტრიაში ჩატარებულ ელიტრაუნდში იასპარეზა... დანამდვილებით ვიცი, რომ მას რამდენჯერმე შესთავაზეს რუსეთის მოქალაქეობა, მაგრამ უარი თქვა. ჭაბუკთა ნაკრებში გამოძახებისას ის ყოველთვის ხალისით ჩამოდიოდა... ბოლო ხანებში მასთან კონტაქტი არ მქონია, მაგრამ მოქალაქეობა რომ შეეცვალა, ჩემი სამუშაოდან გამომდინარე, ეს აუცილებლად მეცოდინებოდა - რუსეთის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობას ავტომატურად კარგავ. ჯანოს კარგად ვიცნობ, ის ამაზე წამსვლელი არ არის, მით უმეტეს, მისით ეროვნული ნაკრების თავკაცი ექტორ კუპერიც დაინტერესდა და როგორც ჩანს, მალტასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახებს კიდეც. ჯანოს თამაშის ფრაგმენტები ვნახე და აღფრთოვანებული ვარ. უკვე წარმომიდგენია, რა რეაქცია ექნება თავად კუპერს“.*

რაკი ჯანოსთან დაკავშირება კვლავ არ ხერხდებოდა, მის მამას, ბატონ **ამირან ანანიძეს** შევეხმიანეთ.

*„ტყუილია, არანაირი რუსეთის მოქალაქეობა! ისინი ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ ჯანო, რომ რუსეთის მოქალაქეობა მის კარიერას შეუწყობდა ხელს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ - რუსებმა მტკიცე უარი მიიღეს. ჯანომ „სპარტაკთან“ კონტრაქტი გააგრძელა. ხელშეკრულება ახლა 2+3 სისტემითაა, მაგრამ 2 წლის მერე შეგვიძლია, გადავხედოთ კონტრაქტს და სურვილის შემთხვევაში, აღარ გავაგრძელოთ. კონტრაქტის გაფორმებისას კიდევ შესთავაზეს ჯანოს რუსეთის მოქალაქეობა... თუმცა ჯანომ, არ დავასახელებ და, სოლიდური თანხაც იუარა. მან განაცხადა, რომ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ნაკრებში ითამაშებს. „სპარტაკის“ ხელმძღვანელობასთან ამ საკითხზეც გვქონდა საუბარი. ვითარებიდან გამომდინარე, შემიძლია გითხრათ, რომ ეს თემა ამოიწურა - ჯანო მხოლოდ საქართველოს ნაკრებში ითამაშებს“.*

**დავით ცაბაძე**



ჯანო ანანიძე

საკონტროლო მატჩი

# ლოკომოტივის ჭაბუკური გამოცდები

საგურამოში, თბილისის „ლოკომოტივისა“ და ფეხბურთის ფედერაციის საზიარო ბაზაზე, ერთმანეთს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები და „ლოკომოტივი“ ეპაექრნენ. შეხვედრა 17-წლამდელებმა მოიგეს - 1:0. მეორე ტაიმში გოლი **ვაკო ყაზაიშვილმა** გაიტანა.

ჭაბუკთა ნაკრები: **ლეგაშვილი, მაჭავარიანი, გაგნიძე, დოლიძე, ტვილდიანი, ხუბუა, ყაზაიშვილი, არველაძე, კოშაძე, სხირტლაძე, ხოჭოლავა.** შეცვლაზე შევიდნენ: **ჩაფიძე, გაჩეჩილაძე, მოგელაძე** და **ფარჯიკია.**

რაც შეეხება „ლოკომოტივს“, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გელა სანაიამ** გვითხრა, რომ 17-წლამდელთა ნაკრებთან ის ფეხბურთელები ათამაშა, რომლებიც გასინჯვაზე ჰყავდა, ხოლო ოპტიმალურ შემადგენლობას 21 ივლისს ცხინვალის „სპარტაკს“ დაუპირისპირებს. სანაია ამ თამაშში ვერ დაიხმარს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებულ **ხატიაშვილსა** და **ჩიმაკაძეს**, და კიდევ ტრავმირებულებს - **გუშარაშვილსა** და **მოდებაძეს.**

ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ შეკრებაზე მყოფ ჩვენს 17-წლამდელებს კი უახლოესი შეხვედრები 26 და 28 ივლისს ელით ესტონელ თანატოლებთან. მატჩები, სავარაუდოდ, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება.

*„ტრავმირებული გიორგი ჭანტურია, ალბათ, 21 ივლისს შემოგვიერთდება, რადგან კუნთის ნაწილობრივი ჩანყვეტის შემდეგ მკურნალობა კარგად მიდის. ითამაშებს თუ არა ის ესტონელებთან? ამაზე გიპასუხებთ, რომ არც ერთი ფეხბურთელის ჯანმრთელობას არ დავაყენებ კითხვის ნიშნის ქვეშ. შესარჩევი რაუნდი ოქტომბერში გველის და სწორედ მაშინ მოგვეთხოვება შედეგი, მთავარია, რომ ყველა ფეხბურთელი იმ დროისთვის გვყავდეს მწყობრში“,* - გვითხრა 17-წლამდელთა დამრიგებელმა **გიორგი დევდარიანმა.**

**დავით თავართქილაძე**

გამოხმაურება



ბუბა ტყავაძე

# ვისაც ასეთი ეჭვი გაუჩნდა, ის თავადაა ამის გამკეთებელი

რამდენიმე დღის წინათ, „ვიტ ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა **მალხაზ კაკაურიძემ** სკანდალური განცხადება გააკეთა. ის ამტკიცებს, რომ გასულ ჩემპიონატში ვიტელთა თამაშის სამი ჩანაწერი „მარიბორს“ საქართველოდან ინკოგნიტო წყარომ მიაწოდა. კაკაურიძემ ხსენებული სამი მატჩიდან მხოლოდ ერთი - „დინამოსთან“ თამაში დაასახელა და იქვე მიანიშნა, რომ „დინამოს“ არ ადანაშაულებდა:

*„...არც ერთ კლუბს არ ვადებ ხელს, მათ შორის, არც „დინამოს“, მაგრამ ფაქტია, საქართველოდან სლოვენიელებს ვიღაცამ ჩვენი სამი თამაშის ჩანაწერი მიაწოდა და ამით ხელი მოითბო“.*

მოკლედ, კაკაურიძის კომენტარში ერთადერთი გუნდია ნახსენები - ეს არის „დინამო“. არ არის გასაკვირი, რომ ლატვიიდან დაბრუნებულ **ბუბა ტყავაძეს** ამ თემაზე კომენტარის გაკეთების სურვილი გაუჩნდა. აი, რა გვითხრა „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა:

*„ჯერ ერთი, თუ ვინმეს მცირედი ეჭვი მაინც ღირსის, რომ ჩვენ, ევროტურნირებზე ქართული გუნდის რომელიმე მეტოქეს თამაშის ჩანაწერი ან რაიმე ინფორმაცია მივაწოდეთ, ეს მისივე პრობლემაა... მეორე, ვისაც ასეთი ეჭვი გაუჩნდა, ესე იგი, ის თავადაა ამისი გამკეთებელი. მესამე, თბილისის „დინამო“ ქართული ფეხბურთის ფლაგმანია და ასეთ რამეს არასოდეს იკადრებს. მეოთხე, ჩვენ „დინამოს“ მეტოქის შესწავლით, მატჩისთვის მზადებითა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებით ვიყავით დაკავებულნი... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუ ვინმეს მეტოქეზე ინფორმაციის მოპოვების პრობლემა აქვს, ვეტყვით, რომ საამისოდ არაერთი გზა არსებობს, სპეციალური სააგენტოებიც კი ფუნქციონირებს, რომელიც მსურველს ამ საქმეში დაეხმარება. ბოლოს და ბოლოს, მიღებული ფორმაა, რომ მეტოქეები ერთმანეთს თამაშის ჩანაწერებს უცვლიან“.*

**დავით ცაბაძე**

ევროპის ლიგა

მეტოქე

# ლეგია ისევ იგებს

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „ოლიმპის“ მეტოქემ ვარშავის „ლეგიამ“ საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. „ლეგიას“ მოწინაალმდეგე პოლონეთის პირველი ლიგის გუნდი პლოცკის „ვისლა“ იყო და ეს შეხვედრა ვარშაველთა გამარჯვებით დასრულდა - 2:0.

აღსანიშნავია, რომ ეს მატჩი 17 ივლისს გაიმართა. ანუ, „ლეგია“-“ოლიმპის“ შეხვედრიდან ერთი დღის მერე. თუმცა, „ლეგიას“ მთავარმა მწვრთნელმა **იან ურბანმა** უმთავრესად ის ფეხბურთელები ათამაშა, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზის გამო „ოლიმპთან“ მატჩში პოლონური გუნდის ძირითადში ვერ მოხვდნენ. პლოცკის „ვისლასთან“ ვარშავის „ლეგიას“ შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა:

**ვოიცეხ სკაბა (46. კონსტანტინ მახნოვსკი) - იაკობ რჟეჟნიჩაკი, არტურ იედრჟეიჩიკი, პანჩე კუმბევი, მარჩინ კომოროვსკი - იაკუბ კოსეცკი, არიელ ბორისიუკი, როჟერ გერეირო, მაცეი რიბუსი (46. მიროსლავ რადოვიჩი) - მარჩინ მეჩიელი, მარჩინ სმოლინსკი.**

აქედან, „ოლიმპთან“ შეხვედრაში ძირითადში მხოლოდ მიროსლავ რადოვიჩი იყო, ვინც მეორე ტაიმში მაცეი რიბუსმა შეცვალა („ვისლასთან“ კი პირიქით მოხდა). ამათ გარდა, რუსთაველთა წინააღმდეგ შეცვლაზე ითამაშეს: ნახევარმცველმა არიელ ბორისიუკმა და ვეტერანმა ფორვარდმა მარჩინ მეჩიელმა. მოკლედ, „ლეგიას“ მთავარ მწვრთნელს ორი სრულფასოვანი შემადგენლობა ჰყავს და, როგორც იტყვიან, საქმე ასარჩევადაც აქვს. ეგ კი არა, ჯერ კიდევ ვერ ვარჯიშობს „ლეგიას“ კიდევ სამი (!) ფეხბურთელი: 31 წლის ნახევარმცველი **ტომაშ იარჟებოვსკი,** 28 წლის ტანმაღალი თავდამსხმელი **ბართოლომეო გჟელაკი** და გუნდის და, საერთოდ, პოლონეთის ჩემპიონატის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი, 27 წლის **ტაკესურე კინიამა.**

სამაგიეროდ, დიდი შანსია, რომ რუსთავში ვიხილოთ „ლეგიას“ უპირობო ლიდერი, პოლონეთის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი **როჟერ გერეირო.** შეგახსენებთ, რომ 27 წლის გერეიროს თავის დროზე ცნობილ გუნდებში უთამაშია: „კორინთიანსი“, „ფლამენგო“ (ორივე - ბრაზილია), „სელტა“ (ესპანეთი). „ლეგიაში“ 2006 წელს ჩაირიცხა, წარმოშობით ბრაზილიელმა მერე პოლონეთის მოქალაქეობაც მიიღო და 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში უდავოდ, ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. „ოლიმპთან“ პირველი შეხვედრა გერეირომ დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, ახლა კი, ალბათ, ძირითადში ვიხილავთ. რუსთაველმა ფეხბურთელებმაც ყველა ღონე უნდა იხმარონ, ამ ნიჭიერ ნახევარმცველს თავისუფლად მოქმედების საშუალება რომ არ მისცენ. აი, ახლაც, პლოცკის „ვისლასთან“ საკონტროლო მატჩში სწორედ გერეიროს აქტიურობით გაიტანა მეორე გოლი **მარჩინ მეჩიელმა.** ეს 87-ე წუთზე მოხდა. პირველი გოლი კი **მარჩინ სმოლინსკის** ანგარიშზეა.

**გია ტუხაშვილი**



როჟერ გერეირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 12 აგვისტოს მოლოდინში...

## მუჯირს არ ჩაუთვალეს, ციმაკურიძემ გააფუჭა

12 აგვისტოს ექტორ კუპერის ნაკრები მალტაში ამხანაგურ მატჩს გამართავს, გუნდში გამოძახებულია 16 წლის ჯანო ანანიძე, რომელიც, თუკი ამ შეხვედრაში ითამაშებს ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდება, ვისაც ეროვნული ნაკრების მაისურა მოურგია. ქართველ გულშემატკივარს რეკორდზე მეტად სხვა რამ ანაღვლებს, თუკი ჯანო ითამაშებს, თითქმის გამოირიცხება, რომ რუსები მის „წართმევას“ შეძლებენ. აი, ითამაშებს თუ არა საკითხავი ესაა - ჩვენ მწარედ გვახსოვს გია გრიგალავას გაკვეთილიც, ასე რომ, წინასწარ ნურაფერს ვიტყვით...

ლეგიონის მორიგი მიმოხილვა ჯანო ანანიძით დავიწყეთ. რა ვქნათ, ეს ბიჭი არ გვაძლევს საშუალებას ყურადღება სხვაზე გავამახვილოთ. მის ასაკში ლევან ყენიაც კი არ ყოფილა ასე გამორჩეული - შაბათს „სპარტაკის“ დუბლებში ჯანო ანანიძემ გოლი და საგოლე პასი მიითვალა და იმავე დღეს კონტრაქტი გაახანგრძლევა რუსეთის „სახალხო გუნდთან“...

### გოლი აუტიდან

მოსკოვის „სპარტაკმა“ ახალი კონტრაქტი ორ ფეხბურთელს გაუფორმა, ჯანო ანანიძეს და 18 წლის **პაველ იაკოვლევს**, თუმცა რამდენხნიანია კონტრაქტი „სპარტაკის“ ოფიციალური საიტი აღარ იუწყება. სხვა რუსული წყაროები ამტკიცებენ, რომ ხელშეკრულება ქართველ ვუნდერკინდთან მრავალწლიანია. შაბათს, ჯანომ დუბლების ჩემპიონატის მატჩში ითამაშა „კრილია სოვეტოვის“ წინააღმდეგ, იგორ ნეტოს სახელობის სტადიონზე დუბლების შეხვედრას 700 მაყურებელი დაესწრო. ჯანო სასტარტო შემადგენლობაში იყო, ისევე როგორც **ირაკლი ჭეჟია**, ქართული წარმოშობის მცველი. სწორედ ის მოატყუა სტუმართა ფორვარდმა და 65-ე წუთზე ანგარიში გახსნა. მალე მასპინძლებმა გაათანაბრეს, ხოლო 70-ე წუთზე ანანიძემ 18 მეტრიდან დაარტყა, გოლკიპერმა მოიგერია, თუმცა დასწრებაზე კარგად ითამაშა **გულტიაევმა** „სპარტაკი“ დააწინაურა. საგოლე პასის შემდეგ გოლის დროც მოვიდა, 79-ე წუთზე ჯანომ მარცხენა ფლანგიდან „პარაშუტი“ გაუშვა კარის მიმართულებით, რადგან კარგად შეამჩნია „კრილიას“ მეკარე წინ იყო გამოსული, ბურთი გოლკიპერს თავზემოდან გადააფრინდა და კარში ჩაეშვა - 3:1. ანანიძემ ლამის გვერდითი ხაზიდან გაიტანა, წარმოიდგინეთ, გაოგნებულმა გოლკიპერმაც კი ტაში დაუკრა თავდამხსმელს. „სპარტაკის“ ოფიციალურმა საიტმა მატჩის მიმოხილვას ასეთი სათაური გაუკეთა: „ჯანოს მორიგი შედევრი“. 89-ე წუთზე ქართველი **კაიუმოვით** შეცვალეს. ანანიძემ დუბლებში მე-7 გოლი გაიტანა და მე-6 საგოლე პასი მიითვალა. „სპარტაკის“ დუბლები 33 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობენ ჩემპიონატს. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრმა **ირაკლი კვეკვესკირმა** 90 წუთი ითამაშა „ყუბანის“ დუბლებში „მოსკვას“ წინააღმდეგ - 0:2.

### არ ჩაუთვალეს...

რუსული პრემიერლიგის მე-14 ტურში ჩემპიონი „რუბინი“ ყაზანში დამარცხდა ცსკა-სთან - 1:2. სასტარტო შემადგენლობაში **ლაშა სალუქვაძე** იყო, მან 90 წუთი ითამაშა და championat.ru-სგან 5,5 ქულა დაიმსახურა. **დავით კვირკველია** ოდენ სათადარიგო იყო. მარცხის მიუხედავად, „რუბინი“ 27 ქულით პირველ ადგილზეა. **დავით მუჯირის** „ლოკომოტივი“ „ამკარს“ ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. ქართველმა ნახევარმცველმა 76-ე წუთამდე ითამაშა. გამოცვლამდე წუთით ადრე დავითმა ძალზე სახიფათოდ დაარტყა ბურთი მასპინძელთა კარში, მეკარემ ბურთი კუთხურზე მოიგერია, თუმცა ერთ-ერთმა მცველმა მას გადასვლა არ აცალა და უკან შემოაბრუნა, მუჯირის განმეორებითი დარტყმა შედეგიანი აღმოჩნდა, თუმცა მსაჯმა შენიშნა, რომ ბურთმა მაინც გადაკვეთა კარის ხაზი და მუჯირის გოლი გააუქმა. პირველ ტაიმში „მუმუს“ გატანის შესანიშნავი შანსი ჰქონდა, კონტრშეტევისას ის მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მას დუელი ვერ მოუგო. championat.ru-მ მუჯირს 6 ქულა დაუწერა. „ლოკომოტივი“ 18 ქულით მე-8 ადგილზეა.











ნალჩიკის „სპარტაკი“ ფსკერისკენ ეშვება, შაბათს ქართველთა გუნდი მოსკოვის „დინამოს“ ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. **გოგიტა გოგუა** 61-ე წუთზე შეცვალეს (სტუმრები 1:0-ს იგებდნენ). რუსული მედია ახლაც გაოცებულია, რატომ გამოცვალა **იური კრასნოჟანმა** ყველაზე აქტიური ფეხბურთელი, ამის შემდეგ „სპარტაკმა“ შუახაზი წააგო, შემდეგ კი - მატჩიც. **ალექსანდრე ამისულაშვილმა** კი შეუცვლელად ითამაშა, მე-80 წუთზე „დინამომ“ მისი დახმარებით გაათანაბრა, **დმიტრი ხოხლოვის** დარტყმას ქართული რიკოშეტი დაეხმარა. championat.ru-მ ორივე ჩვენებურს 5,5 ქულა დაუწერა. ნალჩიკელები 9 ქულით ბოლოსწინა ადგილზე არიან. წუხელ „ტერეკმა“ შინ „ზენიტი“ 3:2 დაამარცხა. **ლევან გვაზავამ** სასტარტოში ითამაშა, ის 81-ე წუთზე შეცვალეს. ქართველმა 6 ქულა დაიმსახურა.

### დებიუტში გაფუჭებული პენალტი

უკრაინის ვიშალიგაში პირველი ტურის მატჩები გაიმართა. **ლადო ბურდულის** მარცხიან დებიუტზე „ზაკარპატიაში“ უკვე მოგითხრეთ. სხვა თამაშები უქმეებზე გაიმართა. ლუგანსკში „ზარიასა“ და „არსენალის“ მატჩი რომ ნულოვანი ფრით დასრულდა ქართველის დამსახურებაა - 23-ე წუთზე **გიორგი ციმაკურიძეს** („ფუტბოლის“ შეფასება - 5,5) კიეველთა მეკარე **ვიტალი რევამ** აულო. გიორგიმ შეუცვლელად ითამაშა, სტუმართა რიგებში 81-ე წუთზე გამოჩნდა **ლაშა ჯაკობია**. ლვოვის „კარპატი“ „ვორსკლას“ ესტუმრა და 2:1 მოუგო. გამარჯვებაში ჩვენი ლეგიონერის, **სანდრო გურულის** წვლილი მინიმალურია, სანდრო მოედანზე ოდენ 85-ე წუთზე გამოჩნდა. წლეულს სანდრო პრესტიჟული ათნომრიანი მაისურით ასპარეზობს. „ტავრიამ“ 2:0 მოუგო ზაპოროჟიეს „მეტალურგს“, **ვასილ გიგიაძეს** მსაჯის მიერ დამატებულ პირველ წუთზე მოუწია მოედანზე შესვლამ.

**სანდრო კობახიძემ** „დნიპროს“ პირველივე მატჩში გაიტანა... ოღონდ დუბლების ჩემპიონატში. „დნიპროს“ დუბლები დონეცკში „მეტალურგთან“ 2:3 დამარცხდნენ. სანდრო მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე და 74-ე წუთზე გაიტანა. კობახიძეს გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმულს მცველი გადაელობა.

### დევდარიანი სიაში არაა

დანიაშიც დაიწყო ახალი საფეხბურთო სეზონი. **დავით დევდარიანის** „ორჰუსი“ დღეს ითამაშებს სასლიგის პირველ ტურში, მისი მეტოქე „ოლბორგია“. სამწუხაროდ, მატჩის 18-კაციან განაცხადში ქართველის გვარი არ ფიგურირებს.

ფინეთის მეორე დივიზიონ იკონენში **გიორგი ოსიტაშვილის** „კოოტეპე“ „ჰამეენლინას“ სტუმრად 0:0 დაუზავდა. ქართველმა ლეგიონერმა 90 წუთი ითამაშა. **თორნიკე ბახტაძის** და **ლუკა გალდავას** იიპპო სტუმრად პკ-35-თან დამარცხდა - 0:2. ორივე ქართველი სასტარტოში იყო, ბახტაძე 77-ე წუთზე შეცვალეს. „კოოტეპე“ 17 ქულით მე-9 ადგილზეა, იიპო 16 ქულით მეათეა.

ყაზახეთში დისკვალიფიკაციის შემდეგ მწვანე მინდორს დაუბრუნდა „ატირაუს“ ნახევარმცველი **გიორგი ფეიქრიშვილი**, მან 55-ე წუთამდე ითამაშა „ტარაზთან“ მატჩში (1:1). **ლაშა ჭელიძემ** 90 წუთი ითამაშა, მისმა „ჟეტისუმ“ კი „კაზახმისი“ 2:1 დაამარცხა. წინა ტურში ქართველმა მცველმა დუბლი შეასრულა, ახლა მას თავი აღარ გამოუჩენია. **ზვიად ჯელაძეს** არ უთამაშია „ვოსტოკის“ მორიგ მარცხში „ოკჟეტპესთან“ - 0:1. „ჟეტისუ“ 24 ქულით მე-5 ადგილზეა, „ატირაუ“ 21 ქულით მეშვიდეა, ხოლო „ვოსტოკს“ 10 ქულა აქვს (3 დააკლეს) და მე-12 ადგილზეა.

### კოზი კი, ყენია არა

გერმანიის T-Home-ის თასის გათამაშებაში „შალკე“ მე-4 ადგილზე გავიდა. ქართველთა გუნდმა ჯერ „შტუტგარტთან“ დათმო 0:1, შემდეგ კი მესამე ადგილისთვის მატჩიც წააგო „ბაიერნთან“ - 1:2. 60-წუთიან მატჩში **ლევან კობიაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა ორივე მატჩში დაცვის მარცხენა ფლანგზე. 52-ე წუთზე ის მიუნხენელთა კარს კუთხურის ჩაწოდების შემდეგ. **ლევან ყენია** არ გამოჩენილა ამ ტურნირზე.

### შაშიაშვილმა დაიწყო

უნგრულმა „დიორი ეტომ“ მორიგი ტესტმატჩი გამართა და პირველი მარცხიც იგემა. **რატი ალექსიძის** გუნდი რუმინულ „პოლიტექნიკას“ დანებდა - 0:2. რატიმ 90 წუთი ითამაშა.

**გიორგი შაშიაშვილის** ახალმა კლუბმა, ბერძნულმა „ერგოტელისმა“ საკონტროლო მატჩში 0:0 ითამაშა ბუქარესტის „რაპიდთან“. გიორგი შაშიაშვილმა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, ქართველი ლეგიონერი მე-60 წუთზე შეცვალეს.

### მჭედლიძემ ისევ შეაგდო

ავსტრიაში შეკრებაზე მყოფმა „პალერმომ“ მორიგ სპარინგში სამოყვარულო კლუბი „ვილახერი“ 8:0 გაანადგურა. **ლევან მჭედლიძემ** ამ შეხვედრის პირველი ტაიმი ითამაშა და 24-ე წუთზე გოლი გაიტანა.

**ზურაბ ხიზანიშვილის** „ბლექბერნმა“ ხორვატიაში მინიტურნირში ითამაშა. სპლიტში ერთტაიმიანი მატჩები გაიმართა, რომლებშიც ინგლისურ კლუბთან ერთად, „ჰაიდუკი“ და ფუნშალის „ნასიონალი“ მონაწილეობდნენ. მადეირელებთან დაპირისპირებაში ზურაბ ხიზანიშვილმა ითამაშა. მისი საჯარიმო ჩაწოდების შემდეგ **ბენი მაკარტიმ** ბურთი ხარიხას გაარტყა, თამაში კი 0:0 მორჩა. მეორე თამაშში ჩვენებურს აღარ უთამაშია, „როვერსმა“ კი „ჰაიდუკთან“ 0:1 დათმო.

### მაკარიძემ ოვონო შეცვალა

ჩეხეთის პირველობის გენერალურ რეპეტიციაში **დიმიტრი ტატანაშვილის** ახალმა გუნდმა „კლადნომ“ 1:2 წააგო დრეზდენის „დინამოსთან“. მატჩის 22-ე წუთზე ჩეხთა ერთადერთი გოლის ავტორი ქართველი ფორვარდია. ეს მისი პირველი გოლია „კლადნოს“ ფორმით.

ფრანგული ლიგა 1-ის „ლე მანი“ ახალი ჩემპიონატისთვის ორი „ჩვენებურით“ ემზადება, ორივე გოლკიპერია, ყოფილი დინამოელი და გაბონის ნაკრების მეკარე **დიდიე ოვონო** და **გიორგი მაკარიძე**. პრალის „დუკლასთან“ მატჩში ორივემ ითამაშა. მატჩი ფრანგებმა 2:0 მოიგეს, ასე რომ, ოვონომ და მაკარიძემ კარი მშრალად შეინახეს. პირველი ტაიმი გაბონელმა ითამაშა, მეორე - ქართველმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ასე დახვდნენ ემანუელ ადებაიორს მანჩესტერში

ტრანსფერი

# ადებაიორიც ისტლენდელია

„მანჩესტერ სიტიმ“ თავისი „საზაფხული კოლექცია“ 25 წლის ტოგოელი თავდამსხმელით, **შეი ემანუელ ადებაიორით** შეავსო. ახლა, მარტივად: „სიტიმ“ „არსენალისგან“ 25 მილიონ ფუნტად ადებაიორი იყიდა. ფეხბურთელსა და ისტლენდელებს შორის ხუთწლიანი კონტრაქტი გაფორმდა, ანუ ადებაიორი „სიტის“ ახალშეძენილ თავდამსხმელებს, **როკე სანტა კრუსსა** და **კარლოს ტევესს** შეუერთდა. შეგახსენებთ, რომ მანჩესტერელებს ჩამოთვლილ ახალწვეულთა გარდა ავანგარდში კიდევ ჰყავთ **რობინიო, კრეიგ ბელამი, ვალერი ბოჟინოვი** და **ბენჯანი**.

*„მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც „სიტის“ გულშემატკივართა წინაშე გამოვალ და ვაჩვენებ, რაც შემიძლია,* - თქვა ადებაიორმა პრესკონფერენციაზე, - *მე ფეხბურთის სათამაშოდ ვარ დაბადებული და პატარაობიდან სხვა არაფერი მიკეთებია. მინდა „სიტიში“ ახალი ისტორია შევქმნა, მინდა ფანებს სამუდამოდ დავამახსოვრო თავი. მწვრთნელმა და თავმჯდომარემაც სწორედ ეს მითხრეს. ჩემგან ისინიც იმავეს ელოდებიან, ასე რომ, შეჯიბრების დაწყებაღა მინდა, მეტი არაფერი“.*

ტოგოელი ფორვარდის შეძენამ ისტლენდელთა ზაფხულის დანახარჯი 80 მილიონ ფუნტამდე გაზარდა. რაც შეეხება ბრიტანეთში მუშაობის უფლებას, ეს პრობლემა მას „არსენალშივე“ მოგვარებული ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ ლონდონში ადებაიორი სამ-ნახევარი სეზონის წინ „მონაკოდან“ გადავიდა. მაშინ „მეთოფეებმა“ მასში 7 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. „არსენალში“ გატარებულ წლებში თავდამსხმელმა 142 შეხვედრაში 62 გოლი შეაგდო. „მანჩესტერ სიტის“ გარდა ადებაიორის შეძენა „მილანსა“ და „ჩელსისაც“ სურდათ.

ხოლო კაცმა, რომელმაც ტოგოელი 7 მილიონად იყიდა და ისე დახვეწა, რომ მას ფასი 25 მილიონამდე აუვარდა, განაცხადა, ადებაიორთან განშორება, რასაკვირველია, უსიამოვნოა, თუმცა, ამწუთას მისი შემცვლელის ძებნას არ ვაპირებო. ეს კაცი, ბუნებრივია, **არსენ ვენგერი** გახლავთ:

*„ჯერჯერობით არავის ყიდვას ვაპირებდით, თუმცა ფული გვაქვს და თუ შესაფერის ფეხბურთელს შემოგვთავაზებენ, შეძენაზე უარს არ ვიტყვით. მართალია, ადებაიორის სახით დიდი თავდამსხმელი წაგვივიდა, მაგრამ ორი შემტევი მოთამაშე, ტომაშ როსიცკი და ედუარდო დაგვიბრუნდნენ, ასე რომ, საპანიკო არაფერია. გარდა ამისა, ჩვენს გუნდში არიან სხვა მოთამაშეებიც, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში გამოკვეთილ ფორვარდებად გამოვიყენებ. შემიძლია ჩამოგითვალოთ: ნიკლას ბენდტნერი, რობინ ვან პერსი, თეო უოლკოტი და ანდრეი არშავინი. ვიმეორებ, ადებაიორზე, ცხადია, გული მწყდება, მისი ძალა ჩვენ დაგვაკლდება, „მანჩესტერ სიტის“ კი შეემატება, თუმცა, საკითხს შეგვიძლია ბიზნესის კუთხითაც შევხედოთ: გავიხსენოთ, რამდენად ვიყიდეთ ადებაიორი, შემდეგ შევადაროთ იმას, რამდენად გავყიდეთ და ყველაფერი ნათელი გახდება“.*

ცხადია, ტოგოელი თავდამსხმელის შეძენით ძალიან კმაყოფილია „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელი **მარკ ჰიუზი**.

*„საფრანგეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ემანუელმა თავი დაიმკვიდრა როგორც პრემიერლიგის ერთ-ერთმა უძლიერესმა თავდამსხმელმა და, ამიტომაც, მისი „სიტიში“ გადმოსვლა დიდ საქმედ მიმაჩნია. ბოლო ორი სატრანსფერო ფანჯრის განმავლობაში ჩვენ ისეთი ფეხბურთელები ვიყიდეთ, რომ, ვფიქრობ, ამიერიდან, პრემიერლიგის უძლიერეს გუნდებს ტოლს არ დავუდებთ. ადებაიორის დამატებაც სწორედ ჩვენი კლუბის პოლიტიკასა და მიზნებზე მეტყველებს. ის ჩვენს თავდასხმას სიმძლავრესაც შემატებს და დააბალანსებს კიდეც. მანუელი მოძრავია, სწრაფი და ბურთს კარგად იმორჩილებს. ამრიგად, „მანჩესტერ სიტიში“ თავს სხვადასხვა ნაკრების ვარსკვლავები იყრიან“.*


ემანუელ ადებაიორი უკვე მანჩესტერ სიტის ფორმაში




საპრანსფერო ამბები

# მთელი მანჩესტერი და ტერი

აი, გალიზიანებაც ასეთი უნდა: განა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „მანჩესტერ სიტი“ ერთი და იმავე მანჩესტერის ორი გუნდი არ არის? და განა ქუჩა, რომელზეც „სიტიმ“ „იუნაიტედიდან“ მასთან გამოქცეული არგენტინელი ფორვარდის **კარლოს ტევესის** უზარმაზარი პლაკატი გამოფინა, თანაბრად არ ეკუთვნით როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის ფანებს? მერედა, იცით, რა აწერია პლაკატს? მას აწერია: „კეთილი იყოს“ შენი მობრძანება მანჩესტერში“! დააკვირდით, „სიტიში“ კი არა, მანჩესტერში! ჰოდა, ჩვენც სწორედ ამას ვამბობდით: გალიზიანებაც ასეთი უნდა!

შეგახსენებთ, რომ ტევესი ირანული წარმოშობის აგენტ **კია ჯურაბჩიანს** ეკუთვნოდა, „იუნაიტედში“ კი, ისევე როგორც მანამდე „ვესტ ჰემში“, ქირით იყო. „იუნაიტედმა“ არგენტინელის გამოსყიდვა არ იჩქარა, მთელი ორი წელიწადი ფეხი ითრია და საბოლოოდ მიიღო ის, რომ ჯურაბჩიანს „სიტიმ“ 25 მილიონ ფუნტზე მეტი გადაუხადა და შუა მანჩესტერში დიდი პლაკატიც გამოჭიმა.

მოგეხსენებათ, „სიტის“ მწვრთნელის, **მარკ ჰიუზის** შემდგომი ნაბიჯი „ჩელსისთვის“ არც მეტი, არც ნაკლები, კაპიტნის, **ჯონ ტერის** წართმევაა. „ლელოს“ მკითხველისთვის ცნობილია ისიც, რომ ლონდონელები გასული კვირის მიწურულს, სეზონისწინა შეკრებაზე ამერიკაში გაფრინდნენ და ტერი გუნდს ჩვეულებრივ გაჰყვა, მაგრამ ბატონი ჰიუზი ბრძანებს, რომ ამას მისთვის მნიშვნელობა არ აქვს და მზად არის სატრანსფერო სეზონის ბოლო წამამდე დაიცადოს.

*„ის, რომ ტერი გუნდთან ერთად გაფრინდა, გასაკვირი სულაც არ არის.*



კარლოს ტევესის უზარმაზარი პლაკატი მანჩესტერში

*ჩვენ ამას ველოდით, რადგან ის ჯერჯერობით „ჩელსის“ ფეხბურთელია და კლუბის წინაშე ვალდებულებები აქვს. ვაჭრობა კი სულ სხვა სფეროა. ამ სფეროში საწყის ეტაპზე ვართ: ჩვენ პირობები შევთავაზეთ და უარი მივიღეთ. რას იზამ, ხანდახან ცოტა დაცდა სჯობს. გადავწყვიტეთ, სატრანსფერო ფანჯრის ბოლომდე დავიცადოთ“,* - თქვა „სიტის“ თავკაცმა.

„ჩელსის“ თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** კი ჰიუზს ლამის აზრის დასრულება არ აცადა, უპასუხა, რომ ჯონ ტერი „ლურჯების“ კაცია და ასეთად დარჩება: *„ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული. ტერის „ჩელსისთან“ კონტრაქტით კიდევ სამი წელი აკავშირებს“.*

ჟურნალისტებს შთაბეჭდილება გაუზიარა მეკარე **პეტრ ჩეხმაც**: *„ვერანაირ განსხვავებას ვერ ვამჩნევ. ის დღესაც ისეთივე კაპიტანია, როგორიც იყო სამი თვის წინ, ხუთი თვის წინ, ერთი თუ სამი წლის წინ. ცალკე კი ნამდვილად არ გამიხმია და არ მიკითხავს, რადგან, საქციელზე ვატყობ, რომ არაფერი შეცვლილა“.*

თავდამსხმელი **სალომონ კალუ**: *„ტერი ჭორებს ყურადღებას არ აქცევს. რომ აქცევდეს, ცუდი იქნებოდა, მასაც შეაწუხებდა და გუნდშიც არეულობას შემოიტანდა, მაგრამ რომ ვაკვირდებით, ვატყობთ, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებას აგრძელებს“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი ყველაზე

# განსაკუთრებულის ათი განსაკუთრებული

**ფეხბურთის სამყაროში შვებულებები მთავრდება, გუნდები საწვრთნელ მოედნებს უბრუნდებიან, აქა-იქ პირველი ამხანაგური თამაშებიც ტარდება და რასაკვირველია, იმართება პრესკონფერენციები...**

პრესკონფერენციები ყოველთვის საინტერესო არ არის. ხშირად მწვრთნელები თუ კლუბის ხელმძღვანელები ცდილობენ, ჟურნალისტები (და, შესაბამისად, მათ უკან მდგომი დაინტერესებული ათასები) არაფრისმთქმელი დიპლომატიური პასუხებით მოიშორონ და თავიანთი ნამდვილი ზრახვები დაფარონ. თუმცა, მეორე მხრივ, ასე თქმაც არ შეიძლება, რადგან გააჩნია ვინ ლაპარაკობს. თუკი საპრესკონფერენციო დარბაზში **ჟოზე მოურინიოა...**

ჟოზე მოურინიომ შვებულების შემდეგ თავისი პირველი პრესკონფერენცია რამდენიმე დღის წინ გამართა და ტრადიციას არ უღალატა - „ინტერის“ თავკაცი, როგორც ყოველთვის, ენამწარე და „განსაკუთრებული“ გახლდათ. გემახსოვრებათ, პორტუგალიელმა მწვრთნელმა „პორტუს“ 2004 წელს ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა და მას მერე ტელეეკრანებიდან არ გამქრალა. იმ დღიდან მოყოლებული მსოფლიოს მასმედია ნიადაგ მისი სკანდალური განცხადებებით არის გადატვირთული და რაც მთავარია, ეს ყველას ართობს: გულშემატკივარს, პრესას და... ალბათ თავად მოუსაც.

აი, იმ დღესაც, ახალი სეზონის პირველ პრესკონფერენციაზე, კითხვაზე, როგორი ტიპის მცველები სჭირდება, „განსაკუთრებულმა“ უპასუხა: ეს რა მამათმავლურ კითხვებს მისვამთ, რა მნიშვნელობა აქვს, მცველი ქერა იქნება თუ წაბლისფერთმიანიო.

და მოურინიოს ამ პასუხზე ინტერნეტო საიტ www. goal.com-ს მისი ათი ყველაზე დასამახსოვრებელი გამონათქვამის გახსენების იდეა გაუჩნდა. თუმცა, დაგვეთანხმებით, როდესაც საქმე მოურინიოს ეხება, იქ ათი ყველაზე სკანდალური გამონათქვამის ამორჩევა ძალიან პირობითია.

**10.** მე იტალიურს თვეების განმავლობაში, დღეში ხუთ-ხუთ საათს ვსწავლობდი. ეს ფეხბურთელებთან, ჟურნალისტებთან და გულშემატკივართან ურთიერთობისთვის მჭირდებოდა. კლაუდიო რანიერიმ კი ინგლისში ხუთი წელიწადი გაატარა და „დილა მშვიდობისას“ დღემდე ვერ ამბობს. ჰოდა, ამიტომაც არის, რომ მან იქ მხოლოდ და მხოლოდ ლიგის თასი მოიგო, ყველაზე პატარა ჯილდო. იქნებ ჯობდა, დამოკიდებულება შეეცვალა, მაგრამ ახლა რაღა დროსია, ის ხომ უკვე ბებერია.

ცნობისთვის: ეს სიტყვები მოურინიომ 2008 წელს მას მერე თქვა, რაც „იუვენტუსის“ მაშინდელმა თავკაცმა წვრთნის მისეული მეთოდები გააკრიტიკა.

**9.** წყნარი სამუშაოს კაცი რომ ვიყო, „პორტუში“ დავრჩებოდი და ცხოვრებაში რომ აღარაფერი მომეგო, ადგილობრივი ფანების თვალში მუდმივად მეორე ვიქნებოდი... ღმერთის შემდეგ.

**8.** როდესაც დავინახე, ფრანკ რაიკაარდი როგორ შედიოდა მსაჯის ოთახში, თვალებს არ დავუჯერე, ამის შემდეგ კი, მეორე ტაიმში, მსაჯმა დიდიე დროგბა რომ გაგვიგდო, აღარ გამკვირვებია. ისე კი, ჩემი და რაიკაარდის შედარება სირცხვილია და შეუძლებელი. რაიკაარდს ცხოვრებაში ტიტული არ მოუგია, მე კი ტიტულებით სავსე ვარ.

ცნობისათვის: როდესაც მოურინიომ ეს თქვა, ფრანკ რაიკაარდის ხელმძღვანელობით „ბარსელონას“ ჩემპიონთა ლიგა ჯერ არ ჰქონდა მოგებული. რაც შეეხება საკუთრივ ისტორიას, იგი 2005 წლის მეოთხედფინალის ამბავია. მაშინ, პირველ შეხვედრაში, ბარსელონაში, მასპინძლებმა გაიმარჯვეს, საპასუხოში კი „ჩელსიმ“ მოიგო.



**7.** ზეწოლას ჩემზე „ფრინველის გრიპი“ ახდენს, მეტი ვერაფერი. რომ ვუყურებ, შოტლანდიაში რა ხდება, ვშინდები. ეს სახუმარო საქმე არ არის, თორემ ფეხბურთმა... ფეხბურთმა როგორ უნდა შემაშინოს?

**6.** მონაკო? ეგ რა არის? ასეთი არაფერი გამიგია. ვიცი „ბაიერნ“ მონაკო (იტალიურად მიუნხენი მონაკოდ გამოითქმის), ვიცი მონაკოს გრან პრი, ვიცი მონაკოს სამთავრო, ტიბეტელი მონაკოც (იგივე მონკი, ანუ ბერი) გამიგია, სხვა მონაკოსას კი ვერაფერს მოგახსენებთ.

ასე უპასუხა მოურინიომ „კატანიას“ პრეზიდენტ **პიეტრო ლო მონაკოს** ნათქვამს, ნეტავ, ეგ მოურინიო დამალეჭინა და რა გემოსია მაგრძნობინაო - ლო მონაკო სიცილიაზე „ინტერის“ გამარჯვებამ გაალიზიანა.

**5.** მგონი, ეგ კაცი მოთვალთვალე უნდა იყოს. ხომ იცით, არიან ბიჭები, რომლებსაც შინ დიდი ტელესკოპები აქვთ და თავიანთი ოთახებიდან მეზობლების საძინებლებში იჭვრიტებიან. ის „ჩელსიზე“ სულ ლაპარაკობს, ლაპარაკობს და ლაპარაკობს.

2005 წელს, **არსენ ვენგერზე** ნათქვამი ამ სიტყვების გამო ჟოზე მოურინიოს მერე ბოდიშის მოხდამ მოუწია.

**4.** ჩვენთან, პორტუგალიაში ასე ამბობენ: მეტოქე ავტობუსით ჩამოვიდა და ის ავტობუსი კართან ჩააყენაო. მე რომ ფანი ვიყო, შემრცხვებოდა 50 ფუნტის გადახდა იმის სანახავად, რაც „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ „ჩელსისთან“ შეხვედრაში გააკეთა - ჩამოვიდა და თავდაცვის მეტი არაფერზე უფიქრია.

**3.** ჩემსა და მას შორის სიტყვების თამაშიც კი ვერ შედგება. აქ, უბრალოდ, ერთმა უზრდელმა ბავშვმა ქცევის წესები ვერ აითვისა და სულ ეს არის. რისი ბრალია? ალბათ, აღზრდა აკლია ან განათლება. შესაძლოა, ძნელი ბავშვობა აქვს გამოვლილი. მოკლედ, ცუდი აღზრდის შედეგი უნდა იყოს.

ეს გახლავთ მოურინიოს ნათქვამი თანამემამულე **კრისტიანო რონალდოს** შესახებ.

**2.** რონალდო კარგი ფეხბურთელია, უბრალოდ, საუკეთესო არ არის. „ოქროს ბურთს“, რასაკვირველია, იმსახურებდა, რადგან მისმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგა და პრემიერლიგა მოიგო, ოღონდ ეგ არის, მე იბრაჰიმოვიჩი მირჩევნია.

როგორც ხვდებით, „განსაკუთრებულს“ თანამემამულის შესახებ აზრი 2008-შიც ჰკითხეს, როდესაც მან „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაში გაიმარჯვა.

**1.** გთხოვთ, ამპარტავანობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მე ჩემპიონთა ლიგის მფლობელი და განსაკუთრებული ვარ.

**ილია ბაბუნაშვილი**

# ბოსინგვა და ბაიერნი ჩაიშალა

## რუმენიგე რეალს ფიფაში ჩივილით ემუქრება

ბოლო დროს მიუნხენის „ბაიერნის“ შეფებს ჩელსელი **ჟოზე ბოსინგვას** შესახებ კრინტი აღარ დაუძრავთ და აქედანაც ჩანდა, რომ ამ ფეხბურთელის შესახებ ლონდონურ კლუბთან მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ახლა რეკორდმაისტერმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ ბოსინგვას ტრანსფერი ჩაიშალა.

*„ბოსინგვას საქმე ჩვენთვის უკვე დახურულია, რადგან „ჩელსის“ მისი გასხვისება არ სურს,“* - განუცხადა ბავარიული გრანდის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** „ბილდ ამ ზონთაგს“ და იქვე დასძინა, რომ „ბაიერნი“ სხვა მარჯვენა მცველის ძებნას იწყებს.



ბოსინგვა ბაიერნში არ გადავა

რუმენიგეს თქმით, მარჯვენა მცველის პოზიცია ერთადერთია, სადაც მიუნხენური კლუბი გაძლიერებას საჭიროებს.

თუმცა „ბაიერნი“ ბოსინგვას ალტერნატივას არ ასახელებს და ამბობს, კონკრეტული ვარიანტი ჯერ არც არსებობსო. ამრიგად, ბოსინგვას თემა ამოწურულია, **ფრანკ რიბერის** გარშემო ატეხილი ორომტრიალი კი გრძელდება. რუმენიგეს არ სჯერა, რომ რიბერის საკითხიც ამოწურულია - მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნის“ მენეჯერმა **ული ჰიონესმა** თქვა, მორჩა, ფრანგი დრიბლიორი ჩვენთან რჩებაო და მიუხედავად იმისა, რომ „რეალის“ მენეჯერმა **ხორხე ვალდანომაც** ისე ისაუბრა, თითქოს „სამეფო გუნდმა“ „ბაიერნის“ უარი მიიღო და რიბერის შეეშვა. ვალდანომ აღნიშნა, რომ „რეალს“ მიუნხენურ კლუბთან ომი და უთანხმოება არ სურს, რაც ერთი შეხედვით იმას ნიშნავს, რომ „რეალი“ რიბერის თავს ანებებს. რუმენიგე კი ფიქრობს, რომ მადრიდელები არ დანებდებიან და აგვისტოს მიწურულს „სამეფო გუნდისგან“ მორიგ იერიშებს ელის.

*„უახლოეს მომავალში „რეალის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს წერილს მივწერ და ვურჩევ, რიბერის შეეშვას და თუკი მადრიდელები ჩვენს რჩევას არ გაითვალისწინებენ, ჩვენ მათ ფიფაში ვუჩივლებთ,* - ამბობს რუმენიგე და იქვე დასძენს, - *შარშანაც ასეთი სიტუაცია იყო, როცა მადრიდელებს კრისტიანო რონალდოს ყიდვა უნდოდათ. მერე „მანჩესტერი“ „რეალს“ ფიფათი დაემუქრა, რის შედეგაც „რეალი“ რონალდოს შეეშვა.“*

ხსენებულ ინტერვიუში რუმენიგე იმასაც ამბობს, რომ რიბერის ასი პროცენტით ენდობა, ფრანკი მატყუარა არ არის და „ბაიერნთან“ მიმართებაში არასერიოზულად არასდროს მოიქცევაო.

**გოტფრიდ ლენცი**

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| მალაიზია XI-მანჩესტერ იუნ | 2:3 |
| დარლინგტონი-ნიუკასლი | 2:7 |
| ბაროუ-დონკასტერი | 0:2 |
| უტრეხტი-ცვოლე | 5:1 |
| ტოპ ოსი-ვაალვიკი | 1:3 |
| ორლანდო-მანჩესტერ სიტი | 2:0 |
| ალდერშოტი-ბრენტფორდი | 0:0 |
| ბარნეტი-არსენალი | 2:2 |
| ბარტონი-ნოტინგემი | 1:4 |
| ბერი-ოლდემი | 0:0 |
| ჩესტერფილდი-დერბი | 2:1 |
| პიტერბრო-ასტონ ვილა | 0:3 |
| როჩდეილი-ევერტონი | 1:4 |
| სუონსი-ტვენტე | 3:1 |
| შალკე-შტუტგარტი | 0:1 |
| ბოხუმი-ოლიმპიაკოსი | 3:3 |
| ლიონი-ლანსი | 2:2 |
| ტრაბზონი-სტანდარდი | 1:0 |
| ბაიერნი-ჰამბურგი | 0:1 |
| საუთჰემპტონი-აიაქსი | 1:4 |
| დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 0:4 |
| სტ. ეტიენი-დინამო (ბუქ) | 2:0 |
| ვარტექსი-ვესტ ბრომვიჩი | 2:2 |
| სიეტლი-ჩელსი | 0:2 |
| პორტუ-მონაკო | 3:0 |
| სპორტინგი-ფეიენოორდი | 1:2 |
| კორკი-იფსვიჩი | 2:0 |
| ბრიუგე-ალკმაარი | 1:0 |
| ვილემი-პაოკ | 0:3 |
| ნანსი-იუვენტუსი | 1:1 |
| რაპიდი-ლივერპული | 1:0 |
| პადერბორნი-დორტმუნდი | 0:2 |
| პორტიმონენსე-სანდერლენდი | 0:1 |

### ავსტრია

I ტური

| | |
|---|---|
| ვინერი-ავსტრია (კ) | 3:1 |
| კაპფენბერგი-რიდი | 0:1 |
| ლინცერი-მატერსბურგი | 4:0 |
| ზალცბურგი-ავსტრია (ვ) | 2:1 |
| რაპიდი-შტურმი | გადაიდო |

#### II დივიზიონი

III ტური

ლუშტენაუ-ავსტრია II 3:0; დორნბირნი-ადმირა 0:4; სტ. პოლტენი-ვენა 1:1; ზალცბურგი II-გრატკორნი 3:3; ჰარტბურგი-ტიროლი 0:2; ავსტრია (ლ)-ალტახი 0:2.

### დანია

I ტური

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-კოპენჰაგენი | 2:0 |
| მიდტიულანდი-ესბერგი | 0:0 |
| სონდერილი-რანდერსი | 1:0 |
| ჰერფიოლგე-სილკებორგი | 1:1 |
| ბრონდბიუ-ოდენსე | 2:2 |
| ორჰუსი-ოლბორგი | დღეს |

### ფინეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ჰაკა-ვაასა | 0:1 |
| იუვიასკიულა-ინტერი | 1:0 |
| ჰონკა-მარიეჰამნი | 1:1 |
| კუოპიო-ლაატი | 1:1 |
| მიუპა-როვანიემი | 4:0 |
| ტურკუ-ჰიკ | 1:1 |
| იარო-ტამპერე | დღეს |

#### II დივიზიონი

XIII ტური

პოპა-კლუბი04 2:2; ოულუ-კემი 6:0; ჰამეენლინა-კოოტეპე 0:0; კიისტო-ტპვ ტამპერე 0:0; კპვ-ატლანტისი 2:0; ვიიკინგიტი-ტპ47 4:1.

### ისლანდია

XII ტური

| | |
|---|---|
| ჰაფნარი-კეფლავიკი | 2:2 |
| ფიოლნირი-რეიკიავიკი | 1:2 |
| გრინდავიკი-სტიარნანი | 4:2 |
| ტროტური-ბრეიდაბლიკი | დღეს |
| ვალური-ფილკირი | დღეს |

### ირლანდია

XX ტური

| | |
|---|---|
| დროგედა-ბრეი | 1:2 |
| გალვეი-დანდალკი | 0:3 |
| შემროკი-სლიგო | 3:1 |
| ბოჰემიანსი-დერი | 1:0 |

#### II დივიზიონი

XVIII ტური

უექსფორდი-უნივერსიტი 0:1; შელბურნი-სპორტინგი 1:0; ლონგფორდი-მერვუ 3:0; ფინ ჰარპსი-ეთლონი 1:1; მონეგანი-უოტერფორდი 0:0; კილდეირი-ლიმერიკი .

### შვედეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| კალმარი-ბრომაპოიკარნა | 3:1 |
| იურგორდენი-ელფსბორგი | 1:2 |
| გეფლე-ჰელსინგბორგი | 0:2 |
| გიოტებორგი-ტრელებორგი | 3:1 |
| ჰამარბიუ-იორგრიტე | დღეს |
| მალმიო-ჰალმსტადი | დღეს |
| ერებრუ-ჰაკენი | დღეს |
| გაის-აიკ | დღეს |

#### II დივიზიონი

XV ტური

ტროლჰატანი-ატვიდაბერგი 0:1; ფარკენბერგი-ასირისკა 0:2; ლიუნგსკილე-კვიდინგი 2:0; სირიანსკა-ვასალუნდსი 1:1; ლანდსკრონა-ანგელჰოლმი დღეს; ვასბი-სირიუსი დღეს; იონჩოპინგი-სუნდსვალი დღეს.

### შვეიცარია

II ტური

| | |
|---|---|
| ქსამაქსი-ციურიხი | 3:0 |
| იანგ ბოიზი-სტ. გალენი | 1:1 |
| ბაზელი-არაუ | 2:1 |
| ბელინცონა-ლუცერნი | 1:2 |
| გრასჰოპერსი-სიონი | 3:1 |

### უნგრეთი

#### სუპერთასი

| | |
|---|---|
| ჰონვედი-დებრეცენი | 0:1 |

### რუსეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| რუბინი-ცსკა | 1:2 |
| დინამო-ნალჩიკი | 2:1 |
| სატურნი-როსტოვი | 4:0 |
| ტომი-ხიმკი | 4:0 |
| ამკარი-ლოკომოტივი | 1:1 |
| სპარტაკი-კრილია | 1:1 |
| მოსკოვი-კუბანი | 4:1 |
| ტერეკი-ზენიტი | 3:2 |

### სლოვაკეთი

II ტური

| | |
|---|---|
| ინტერი-ტატრანი | 3:2 |
| ბისტრიცა-კოშიცე | 0:0 |
| დ. სტრედა-რუჟომბეროკი | 1:1 |
| დუბნიცა-პეტრჟალკა | 0:0 |
| ნიტრა-ტრნავა | 1:0 |
| სლოვანი-ჟილინა | გადაიდო |

### სლოვენია

I ტური

| | |
|---|---|
| დომჟალე-დრავა | 2:2 |
| კოპერი-პუბლიკუმი | 1:0 |
| მარიბორი-გორიცა | 0:1 |
| ოლიმპია-ინტერბლოკი | 1:3 |
| რუდარი-ნაფტა | 2:0 |

### უკრაინა

I ტური

| | |
|---|---|
| ილიჩოვეცი-ზაკარპატია | 1:0 |
| ვორსკლა-კარპატი | 1:2 |
| ზორია-არსენალი | 0:0 |
| დინამო-ჩერნომორეცი | 5:0 |
| შახტარი-კრივბასი | 3:0 |
| ობოლონი-მეტალისტი | 0:2 |
| ტავრია-მეტალურგი (ზ) | 2:0 |
| მეტალურგი (დ)-დნიპრო | 0:0 |

### ბრაზილია

XII ტური

| | |
|---|---|
| ფლუმინენსე-გოიაში | 1:4 |
| პალმეირასი-სანტო ანდრე | 1:0 |
| ატ. პარანაენსე-კურიტიბა | 0:0 |
| კრუზეირო-კორინთიანსი | 1:2 |
| გრემიო-ინტერნასიონალი | 2:1 |
| სან პაულუ-სანტოსი | 2:1 |
| ვიტორია-ატ. მინეირო | 0:0 |

### ჩილე

II ტური

| | |
|---|---|
| ო'ჰიგინსი-პალესტინო | 0:1 |
| ს. მორნინგი-აუდაქსი | 0:1 |
| კოლო კოლო-ლა სერენა | 2:1 |
| უაჩიპატო-უნ. ესპანიოლა | 1:2 |
| კურიკო-მუნისიპალი | 1:1 |
| ნუბლენსე-კობრელოა | 1:2 |
| კობრესალი-უნ. კატოლიკა | 1:1 |
| ევერტონი-უნ. კონსეპსიონი | 0:1 |

### კოლუმბია

II ტური

| | |
|---|---|
| ენვიგადო-რეალი | 2:2 |
| დეპ. კინდიო-მილიონარიოსი | 1:1 |
| ინდეპენდიენტე-დეპ. კალი | 1:0 |
| ატ. უილა-დეპ. ტოლიმა | 1:0 |
| ატ. ხუნიორი-კუკუტა | 1:0 |
| დეპ. პერეირა-დეპ. პასტო | 3:0 |
| ლა ეკუიდადი-ონსე კალდასი | 2:1 |
| სანტა ფე-ჩიკო | 4:2 |

### პერუ

XXII ტური

| | |
|---|---|
| სპ. კრისტალი-უნ. პერუ | 1:1 |
| ხოსე გალვესი-მელგარი | 1:1 |
| კოლეგიო-ალ. ატლეტიკო | 0:1 |
| ტოტალ ჩალაკო-ინტი გასი | 1:1 |
| სპორტ ანკაში-სესიანო | 2:1 |
| სპორტი-სესარ ვალეხო | 3:2 |
| ალ. ლიმა-სან მარტინი | 0:1 |
| ხუან აურიჩი-ბოლონესი | 2:0 |

### აშშ

XVII ტური

| | |
|---|---|
| ტორონტო-ჰიუსტონი | 1:1 |
| კოლამბუსი-სოლტ ლეიკი | 3:1 |
| დი სი იუნაიტედი-კოლორადო | 3:1 |
| ჩიკაგო-სან ხოსე | 2:0 |

### იაპონია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| კავასაკი-კობე | 2:2 |
| ომიია-ტოკიო | 0:3 |
| ნაგოია-კიოტო | 1:1 |
| ოიტა-ურავა | 1:0 |
| შიმიცუ-კაშიმა | 2:2 |
| იოკოჰამა-ნიიგატა | 1:1 |
| ჰიროშიმა-ჯეფ იუნაიტედი | 4:1 |
| იამაგატა-ივატა | 3:1 |
| კაშივა-გამბა | 0:2 |

სეზონისწინა ბანაკიდან



თეო უოლკოტი

# ძმაკაცის დაბრუნება და როგორ უნდა გავსაზიზღრდეთ

თვრამეტთვიანი მკურნალობის შემდეგ **ტომაშ როსიცკი** „არსენალს“ უბრუნდება, რაც მის კაპიტანს, **სესკ ფაბრეგასს** განსაკუთრებით ახარებს - რალა როსიცკის დაბრუნება და რალა ახალი ფეხბურთელის ყიდვაო, ამბობს ლონდონელთა კატალონიელი ნახევარმცველი.

ასე და ამგვარად, 28 წლის ჩეხმა ბურთს ფეხი მეორე ლიგის (ანუ მეოთხე დონის) „ბარნეტთან“ შეხვედრაში გაჰკრა. მის შემყურე „მეთოფეებს“ იმედი აქვთ, რომ ამით მისი მკურნალობასთან დაკავშირებული კოშმარი დასრულებულია. იმ სამი წლის განმავლობაში, რაც როსიცკის დაზიანებულმა ორთავა კუნთმა მუხლის მყესები ჩაითრია და შემდეგ ყველაფერს ერთად დასჭირდა ექიმობა, ნახევარმცველს 61 შეხვედრის მეტი არ ჩაუტარებია. მას ოპერაციაც გაუკეთეს, თუმცა, არც ქირურგიულმა ჩარევამ მოიტანა შედეგი. ნაოპერაციებ როსიცკის ტკივილი კვლავ არ აძლევდა გასაქანს, რამაც მედიკოსებს აფიქრებინა, რომ საქმეს წლობით გაჭიმული მკურნალობალა თუ უშველიდა. საბედნიეროდ, გასული სეზონის მიწურულს ფეხბურთელი გამოჯანმრთელდა და ამიერიდან საქმეში სრული დატვირთვით აპირებს ჩართვას.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფაბრეგასი დარწმუნებულია, რომ როსიცკი ძველებურად ათამაშდება და გუნდს, რომელსაც უკვე რამდენი წელიწადია დიდი ჯილდო არ მოუგია, მიზნის ალსრულებაში დაეხმარება.

*„ის ჩემი მეგობარია, ჩვენ ერთად დიდი დრო გვაქვს გატარებული და ამიტომ კარგად ვიცი, რას გრძნობს. ცხოვრებაში არ შემხვედრია თავის საქმეზე ასე შეყვარებული, ასე თავდადებული და უტეხი სულის ადამიანი. ის იმ ფეხბურთელთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა მხარდამხარ თამაში დიდი სიამოვნებაა. ტომაშის ეს ტრავმა საცოდაობა იყო, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მასთან ბრძოლა ხასიათს კიდევ უფრო გაუძლიერებდა. მე მას ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ.*

*მთელ „არსენალს“ უნდა, რომ ის რაც შეიძლება მალე ჩადგეს ფორმაში. წელან მოგახსენეთ, რომ ის ჩემი ახლო მეგობარია და განა მხოლოდ მოედანზე, ცხოვრებაშიც. მას გუნდის თამაშის გამდიდრება შეუძლია. ტომაში მდიდარია გამოცდილებით, ყველა დონის ბრძოლებში ჭიპი აქვს მოჭრილი, ფრიად სასარგებლოა გუნდის შედუღაბებისთვის და იცის გამარჯვებას როგორ მიაღწიოს.*

*იმედი მაქვს, როსიცკი ფიზიკურ ფორმას მალე აღიდგენს, თორემ ტექნიკურად მისი ბადალი მსოფლიოში ბევრი არ მეგულება. ვუყურებდი, რა თავგამოდებით მუშაობდა ის ბოლო პერიოდში და ვერ ვითმენ, ისე მეჩქარება მასთან ერთად ბურთის გაგორება“*, - თქვა ფაბრეგასმა.

„არსენალისა“ და ინგლისის ნაკრების 20 წლის გარემარბი, **თეო უოლკოტი** კი, ამასობაში, ამტკიცებს, რომ დროა, მისმა გუნდმა ულამაზოდ მოგება ისწავლოს.

ზემოთ უფრო ზოგადად ვთქვით, ახლა კი დავაზუსტებთ, რომ „მეთოფეებს“ ხუთი სეზონია, რაც პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული არ მოუპოვებიათ და უოლკოტის აზრით, დროა „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ჩელსის“ აჯობოს, ოღონდ ამისათვის ესთეტიკის გვერდზე გადადება გახდება საჭირო.

*„ვფიქრობ, დროა, ბინძური საქმის სწორად კეთება ვისწავლოთ. კარგად მესმის, რომ ეს ფეხბურთს სანახაობრივ მხარეს დააკარგვინებს, მაგრამ რამენაირად ქულები უნდა მოვიხვეჭოთ და დავაგროვოთ. გნებავთ, სათასო შეხვედრები აიღეთ, თუ არ მოიგე, ვინ დაიმახსოვრებს როგორ ითამაშე? ჰოდა, სწორედ ამის გათვალისწინება გვმართებს. დააკვირდით „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ჩელსის“, რა მოხერხებულად ასრულებენ ბინძურ სამუშაოს. შესაბამისად, იგებენ კიდეც“.*

და სანამ ამომავალი თუ ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ ამოსული ვარსკვლავი ასე მსჯელობს, „არსენალის“ მწვრთნელი **არსენ ვენგერი** მის ნახევარდაცვიდან თავდასხმაში წაწევის ვარიანტებს განიხილავს.

*„ბოსმა მითხრა, რომ თავდასხმაში გადამიყვანს, ეს კი ჩემი ბუნებრივი პოზიციაა. მინდა, მომავალ სეზონში 15-ზე მეტი გოლი გავიტანო, თუმცა, ვადასტურებ: მზად ვარ, რა პოზიციაზეც გუნდს დასჭირდება, იმ პოზიციაზე ვითამაშო“.*

**ილია ბაბუნაშვილი**




ტომაშ როსიცკი

ეს საინტერესოა. ტაქტიკური სქემის ისტორია. მეხუთე ნაწილი

# მეფე იოჰანი და ტოტალური ფეხბურთი

## ჰოლანდიელთა 4-3-3 დევიზით: საუკეთესო დაცვა თავდასხმაა

სანამ **იოჰან რუიფი** გამოჩნდებოდა, ჰოლანდიური ფეხბურთი უმნიშვნელო იყო - აბსოლუტურად უმნიშვნელო. თვითონ განსაჯეთ: ჰოლანდიური კლუბები ევროტურნირებზე ვერანაირ წარმატებას ვერ აღწევდნენ, ჰოლანდიის ნაკრები კი არც ერთ მნიშვნელოვან ტურნირზე არ იყო მოხვედრილი. 1949-დან 1955 წლამდე, ჰოლანდიის ნაკრებმა 27 მატჩიდან მხოლოდ ორის (!) მოგება შეძლო.

1964 წელს კრუიფს ამსტერდამის „აიაქსში“ დებიუტი ჰქონდა - ეს გახლდათ კლუბი, სადაც დედამისი დამლაგებლად მუშაობდა. ათი წლის შემდეგ კრუიფმა „აიაქსი“ დატოვა და ამ ხნის განმავლობაში, ამსტერდამულმა კლუბმა ექვსჯერ მოიგო ჰოლანდიის ჩემპიონატი, ოთხჯერ ჰოლანდიის თასი და რაც ყველაზე მთავარია, 1971-დან 1973 წლამდე ზედიზედ სამჯერ დაეუფლა ევროპის ჩემპიონთა თასს. ხოლო 1974 წელს კი, ჰოლანდიის ნაკრებმა მუნდიალზეც გაიბრწყინა. კრუიფი დღემდე ჰოლანდიური ფეხბურთის სავიზიტო ბარათია. ეს იყო ზუსტად ის ფეხბურთელი, რომელიც მის მენტორსა და მწვრთნელ **რინუს მიხელსს** სჭირდებოდა იმისათვის, რომ ფეხბურთში თავისი იდეები განეხორციელებინა. მიხელსმა თავის დროზე ინგლისელი მწვრთნელებისგან, **ჯეკ რეინოლდსისა** და **ვიკ ბუკინგემისგან** ძალიან ბევრი რამ ისწავლა, მერე კი „აიაქსს“ ჩაუნერგა ფეხბურთის თამაშის უაღრესად ტექნიკური სტილი, რომელიც ამ კლუბს დღემდე მოჰყვება. მიხელსი „აიაქსს“ უაღრესად შემტევ და სანახაობრივ ფეხბურთს ათამაშებდა და ეს სტილი ისტორიაში „ტოტალური ფეხბურთის“ სახელით შევიდა.



კრუიფი იუვენტუსთან, 1973 წელს, ჩემპიონთა თასის ფინალში

„აიაქსის“ სტილი გარკვეულწილად 50-იანი წლების უნგრული სტილის გაგრძელება იყო. თავიდან მიხელსი სწორედ უნგრელების მიერ პირველად აპრობირებულ 4-2-4 სქემას იყენებდა. უბრალოდ, ჰოლანდიელებმა ეს სტილი კიდევ უფრო დახვეწეს და კერძოდ იმით, რომ ფეხბურთელები თავიანთ პოზიციებზე გაცილებით მოქნილად მოქმედებდნენ და გარდა ამისა, მწვრთნელი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში როტაციას მიმართავდა. „ტოტალური ფეხბურთი“ იდეალურ ვარიანტში იმას ნიშნავდა, რომ ნებისმიერ ფეხბურთელს ნებისმიერ პოზიციაზე უნდა შეძლებოდა თამაში. შესაბამისად, ისე გამოვიდა, რომ ფლანგის მცველები პერმანენტულად უტევდნენ და იმ დროს, როცა შეტევაში იყვნენ, მათ სხვა მოთამაშეები აზღვევდნენ. მაგალითად, როდესაც მარცხენა მცველი შეტევაში იყო ჩართული, მის პოზიციას მარცხენა ნახევარმცველი ამაგრებდა და ა.შ.

ყველაფერი ეს გაცილებით მარტივი გახდა მაშინ, როცა „აიაქსმა“ ტაქტიკა შეცვალა და იმ სქემაზე გადავიდა, რომლითაც ჰოლანდიის ნაკრები დღესაც თამაშობს - კერძოდ, 4-3-3-ზე. ამრიგად, მოედანი ვერტიკალურად სამ ნაწილად დაიყო. შესაბამისად, ფეხბურთელებს ერთმანეთის დაზღვევა უადვილდებოდათ. აღნიშნული 4-3-3 ძალიან სწრაფად გახდა ის სქემა, რომელიც ჰოლანდიურ ფეხბურთს ათწლეულების განმავლობაში გაჰყვა და დღესაც ახასიათებს.

კრუიფი მიხელსის ხელში ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე თამაშობდა, ოღონდ მუდმივად იხევდა უკან, შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე, საიდანაც ან დრიბლინგს იწყებდა, ან პასების ჩამორიგებას. ანუ, კრუიფი ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც ერთ დროს **ნანდორ ჰიდეგკუტი**, რომლის შესახებაც მესამე ნაწილში გვქონდა ლაპარაკი.

მაგრამ „ტოტალური ფეხბურთი“ მხოლოდ ის არ არის, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. მაგალითად, ჰოლანდიელები პირველები იყვნენ, ვინც მთელი მატჩის განმავლობაში პრესინგს მიმართავდნენ. პრესინგი უცხო ხილი არავისთვის ყოფილა, მაგრამ მთელი შეხვედრის განმავლობაში გუნდს პრესინგისთვის მიემართოს, ეს მართლაც პირველი შემთხვევა იყო და ვინც 70-იანი წლების მატჩებს ნახავს, დარწმუნდება, რომ ჰოლანდიელებმა ფეხბურთში ამ მხრივ უდიდესი ნოვაცია შეიტანეს.

**ფრანც ბეკენბაუერი**: *„როდესაც ბურთი მქონდა, თავისუფლად შემეძლო 50 ან სულაც 60 მეტრი გამერბინა და არავინ მაჩერებდა, რადგან ყველა ფეხბურთელს თავისი უშუალო მეტოქე ჰყავდა მისახედი. დღეს კი, როცა აბსოლუტურად ყველა გუნდი ზონურ დაცვას იყენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი სამი-ოთხი მეტრის შემდეგ მეტოქე გხვდება, ასეთი მარშების განხორციელებას პირადად მე ველარ შევძლებდი. უფრო სწორად, შორს ველარ წავიდოდი, რადგან მესამე ან მეოთხე კაცი მაინც შემაჩერებდა.“*

წარმატებულ პრესინგს მიეკუთვნება ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნის ოსტატობაც. კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ გუნდი ცდილობს, მოწინააღმდეგეს ზონები რაც შეიძლება სწრაფად გადაუკეტოს. ცხადია, შესაძლებელია, რომ დაცვა მაღალი ან დაბალი, მაგრამ მზაკვრული პასით გაარღვიო, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხერხდება, თუ ბურთიან ფეხბურთელს საკმარისი დრო აქვს, ამ დროს კი მოწინააღმდეგეები პრესინგის საშუალებითართმევენ.

როდესაც ბურთს მოწინააღმდეგე ფლობდა, ჰოლანდიელები მაქსიმალურად ცდილობდნენ მათ შებოჭვას პრესინგის საშუალებით და მათთვის სივრცის მაქსიმალურად შემცირებას. ხოლო, როცა თვითონ ფლობდნენ ბურთს, მოედანზე მაქსიმალურად იშლებოდნენ, რათა თვითონ ჰქონოდათ სივრცე და დრო. დღეს ამ პრინციპს ფაქტობრივად ყველა გუნდი იყენებს - ზოგი კარგად, ზოგიც ცუდად.

ჰოლანდიელებმა იმ დროს კიდევ ერთი ტაქტიკური პრინციპი დააპატენტეს: „საუკეთესო დაცვა თავდასხმაა“. მათი დევიზი შემდეგი იყო: „თუ ბურთი ჩვენ გვაქვს, სხვები გოლს ვერ გაიტანენ“. სწორედ ამიტომ, ჰოლანდიის ნაკრები უმეტესად მეტოქის ნახევარზე ცდილობდა ბურთის მაქსიმალურად დიდხანს შენარჩუნებას და მაქსიმალურად ბევრი პასის გაკეთებას - ზუსტად ისე, როგორც ამას ესპანეთის ნაკრები აკეთებდა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე.

1973 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში „აიაქსი“ „იუვენტუსს“ ხვდებოდა და ამსტერდამელები უკვე მეოთხე წუთზე დაწინაურდნენ, რის შემდეგაც იტალიელებს ნერვები დააწყვიტეს იმით, რომ თავიანთ ნახევარზე განლაგდნენ და ბურთს იდეალურად აკონტროლებდნენ - ტურინელები კი უბურთოდ დარბოდნენ.

მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, კრუიფი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ. ზოგადად, „აიაქსის“ ფეხბურთი არ იყო იოლი სათამაშო. რაც არ უნდა იყოს, ფეხბურთელებს პირველიდან ბოლო წუთამდე მაქსიმალური კონცენტრაცია მოეთხოვებოდათ. კრუიფმა კი იცოდა, როგორ უნდა ემოქმედა. იოჰანი თავის თანაგუნდელებს მუდმივად რჩევებით ამარაგებდა და მათ მეტოქის კარისკენ მიმავალ გზებს უჩვენებდა. ცხადია, ამ ყველაფრის ფონზე, კრუიფს მხოლოდ მეგობრები არ ჰყავდა. იოჰანმა ერთხელ თქვა, ყველაზე კარგი ის იყო, რომ რაც დრო გადიოდა, ამ ტაქტიკას უფრო და უფრო უკეთ ვამულამებდით, ამასთან, შეცდომებზეც ვსწავლობდითო. რინუს მიხელსი გუნდს სწორედ ამას სთხოვდა. ის კრუიფს ეუბნებოდა, თუ შენი თანაგუნდელი შეცდომას დაუშვებს, ის შენ უნდა გამოასწორო და თუ მე დავინახავ, რომ გამოსწორება შეგეძლო და ეს არ გააკეთე, მას კი არა, შენ დაგსჯიო.

» 9



მწვრთნელი კრუიფი: რჩევა-დარიგებები გეორგე ჰაჯის

8 «

...ამრიგად, კრუიფი მოედანზე არა მარტო ფეხბურთელი, არამედ მწვრთნელიც იყო. **ფრანკ რაიკაარდმა,** რომელიც კრუიფთან ერთადაც თამაშობდა, ერთხელ იოჰანი **დიეგო მარადონას** შეადარა და თქვა: *„ცხადია, მარადონა დიდი ფეხბურთელი იყო და მას შეეძლო, თამაში მარტოს მოეგო, მაგრამ მას არ ჰქონდა ის დიდებული ნიჭი, რაც ჰქონდა კრუიფს. კერძოდ, იოჰანს შეეძლო, ნებისმიერ დროს შეეცვალა თავისი გუნდის ტაქტიკა, თანაც ისე, რომ გუნდი მოიგებდა.“*

„აიაქსმა“ ფუნქციონირება მიხელსის გარეშეც განაგრძო - ეს უკანასკნელი რუმინელმა **სტეფან კოვაჩმა** შეცვალა. მასთან ერთად, ამსტერდამელებმა ორჯერ მოიგეს ჰოლანდიის ჩემპიონატი, ერთხელ ჰოლანდიის თასი და ორჯერ ევროპის თასი - და ეს ყველაფერი ორ წელიწადში.

მაგრამ მერე დადგა დრო, როცა კრუიფი „აიაქსიდან“ უნდა წასულიყო. ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ თანაგუნდელებმა მას კაპიტნის სამკლავური ჩამოართვეს და უკვე შურის თვალით უყურებდნენ. იოჰანიც მიხვდა, რომ წასვლის დრო მოვიდა და „ბარსელონას“ მიაშურა. კრუიფის წასვლით „აიაქსში“ დიდი ეპოქა დამთავრდა.

სამაგიეროდ, ჰოლანდიის ნაკრებისთვის იწყებოდა დიდი ეპოქა. 1974 წლის მუნდიალი ჰოლანდიის ნაკრებისთვის დიდ სცენაზე პირველი გაბრწყინება გახლდათ. უნდა ითქვას, რომ თავიდანვე ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნებოდა. რინუს მიხელსის გუნდმა (ეს უკანასკნელი ნაკრების დამრიგებელი გახდა) ექვსი მატჩი ჩაატარა, აქედან ხუთი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და მხოლოდ და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. ფინალამდე ჰოლანდიას ბურთების შეფარდება ასეთი ჰქონდა: 14:1. ამასთან, კრუიფმა და კომპანიამ გზად ისეთი გიგანტები გაანადგურეს, როგორებიც არიან არგენტინა (4:0) და ბრაზილია (2:0). ფინალში კი მათ გერმანია ელოდათ.

მიუხედავად იმისა, რომ შინ თამაშობდნენ, გერმანელები არც ისე გრანდიოზულად გამოიყურებოდნენ და ამასთან, „მოძმე“ გდრ-თანაც წაგებული ჰქონდათ. მაგრამ ზუსტად ისე, როგორც ოცი წლის წინ, როცა გერმანელებმა უნგრეთის დიდ გუნდს და მის გამთამაშებელ ჰიდეგკუტის მოუძებნეს გასაღები, ამჯერად ბუნდესმწვრთნელმა **ჰელმუტ შიონმა** კრუიფს და კომპანიასაც მოიმზადა სპეციალური პასუხი, უფრო სწორად, ტიპური გერმანული პასუხი: პერსონალური დაცვა. შიონმა კრუიფის პერსონალური მეურვეობა **ბერტი ფოგთსს** დაავალა.

პირველ წუთზე კრუიფი ფოგთსს გაექცა და მისი შეჩერება მხოლოდ **ული ჰიონესმა** შეძლო, ისიც, ჯარიმის ხარჯზე. ჰიონესმა თამაშის წესები საჯარიმოს ხაზთან დაარღვია, მაგრამ ინგლისელმა არბიტრმა **ჯეკ ტეილორმა** მაინც თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც **ნეესკენსმა** გამოიყენა და ჰოლანდიელები წინ გავიდნენ. მაგრამ ამის სემდეგ ფოგთსმა კრუიფს აღარაფერი გააბედინა და გერმანელებმა 2:1 მოიგეს.

საინტერესოა ისიც, რომ ფინალამდე ერთი დღით ადრე გერმანულმა ბულვარულმა გაზეთმა დაწერა სტატია, იმის შესახებ, თუ როგორ ერთობოდნენ ჰოლანდიელი ფეხბურთელები ფინალამდე ორი დღით ადრე. სტატიაში ლაპარაკი იყო ალკოჰოლური სასმელების დიდ რაოდენობასა და ქალებზე. კრუიფმა ფინალის წინა ღამე ტელეფონთან გაატარა - ის მთელი ღამის განმავლობაში უხსნიდა თავის ცოლს იმას, რომ ეს ისტორია მოგონილი იყო... ბევრი ფიქრობს, რომ სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რისთვისაც კრუიფმა ოთხი წლის შემდეგ, არგენტინაში გასამართ მუნდიალზე თამაში იუარა - ჰოლანდიელებმა იქაც მეორე ადგილი დაიკავეს.

„ტოტალურმა ფეხბურთმა“ არსებობა განაგრძო მას მერეც, რაც კრუიფმა აქტიური სპორტული კარიერა დაასრულა. 1985 წელს ის „აიაქსის“ მთავარი მწვრთნელი გახდა, გააგრძელა გზა, რომელიც ამ კლუბმა მასთან ერთად 60-იან წლებში დაიწყო. გარდა ამისა, სწორედ „ტოტალურ ფეხბურთს“ თამაშობდა 1988 წლის ჰოლანდიის ნაკრებიც, რომელიც ევროპის ჩემპიონი გახდა - ამაში გასაკვირი არაფერია, გუნდს ხომ ისევ რინუს მიხელსი წვრთნიდა.




1973 წელი, ბელგრადი, ჩემპიონთა თასის ფინალი: აიაქსი (1-3-3-3)-იუვენტუსი (4-5-1) 2:0

თვითონ კრუიფი კი „ბარსელონას“ დამრიგებელი გახდა, სადაც 1988-დან 1994 წლამდე იმუშავა და ამ პერიოდში კატალონიურ გრანდს ოთხჯერ მოაგებინა ესპანეთის ჩემპიონატი და „ბარსას“ გასაგიჟებელ ფეხბურთს ათამაშებდა.

კრუიფი, როგორც მწვრთნელი, ძალიან მძიმე ხასიათისა იყო. „აიაქსის“ ექსფეხბურთელი **ჯონი ბოსმანი** მას ასე ახასიათებს: *„კრუიფი ფიქრობს, რომ ყოველთვის მართალია და ყველაზე საინტერესო და იშვიათი ის არის, რომ ის მართლაც ყოველთვის მართალია.“* თუმცა პერფექციონიზმი ბევრისთვის აუტანელია და ამიტომაც გაიქცა რაიკაარდი „მილანში“.

კრუიფის ხელში თამაშობდა გერმანელი **გერალდ ფანენბურგიც,** რომელიც ამბობს: *„იოჰანის გუნდში გატარებულ პერიოდს რომ ვიხსენებ, ვხვდები, როგორ არ უნდა იქცეოდეს ადამიანი.“*

იოჰანის კარიერის მესამე ეტაპი სატელევიზიო ექსპერტობა გახლდათ და კრუიფი ამ რანგშიც იმ კრუიფად დარჩა. ის ყოველთვის ამტკიცებდა, რომ ყველაზე მეტი იცოდა და როგორც მინიმუმ, ამით ყველას ახალისებდა. მაგალითად, კრუიფის უდიდეს მტრად მიიჩნევა **ლუის ვან გაალი...**

„ტოტალური ფეხბურთი“ ფეხბურთში დარჩა და თანაც, ყველა სხვა სტილთან შედარებით, ძალიან დიდი დოზით. დღეს ნებისმიერი გუნდი ცდილობს, ითამაშოს პრესინგი, როცა ბურთს ფლობს, თამაში გაშალოს და როცა ბურთს არ ფლობს, მოედანზე სივრცეები მაქსიმალურად შეზღუდოს. ეს ყველაფერი დღეს ფეხბურთის ანბანაა, სტანდარტული მოთხოვნები. მაგალითად, დააკვირდით დღევანდელ „ბარსელონას“ - ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულს და დააკვირდით ამ გუნდის თითოეულ თამაშს გასულ სეზონში. კატალონიური გრანდის სტილში თქვენ ჰოლანდიურ ფესვებს, იმ „ტოტალური ფეხბურთის“ უმთავრეს ასპექტებს აღმოაჩენთ. რა გასაკვირია: „ბარსას“ თავკაცი **პეპ გვარდიოლა** ხომ კრუიფის აღმოჩენილია. მოკლედ, „ტოტალური ფეხბურთი“ 70-იან წლებში მოდაში იყო და მოდურია დღესაც.

„ტოტალური ფეხბურთის“ შემდეგ ყველა ფიქრობდა, რომ ფეხბურთში ახალს ვეღარაფერს გამოიგონებდნენ, მაგრამ სასტიკად ცდებოდნენ...

იოჰან კრუიფი გენიალური ფეხბურთელი იყო და მწვრთნელიც შესანიშნავი გამოდგა. აი, **არიგო საკი** კი, აბსოლუტურად უნიჭო ფეხბურთელი გახლდათ, მაგრამ მწვრთნელი გახდა ისეთი, რომ მსოფლიო ფეხბურთი თავდაყირა დააყენა! თუ როგორ გააკეთა ეს საკიმ, ამაზე მომდევნო ნაწილში გვექნება საუბარი...

*(გაგრძელება იქნება)*

*სატრანსფერო ამბები*

# გადაწყდა, ბერგი ჰამბურგში!

## ლაბადიამ თავდასხმა დააკომპლექტა

„ჰამბურგმა“, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალგაზრდა თავდამსხმელი **მარკუს ბერგი** იყიდა. შვედეთის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა, რომელიც ცოტა ხნის წინათ გამართულ ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზე 7 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ჩრდილოგერმანულ კლუბთან ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა: 2014 წლამდე. „ჰამბურგის“ ხელმძღვანელებმა სატრანსფერო თანხის გახმაურება არ ისურვეს, მაგრამ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, რომ ჩრდილოელებს შვედი ტალანტის შეძენა 9 მილიონი ევრო დაუჯდათ.

*„ძალიან მიხარია, რომ გადმოვიბირეთ ისეთი ნიჭიერი თავდამსხმელი, როგორიც მარკუს ბერგია,* - აცხადებს „ჰამბურგის“ მთავარი მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია,** - *ის არის ფორვარდი, რომელსაც გოლის გატანის დაუოკებელი სურვილი აქვს. თავისი შესაძლებლობები მან ბოლო სამ წელიწადში და განსაკუთრებით, ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე დაამტკიცა.“* 22 წლის ბერგი მართლაც ბომბარდირული ნიჭითაა დაჯილდოებული: ჰოლანდიურ ერედივიზიონში მან „გრონინგენის“ შემადგენლობაში 56 მატჩში 32 გოლის გატანა შეძლო.

ბერგს „ჰამბურგში“ გადასვლა ძალიან უნდოდა და ჩრდილოგერმანული კლუბის ხელმძღვანელებს პირობებზე თავიდანვე მარტივად მოურიგდა. *„ჰამბურგი“ ბუნდესლიგის ერთ-ერთი ტოპგუნდია და ძალიან მინდა, რომ ამ გუნდის მაისურით უამრავი გოლის გატანა შევძლო,“* - ამბობს 1.84 მეტრი სიმაღლის თავდამსხმელი. ბერგი ზუსტად ისეთი სტილის ფორვარდია, როგორიც ლაბადიას **პაულო გერეროსა** და **მლადენ პეტრიჩის** დუეტის შესავსებად სურდა.

**რობერტ ტეშეს** (ერთ მილიონად იყიდეს), **ზე რობერტოს** („ბაიერნიდან“ უფასოდ) და **ელერო ელიას** (8.5 მილიონი) შემდეგ, ბერგი „ჰამბურგის“ რიგით მეოთხე ახალწვეულია.



მარკუს ბერგი კარიერას ბუნდესლიგაში გააგრძელებს

# ჰუნტელაარი შტუტგარტს ალოდინებს

## კონკურენცია ინგლისიდან: ტოტენჰემი და არსენალი

წესით, „რეალის“ ჰოლანდიელ თავდამსხმელ **კლაას-იან ჰუნტელაარს** „შტუტგარტში“ გადასვლასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება წინა კვირის ბოლომდე უნდა მიელო, მაგრამ გუშინ ცნობილი გახდა, რომ ჰოლანდიელს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, მიიღოს თუ არა შვაბური კლუბის წინადადება და საბოლოო პასუხის გაცემა დღეს საღამომდე გადადო. ცნობილი გახდა, რომ გერმანულ კლუბს ძალიან სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდა. კერძოდ, „ტოტენჰემი“ და „არსენალი“.

როგორც იცით, „შტუტგარტი“ „რეალს“ დიდი ხანია, შეუთანხმდა და მას შემდეგ, შვაბები 25 წლის ფორვარდის პასუხს ელოდებიან. ეს უკანასკნელი კი ორჭოფობს, რადგან „შტუტგარტი“ მას ისეთივე ხელფასს ვერ სთავაზობს, რასაც ჰუნტელაარი „რეალში“ იღებს. როგორც ირკვევა, „ტოტენჰემი“ მზად არის, ჰუნტელაარს იმდენივე გადაუხადოს, რამდენსაც მას მადრიდში აძლევენ - 3.5 მილიონი ევრო წელიწადში. გარდა ამისა, „ტოტენჰემი“ „რეალსაც“ იმდენს სთავაზობს, რამდენზეც მადრიდელები შვაბებს მოურიგდნენ - 20 მილიონ ევროს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ინგლისელებს ამ თანხის გადახდა ოთხ ეტაპად სურთ, რაც იმას ნიშნავს, რომ „რეალს“ ურჩევნია, ჰოლანდიელი თავდამსხმელი „შტუტგარტს“ მიჰყიდოს. „ბილდის“ ცნობით, მადრიდული კლუბის შეფები ჰუნტელაარს აიძულებენ, „შტუტგარტის“ პირობებს დათანხმდეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**




ჰუნტელაარმა ვერა და ვერ გადაწყვიტა...

ოლიმპიური ფესტივალი



ავტორის ფოტო

# თბილისიდან ტამპერემდე. დღე პირველი

საქართველოს დელეგაცია ზაფხულის X ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე ფინეთის ქალაქ ტამპერეში გასამგზავრებლად თბილისის აეროპორტში გასულ შაბათს გამთენიისას შეიკრიბა. დელეგაციის ყველა წევრი იტალიური სპორტული ფირმა „ლოტოს" ნაწარმით იყო შემოსილი, რაც ძალზე ლამაზი სანახავი იყო. მსგავსი პრაქტიკა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაშია დანერგილი, ჩვენში კი ეს პირველად მოხდა, როდესაც გუნდი ერთნაირად გამოწყობილი გაემგზავრა სპორტულ ღონისძიებაზე. დელეგაცია გააცილეს და წარმატებები უსურვეს სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** და პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **რამაზ გოგლიძემ**. დელეგაციას სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი **დავით გობეჯიშვილი** ხელმძღვანელობს, ოლიმპიურ სოფელში მისიას - **გიორგი ესაკია**.

სტამბოლის „ათათურქის" უზარმაზარ აეროპორტში, ვიდრე ჰელსინკისკენ მიმავალ თვითმფრინავში ჩავსხდებოდით, სამი საათი ლოდინი მოგვიხდა. გუნდში საკმაოდ ხალისიანი განწყობაა. აქვეა ჩვენი სახელოვანი ვეტერანი ძიუდოისტი, 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი **დავით ხახალეიშვილი** - მისი ვაჟი **როსტომი** ტამპერეში 90 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზებს. "როსტომი ჯერ ორი წელიწადია, რაც ვარჯიშობს. ვატყობ, რომ მონდომებულია და მონაცემებიც აქვს. უბედნიერესი კაცი ვიქნები, თუ თავის სამშობლოს საერთაშორისო სარბიელზე სახელს გაუთქვამს. მაქსიმალურად ვუწყობ ხელს, რათა სპორტის გარდა არაფერზე იფიქროს, დანარჩენი მასზეა დამოკიდებული "– ამბობს დავითი და დასძენს: "ტამპერეში მისგან რა შედეგს მოველი? უპირველესად გუნდს მინდა წარმატებები ვუსურვო - ფინეთში მხოლოდ ჩემი შვილის საგულშემატკივროდ არ მივდივარ. რაც შეეხება როსტომს, ბუნებით მაქსიმალისტი ვარ... თუმცა კარგად მესმის, რომ ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაში გამარჯვება იოლად არ მიიღწევა".

ამასობაში ჰელსინკიში გასამგზავრებელი დროც დადგა და სამსაათნახევრიანი ფრენის შემდეგ აეროპორტში დავეშვით, საიდანაც ავტობუსით გეზი ტამპერესკენ ავიღეთ. გზად ჩვენი ყურადღება მიიპყრო ტბებისა და პურის ყანების სიმრავლემ. როგორც გვითხრეს, სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი დარგი ყოფილა. ჰელსინკიდან ტამპერემდე 160 - კილომეტრიანი გზა ორ საათზე ოდნავ ნაკლებ დროში დავფარეთ. ზაფხულის კვალობაზე ტამპერეში უჩვეულოდ დაბალი ტემპერატურა დაგვხვდა. ოლიმპიური სოფელი სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზეა და მას „ჰერვანტა" ეწოდება. ეს არის საკმაოდ დიდი ტერიტორია, სადაც ათეულობით კორპუსია განლაგებული. ერთი ეგაა, ოლიმპიურ სოფელს თავს და ბოლოს ვერ გაუგებ, რადგან ტერიტორია შემოულობავია. კვებაც ნორმალურია. გასაკვირია, რომ ასორტიმენტიდან რატომღაც ხილია ამოღებული.

ოლიმპიურ სოფელში მისვლისთანავე საქართველოს დელეგაცია მცირე გაუგებრობაში მოხვდა. ორგანიზატორებმა აკრედიტაციები ავტობუსშივე კი დაგვახვედრეს, მაგრამ რატომღაც ჩვენი სამი სპორტსმენისთვის მისი დამზადება გამორჩენიათ, თუმცა ეს პრობლემა მალე მოგვარდა. მოგვიანებით გაირკვა ისიც, რომ ჩოგბურთელი **ალექსანდრე დავლიანიძე** მონაწილეთა სიაში შეყვანილი არ ჰყავდათ, მაგრამ ეს საკითხიც უმტკივნეულოდ გადაიჭრა.

ტამპერეს მოსახლეობა 200 ათასს შეადგენს და ფინეთში სიდიდით მესამე ქალაქია ჰელსინკისა და ტურკუს შემდეგ. მართალია, ჯერჯერობით ქალაქის ღირსშესანიშნაობების და მისი ცენტრალური ქუჩის დათვალიერება ვერ მოვახერხე, მაგრამ რაც ვნახე, იმის მიხედვით საკმაოდ წყნარი და სუფთა ქალაქია. შეზღუდულია მანქანების მოძრაობა. ევროპის 49 ქვეყნის 3 ათასზე მეტი ათლეტის სტუმრობა, ცხადია, ქალაქს ხალისს და სილამაზეს შემატებს. აშკარად იგრძნობა, რომ ტამპერე პრესტიჟული ფორუმის მოლოდინშია, უხვადაა სარეკლამო ბანერები. გვაოცებს ჩვენთვის უჩვეულო თეთრი ღამეები.

**კახა ბერიძე**
**ტამპერედან**

რაგბი

საქართველოს თასი. მეოთხედფინალი

# აია ორ ფრონტზე: თასზე ოთხეულში, ჩემპიონატში?

**ვისოლი/ყოჩები-აია 12:13**

ვისოლი ყოჩები (15-9): მახარაშვილი, გეგენავა, პ.მაისურაძე, გრძელიშვილი, ს.ნიჟარაძე (ელოშვილი 57), ხუხუნეიშვილი (გეგენავა 78), ხელაძე. (1-8) ასეიშვილი (ბარბაქაძე 58), ბრეგვაძე, კიკნაველიძე (გ.ნიჟარაძე 58), ნიკოლაიშვილი (ბელაშვილი 55), არჩუაშვილი, ტყეშელაიძე, ჩიჩუა (მხეიძე 45), ტრაპაიძე.

*4ს: მახარაშვილი.*

ლელო (15-9): მშვენიერაძე, გოშაძე, ჩხიკვაძე, გუდავა (გოგლიჩიძე 56), შალამბერიძე, შარვაშიძე, ხამაშურიძე. (1-8) ლომიძე (გურეშიძე 55), ნარიაშვილი, მოდებაძე, იობიძე, ძაგნიძე, შალამბერიძე, გოგისვანიძე, რევიშვილი.

*ლ: ძაგნიძე. 2ს: მშვენიერაძე. გ: შარვაშიძე.*

მსაჯი: **უ.ნარიმანიძე**

საქართველოს თასის გათამაშებაში ყველა ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვა. თბილისში, „სინათლის" სარაგბო სტადიონზე, ერთ-ერთი მათგანის ვინაობა „ვისოლი ყოჩებისა" და ქუთაისის „აიას" დაპირისპირებამ გამოავლინა. უშელავათო ბრძოლაში ბოლოს მაინც სტუმრებმა იყოჩაღეს და მეტოქე მინიმალური სხვაობით - 13:12 დაამარცხეს.

ეს მატჩი ამ გუნდებს შორის მიმდინარე სეზონში მესამე შეხვედრა იყო. პირველი საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში თბილისში „ვისოლი ყოჩების" გამარჯვებით დასრულდა. მეორე, ქუთაისში არასპორტული ინციდენტის გამო ჩაიშალა. ამ მატჩის ხელახლა გამართვა უახლოეს დღეებშია დაგეგმილი.

„აიამ" ერთი მარცხის გამო რევანში აიღო. რასაც უდიდესი ძალისხმევისა და გარჯის შედეგად მიაღწია. ვერაფრით ვიტყვით, ქუთაისელი მორაგბეები მეტოქეს რამეში ჯაბნიდნენო, მაგრამ ფაქტია, 30-ე წუთამდე „აია" წინ იყო ანგარიშში - 6:0.

ამ დრომდე სტუმართა გუნდი მეტოქის ნახევარზე სულ სამჯერ გადავიდა. სამივეჯერ საჯარიმო გამოიმუშავა, რომელთაგან ფულ ბეკმა **გიგა მშვენიერაძემ** ორი გამოიყენა. ანგარიშში სხვაობის შემცირება „ყოჩებმა" 30-ე წუთზე საჯარიმო დარტყმითვე შეძლეს. ამ შემთხვევაშიც დამრტყმელი ფულ ბეკი გახლდათ. **შავლეგ მახარაშვილმა** ტაიმის მიწურულს კიდევ ერთხელ დაჰკრა საჯარიმოდან და ანგარიში გაათანაბრა - 6:6.

მეორე ტაიმის პირველ ოც წუთში მოედანზე არაფერი შეცვლილა. უპირატესობას ისევ „ყოჩები" ფლობდნენ, რომელიც მახარაშვილმა ორი საჯარიმო დარტყმით კიდევ ექვს ქულად აქცია და მასპინძლები - 12:6 დაწინაურდნენ.

ქუთაისელები მხოლოდ ამის შემდეგ გააქტიურდნენ საგრძნობლად და 62-ე წუთზე ანგარიშში დაწინაურებაც შეძლეს. მათ მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში შერკინება მოიგეს. რამდენჯერმე მოკლე დარტყმა განახორციელეს და საბოლოოდ ბურთი ჩათვლის მოედანში მეორეხაზელმა **თორნიკე ძაგნიძემ** შეიტანა. გარდასახვა ამჯერად მგეზავმა **ლევან შარვაშიძემ** დაარტყა და გაიტანა - 13:12.

დარჩენილ დროში, მსგავს სიტუაციაში, „აიას" კიდევ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა, მეტოქე დაელელოვებინა, მაგრამ „ყოჩებმა" თავის დაცვა შეძლო. მატჩის ბოლო წამებზე კი, უკვე თბილისურ გუნდს შეეძლო თამაშის გადარჩენა. გარემარბ **ირაკლი გეგენავას** გარღვევა სტუმართა გუნდის მორაგბეებმა ზედ ჩათვლის მოედანთან შეაჩერეს და მატჩიც დასრულდა.

„აია" ნახევარფინალში ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს „ლელოს" დაუპირისპირდება. აქ გამარჯვებული ორი მატჩის ჯამში გამოვლინდება. ლელოელებმა მეთხედფინალში სტუმრად დაამარცხეს ბათუმი XV - 26:13.

თასის ნახევარფინალში გაღწევა ქუთაისური გუნდისთვის, ცხადია, წარმატებაა, მაგრამ „აიას" წინ უფრო მნიშვნელოვანი მიზნისთვის, საქართველოს ჩამპიონატის მოწინავე ოთხეულში მოსახვედრად ბრძოლა ელის. მიზანი ძნელად მისაღწევია, რადგან გუნდს აქამდე მხოლოდ ორი გამარჯვება აქვს და სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა, მეშვიდე ადგილზე იმყოფება.

მეორე ფინალისტის ვინაობა „ლოკომოტივისა" და „აკადემიის" პაექრობაში გამოვლინდება. აკადემიელებმა მეოთხედფინალში „უნივერსიტეტის" დამარცხება შეძლეს - 17:10.

| მეოთხედფინალი | |
| --- | --- |
| ბათუმი XV-ლელო | 13:26 |
| აკადემი-უნივერსიტეტი | 17:10 |

**ნახევარფინალი**

ლელო - აია
ლოკომოტივი - აკადემია

**ბესიკ ჯანგავაძე**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სროლა

ევროპის ჩემპიონატი

# ამჯერად, უმედლოდ

ოლიმპიურ ჩემპიონ **ნინო სალუქვაძეს** ევროპის პირველობაზე ამჯერად ხელი მოეცარა - გუშინ ხორვატულ ოსიეკში სპორტული პისტოლეტიდან სროლაში 784,1 ქულით მეექვსეზე გავიდა. არადა, ფინალში მეორე შედეგით შევიდა - მან და ჩეხმა ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა **ლენკა მარუსკოვამ** 585-585 ქულა დააგროვეს, თუმცა დამატებით სერიაში სალუქვაძემ ერთი ქულით აჯობა - 20:19 და შესარჩევი მეორე ადგილზე ჩაამთავრა. ისინი ქულით სახელოვან ბულგარელს, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **მარია გროზდევას** ჩამორჩებოდნენ, თვითონ კი უახლოეს მდევრებს 2-ქულიანი სხვაობით უსწრებდნენ. ძალთა ასეთი განლაგება საბოლოო წარმატების იმედს გვიტოვებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სალუქვაძემ ფინალში ყველაზე ცუდი შედეგი - 196,4 აჩვენა და საბოლოოდ მეექვსეზე გადაინაცვლა. მისგან განსხვავებით, გროზდევამ პირვანდელი მონაპოვარი წარმატებით დაიცვა და 205,0 ქულით ფინალშიც საუკეთესო იყო. საინტერესოა, რომ ფინალში უბრალოდ კი არ აჯობა მდევრებს, ლამის 4-ქულიანი სხვაობით გაუსწრო და 791,0-ით დამსახურებული ჩემპიონი გახდა. გროზდევას ვერ აჯობა, მაგრამ საკვალიფიკაციოს მონაპოვარი მარუსკოვამ ანუ იგივე **ლენკა ჰიკოვამაც** შეინარჩუნა, რომელიც ახლა ქმრის გვარით გამოდის. მან ფინალში მეორე შედეგი - 201,7 აჩვენა და ვერცხლი 786,7 ქულით მოიპოვა, ბრინჯაოს კი, ბევრისთვის მოულოდნელად, აქამდე არაფრით გამორჩეული პოლონელი **სლავომირა ჟპეკი** დაეუფლა - 783,4.

საერთოდ, ეს ჩემპიონატი უცნობების ალმოჩენად იქცა - ფინალში ბელარუსი **კატერინა კრუჩანოკი**, ბრიტანელი **ჯორჯინა გეიკი** და ფრანგები - **სორინ სერატოსი** და **სელინ გობერვილი** მოხვდნენ, როცა მსოფლიოს ჩემპიონები, მონღოლური წარმოშობის გერმანელი **მუნკბაიარ დორჯსურენი**, უკრაინელი **ოლენა კოსტევიჩი**, სერბი მსოფლიოს რამდენიმეგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **იასნა სეკარიჩი** და ამ რანგის სხვა მსროლელები ცხრილის შუაგულში დარჩნენ. ცოტა მოულოდნელია გუნდურ ჩათვლაში ბელარუსთა გამარჯვებაც. მეორეზე გერმანელები გავიდნენ, მესამეზე - ფრანგები.

შეგახსენებთ, რომ სალუქვაძემ თებერვალში პრაღაში, პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ევროპის პირველობაზე ვერცხლი მოიპოვა, ჩემპიონი კი მაშინაც გროზდევა გახდა.

ოსიეკში **ლევან ქადაგიძემაც** ისროლა და არცთუ წარუმატებლად - 53 მონაწილეს შორის 541 ქულით 33-ზე გავიდა.

**ირაკლი თავაძე**

წყალში ხტომა

# მსოფლიოზე სამ წყვილს აჯობეს

რომში დაიწყო და 17 დღეს გაგრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. პირველი სამი დღე ასპარეზი წყალში მხტომელებს დაეთმოთ. მსოფლიოს ჩემპიონატზე **ჭოლა ჭანტურიამ** და **შოთა კორახაშვილმა** სცადეს ბედი. შაბათს ჩვენებურებმა რომის საწყლოსნო კომპლექსში 3 მეტრის სიმაღლის ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში იასპარეზეს. სულ საკვალიფიკაციო ხტომებში 20 გუნდი ჩაება. ქართველებმა ჯამში 335,58 ქულა დააგროვეს. ეს შედეგი მხოლოდ მე-17 ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. ქართველებმა კორეელებს, ლიტველებს და უკრაინელებს აჯობეს. საკვალიფიკაციო ხტომები ამერიკელებმა (**ტროი დუმეისი, კრისტიან იფსენი**) მოიგეს 420,57 ქულით. ფინალში 12 საუკეთესო გუნდი გავიდა. მსოფლიოს ჩემპიონები კი ჩინელები, **კაი ქინი** და **ფენგ ვანგი** გახდნენ 467,94 ქულით. ვერცხლის მედლები ამერიკელებმა მოიპოვეს - 445,59, ხოლო პოდიუმის ყველაზე დაბალი ადგილი კანადელებმა (**ალექსანდრ დესპატიე, რუბენ როსი**) დაიკავეს.

22 ივლისს ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომებში გამოვლენ, ამ დისციპლინაში სულ 51 მონაწილეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პროფესიული კრივი

# ხურციძემ სარტყელი ისევ მოირგო

შაბათს ოდესაში, გადაჭედილ დარბაზში პროფესიულ რინგზე ჩვენი თანამემამულე **ავთანდილ ხურციძე** ავიდა და მორიგი ტრიუმფული გამარჯვება მოიპოვა. მსოფლიოს კრივის ასოციაციის (WBA) რეიტინგით მეოთხე საშუალოწონოსანი ქართველი, რომელსაც ამერიკაში „ჰამერის" (ჩაქუჩა), ხოლო უკრაინაში „ტორნადოს" მეტსახელით იცნობენ, მესამედ იცავდა WBA-ს კონტინენტთაშორის სარტყელს. მისი მეტოქე ბელგიელი **ჯამელ ბაჰკი** იყო. სხვათა შორის, ეს ორთაბრძოლა პირდაპირ ეთერში „ევროსპორტმა" აჩვენა.

ჩხუბი 12-რაუნდიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველმა მოკრივემ უკვე მესამე რაუნდში ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე, მეხუთეში კი გვარიანად სცემა. სწორედ ამის გამო, ბელგიელი მწვრთნელებმა საბრძოლველად აღარ გაუშვეს მე-6 რაუნდში, ხურციძეს კი ტექნიკური ნოკაუტი ჩაეთვალა. ავთანდილ ხურციძე 25 წლისაა, მან პროფესიონალებში 22 ორთაბრძოლა გამართა, აქედან 19 მოიგო (12 ნოკაუტით), 1 ფრედ დასრულდა და ორჯერ წააგო. მისი მწვრთნელია უკრაინელი **ალექსანდრ ლიპტერი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მარჯვნივ ავთანდილ ხურციძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა

# ოქროს დიდი პრიზის ფინალი

## საკანდელიძის მორიგი წარმატება

„ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ ტურნირში საქართველოს „თავისუფალთა" ნაკრებმა თითო ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვა. ბაქოში ფინალში მხოლოდ **მალხაზ ქურდიანი** (60) გავიდა, მაგრამ მასპინძელთა წლევანდელ ევროპის ჩემპიონ **ზელიმხან ჰუსეინოვთან** წააგო, ბრინჯაო კი მძიმეწონოსანმა **გიორგი საკანდელიძემ** ირგუნა. ორი ბრინჯაოს მოპოვება შეგვეძლო 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში, სადაც დამამშვიდებლის ფინალში მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა, ოლიმპიადის ორგზის პრიზიორმა **ლუკა კურტანიძემ** და **ბელდუხ გავაშელიშვილმა** იჭიდავეს, მაგრამ დამარცხდნენ და მეხუთეზე დარჩნენ. არადა, რომ მოეგოთ, მაშინ ეს ნაკრებიც ჩვენი ბერძენ-რომაელების მიღწევას გაიმეორებდა. „თავისუფალთა" ასეთ ცუდ შედეგს ის თუ გაამართლებს, რომ ბაქოში ნაკრების ლიდერები არ ჭიდაობდნენ - მათ უმეტესობა არც შესარჩევ შეჯიბრებებში გამოსულა და ვერც ბაქოში წასასვლელად საჭირო ქულები დააგროვეს, პერსონალურად მიწვეულმა ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **რევაზ მინდორაშვილმა** (84) კი არ იჭიდავა. ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით, ბაქოში, კიდევ რამდენიმე ჩვენებურს არ უასპარეზია.

ეს ტურნირი წლევანდელი ევროპირველობის ბრინჯაოს პრიზიორ ქურდიანისთვის უმძიმესი შეჯიბრება გამოდგა - 5-დან სამ შეხვედრაში დამატებითი დრო დასჭირდა. მაგალითად, პირველ ორ შეხვედრაში ჯერ უზბეკ **დილდოშ მანსუროვთან**, მერე კი **გიორგი ბალიაშვილის** მომგებ უკრაინელ **ევგენი ხალილოვთან**. ყველაზე იოლად ამის შემდეგ იმარჯვა ბელარუს **მაჰამედკამილ მაჰამედაუსთან**, მერე კი ბედმა მეტოქეებად აზერბაიჯანელები არგუნა - ნახევარფინალში **ხაიბულა შაალოვს** გასცდა, მაგრამ ფინალში ჰუსეინოვთან ვერაფერს გახდა. ნატურალიზებული ლეკის უპირატესობა აშკარა იყო, რომელმაც პირველი პერიოდი 2:0, მეორე კი 3:1 მოიგო.

გიორგი საკანდელიძემ თბილისში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზეც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ამ მედლით კი კიდევ ერთხელ დაგვამშვიდა, რომ სამომავლოდ მისი უნდა გვეიმედებოდეს. მან თურქი **იასინ კილიჩი** და აზერბაიჯანელი **მაქსიმ პროხოროვი** ერთი ამოსუნთქვით გაიარა - ძირითად დროში დაჯაბნა, მისი ძლევამოსილი სვლა კი ნახევარფინალში მასპინძელთა კიდევ ერთმა მოქმედმა ევროპის ჩემპიონმა - **ალი ისაევმა** შეძლო (სწორედ ამას გადაეცა **დავით მოძმანაშვილისთვის** ჩამორთმეული ოლიმპიური ლიცენზია). თუმცა ახალგაზრდა საკანდელიძემ ამ გამოცდილ ფალავანს პირველი პერიოდი 5:0 მოუგო! ჩვენდა საუბედუროდ, ალიევი მალევე გამოფხიზლდა და მომდევნო ორი პერიოდში ერთნაირი ანგარიშით - 4:0 იმარჯვა. ვფიქრობთ, საკანდელიძემ ყველაზე საყურადღებო გამარჯვება სანუგეშოს ფინალში მოიპოვა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამან მედალი მოუტანა - იქ **დავით ოთიაშვილის** მომგები რუსი **სოსლან გაგლოევი** დაამარცხა. თან, ანგარიშიც საყურადღებოა - 6:2 და მოგება ძირითად დროში.

კურტანიძის ბაქოურმა გზამ უზბეკებზე გაიარა და **სოლოჰედინ ნაჯიმოვი** საცოდავ დღეში ჩააგდო - თავიდანაც ხომ უგებდა, ბოლოს სულაც ბეჭებზე დააგდო. თანამემამულის გაბითურებისთვის რევანში მომავალმა ჩემპიონმა - **ყურბან ყურბანოვმა** აიღო, რომელმაც კურტანიძეს ორივე პერიოდი 1:0 მოუგო. სანუგეშოში ჩვენებურს უკრაინელი **გიორგი თიბილოვი** არ გამოუცხადდა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ორ სეტში რუს **ალენ ზასეევთან** დამარცხდა.

გავაშელიშვილმა პირველ შეხვედრაში კიდევ ერთი ნატურალიზებული მასპინძელი, ლეკი **ტოხტარ ტემრეზოვი** დაამარცხა და ამით თანაგუნდელი **დაჩი ქერაშვილიც** გააგდო - ტემრეზოვმა წინა წრეში ქართველს მოუგო. სამწუხაროდ, მეტის მოგება ვერც გავაშელიშვილმა შეძლო - ჯერ დამატებით დროში რუს **ასლანბეკ ალიევთან** წააგო, მერე კი ვერც სანუგეშოს ფინალში გახდა რაიმეს აზერბაიჯანელთა კიდევ ერთ გადაბირებულ კავკასიელთან, ევროპის მოქმედ ჩემპიონ **ხეთაგ გასიუმოვთან**.

ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **კობა კაკალაძემ** (66) ბაქოში სამი შეხვედრა გამართა და მხოლოდ ერთში იმარჯვა, **ნიკოლოზ გაგნიძემ** (84) კი პირველივე შეხვედრა წააგო.

დაბოლოს - ამ ტურნირზე გამარჯვებით წარმატებული კარიერა საბოლოოდ დაასრულა მასპინძელთა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნამიკ აბდულაევმა** (55), რომელიც ძალებს უკვე სამწვრთნელო ასპარეზზე მოსინჯავს.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# მატეომ თასი შეინარჩუნა

**ლეილა მესხის** ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დასრულდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თასის გათამაშება. საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 15 ათასი $) მეოთხედფინალში რვიდან შვიდი განთესილი სპორტსმენი გავიდა. სამწუხაროდ, მათ შორის ვერც ერთი მასპინძელი ვერ მოხვდა. ასპარეზობის ფავორიტმა უკრაინელმა **ივან სერგეევმა**, რომელიც რეიტინგში 302-ეა, ძალების დაუძაბავად აჯობა ირლანდიელ **ბარი კინგს**(807) — 6:3, 6:1 და ნახევარფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე იყო რუმინელი **ბოგდან-ვიქტორ ლეონტე** (557), რომელმაც მეოთხედფინალში სერგეევის თანამემამულე **არტიომ სმირნოვი** (408) დაჯაბნა — 6:1, 6:3, თუმცა მას მეორე უკრაინელის დასამარცხებლად ძალები არ ეყო — თითქმის უბრძოლველად დანებდა ტურნირის პირველ ნომერს — 0:6, 2:6. ბადის მეორე ნახევარში იტალიელმა **მატეო მარაიმ** (347) ჯერ უზბეკი **მურად ინოიატოვი**(516) ჩამოიშორა გზიდან — 6:4, 6:2, შემდეგ კი დიდი ბრიტანელი **ჯეიმს პივერის** მძლეველი (6:3, 6:2) ტუნისელი **მალეკ ჯაზირი** (412) დაამარცხა 6:4, 6:4 და ფინალში სერგეევს დაუპირისპირდა. გადამწყვეტი ორთაბრძოლის მხოლოდ პირველი სეტი გამოდგა დაძაბული. იგი უკრაინელმა მოიგო 7:5, სამაგიეროდ, იტალიელმა მომდევნო ორ ხელში წარმატების ყოველგვარი შანსი გადაუწურა მეტოქეს და 6:1, 6:3 გაიმარჯვა, რითაც შარშანდელ მსგავს ტურნირში მოპოვებული ტიტული შეინარჩუნა.

მარაი 23 წლისაა. დიდი შეჯიბრებების მოგებით ჯერჯერობით ვერ დაიტრაბახებს, მაგრამ მცირე ტურნირებზე არაერთხელ მიუღწევია წარმატებისთვის.

რაც შეეხება წყვილთა პაექრობებს, ნახევარფინალი **ივან ანიკანოვმა** და **არტიომ სმირნოვმა** (ორივე — უკრაინა) **ჟილ დე სოუზას** (საფრანგეთი) და **კომიდ სანდერსს** (ბელგია) აჯობეს — 6:2, 6:0, ხოლო **ჯეიმს პივერისა** (დიდი ბრიტანეთი) და **ბარი კინგის** (ირლანდია) დუეტმა დაძაბულ ბრძოლაში **მალეკ ჯაზირისა** და **ბოგდან-ვიქტორ ლეონტეს** ტანდემს სძლია — 1:6, 6:4 (10:2). ეტყობა, გამარჯვებამ დამატებითი სტიმული მისცა ბრიტანულ-ირლანდიურ წყვილს. მისი შეჩერება უკრაინელებმა ვერ შეძლეს. პივერიმ და კინგმა ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით — 6:4, 6:4 მოიგეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.

ერთეულთა და წყვილთა თანრიგებში გამარჯვებულები და პრიზიორები საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა** და პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **ემზარ ზენაიშვილმა** დააჯილდოვეს.

**ლეილა მესხი:** *"მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს, რომელმაც ეს ტურნირი დააფინანსა. ქართული ჩოგბურთისთვის სახელმწიფოს და სპონსორების თანადგომას დიდი მნიშვნელობა აქვს. ორი წელიწადია, უკვე ამის შესანიშნავი მაგალითი გვაქვს. იმედია, მომავალშიც ასე იქნება."*

შაბათს „კოკა-კოლას" თასის გათამაშების საკვალიფიკაციო შეხვედრები დაიწყო, ორშაბათიდან კი ძირითად ბადეში მოპაექრეთა ორთაბრძოლებს ვიხილავთ.

**ვაჟა დანელია**

# ქვაცაბაიას მეორე ტიტული

ქალთა ჩოგბურთში ქართველთათვის უტიტულოდ არც გასულმა კვირამ ჩაიარა - თურქეთის ქალაქ იზმირში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდიც 10 ათასი დოლარი იყო. წყვილთა თანრიგში 21 წლის **სოფიო ქვაცაბაიამ** (537) იპირველა. ეს მისი მეორე ტიტულია პროფესიულ ასპარეზზე, ორივეჯერ მან წყვილთა ასპარეზზე იმარჯვა. პირველად ტურნირი ქვაცაბაიამ მარტში ბელეკში (თურქეთი) მოიგო 10-ათასიანი ტურნირი. ორივე შემთხვევაში ჩვენებურს პარტნიორობას 20 წლის რუსი **ავგუსტა ციბიშევა** (638) უწევდა.

იზმირში ქვაცაბაიასა და ციბიშევას დუეტი მე-4 ნომრად იყო განთესილი. გაგაცნობთ მათ განვლილ გზას ჩემპიონობამდე. პირველი წრე: **მარშალი** (ს. აფრიკა), **რაფული** (ბრაზილია) - 6:2, 6:3. მეოთხედფინალი: **ჩერნაია** (უზბეკეთი), **ლაადანი** (ისრაელი) - 6:0, 6:3, ნახევარფინალი - **აბდურაიმოვა** (უზბეკეთი), **ჰოფერი** (ავსტრალია) - 6:3, 3:6, 10:4, ფინალი - **ლინჰოვა** (ჩეხეთი), **ზანევსკა** (პოლონეთი) - 6:0, 3:6, 10:5. როგორც ხედავთ, სოფიომ სულ ორი სეტი დათმო ტურნირზე, ფინალში კი მათი მეტოქე გუნდი ტურნირზე პირველ ნომრად იყო განთესილი.

ამავე ტურნირის ერთეულთა ბადეში კარგად იასპარეზა **მანანა შაფაქიძემ** (713). განუთესავმა ქართველმა ნახევარფინალამდე გააღწია, სადაც პოლონელ **სანდრა ზანევსკასთან** (816) დათმო - 0:6, 4:6. მანანამ 6 სარეიტინგო ქულა შეიმატა იზმირში გამოსვლისთვის. წყვილებში მან და თურქმა **პემრა ოზგენმა** (409) ნახევარფინალში წააგეს ლინჰოვასა და ზანევსკასთან - 6:1, 3:6, 8:10. მანანა შაფაქიძე და სოფიო ქვაცაბაია სტამბოლის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) იასპარეზებენ.

# ტატიშვილი წინ, ჩახნაშვილი გაჩერდა

26 წლის **მაკა ჩახნაშვილმა** (249) ავსტრიის ქალაქ ბად გაშტაინში WTA-ს ტურნირის (220 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადეში მიიღო მონაწილეობა. პირველ წრეში მაკამ იოლად აჯობა „უაილდ ქარდით" მიწვეულ ავსტრიელ **ლიზა ზუმერერს** (1035) - 6:3, 6:3. მაგრამ ჩვენებურმა ვერაფერი გააწყო მეორე წრეში სლოვაკი **ლენკა ტვაროშკოვას** (239) წინააღმდეგ - 4:6, 4:6 და ავსტრიას დაემშვიდობა.

საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (189) პორტოროჟში „სლოვენიის ღია პირველობაზე" ასპარეზობს, რომლის საპრიზო ფონდი 220 ათასი ამერიკული დოლარია. პირველ საკვალიფიკაციო წრეში ჩვენებურმა ძალზე იოლად აჯობა ჩეხ **ევა ჰრდინოვას** (196) - 6:3, 6:1. მეორე წრეში ანა ავსტრიელ **ნიკოლა ჰოფმანოვას** (218) შეხვდა. ანამ 7:5, 6:1 მოიგო. ტატიშვილმა ამ მატჩზე სულ საათი და 17 წუთი დახარჯა. ახლა ჩვენებურს ერთი მეტოქის დამარცხებაღა ესაჭიროება ძირითად ბადეში გასასვლელად - მან დღეს გერმანელი **ანგელიკ კერბერი** (119) უნდა დაამარცხოს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭიდაობა | ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკებში

# ჭაბუკებიც იწყებენ

21-26 ივლისს სერბული ზრენჯანინი ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომელშიც თავდაპირველად „თავისუფლები" ჩაებმებიან. ჩვენი ნაკრები გუშინ ჩაფრინდა სერბეთში, სადაც **თამაზ ბენდიანიშვილმა** ასეთი შემადგენლობა ჩაიყვანა: **ბექა ბუჯიაშვილი** (42), **ლაშა ტალახაძე** (46), **აკაკი მოწონელიძე** (50), **ზურაბ იაკობაშვილი** (54), **ლევან ქელეხსაშვილი** (58), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (63), **ალექსანდრე ჯაჭვაძე** (69), **ალექსანდრე ამინაშვილი** (76), **ლევან გოგრიჭიანი** (85), **ომარ გუსოშვილი** (100).

ბერძენ-რომაელები ტურნირზე ხვალ საღამოს გაემგზავრებიან და **ვაჟა კრავეიშვილი შმაგი ბოლქვაძეს** (42), **ამირან შავაძეს** (46), **თორნიკე მახარაძეს** (50), **აბესალომ ქათამაძეს** (54), **ფირუზ წულუკიძეს** (58), **ლერი კაჭკაჭიშვილს** (63), **ლაშა გობაძეს** (69), **ლაშა დოლიძეს** (76), **დავით ჩაკვეტაძეს** (85) და **გიორგი ხაბაშვილს** (100) აჭიდავებს.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელ ევროპირველობაზე „თავისუფალთა" ნაკრებმა 3 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვა. თუმცა იმ მედალოსანთაგან ახლანდელ ნაკრებში მხოლოდ ორი ვიცე-ჩემპიონი - მოწონელიძე და იაკობაშვილი დარჩნენ, სხვები კი ახალგაზრდებში გადავიდნენ. საერთოდ, ასაკობრივი ცენზის გამო მწვრთნელს გუნდის საფუძვლიანად გადახალისება მოუხდა.

განახლებულია ბერძენ-რომაელთა ნაკრებიც, რომლის შარშანდელი მონაგარიც 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაოა. კრავეიშვილის ხელში ამჟამად არც ერთი მაშინდელი მედალოსანი არაა.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# მჭედლიშვილმა მეორე იკმარა

ჰოლანდიის ქალაქ ლეიდენში დასრულდა საჭადრაკო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 4 ათასი ევრო იყო. ბოლო ტურის ჩათვლით გაჩემპიონების კარგ შანსს ინარჩუნებდა ქართველი დიდოსტატი **თორნიკე სანიკიძე** (2559). მან მე-7 ტურში შავი ფიგურებით დაამარცხა ამერიკელი ფიდეს ოსტატი **დანიელ ნაროდიცკი**, ხოლო მე-8 ტურში ასევე შავებით ყაიმს მიაღწია ერთპიროვნულ ლიდერ, უკრაინელ დიდოსტატ **სტანისლავ სავჩენკოსთან**. ბოლო ტურის წინ სამ მოჭადრაკეს 6,5-6,5 ქულა დაუგროვდა. ესენი იყვნენ მასპინძელი დიდოსტატი **ერიკ ფანდენ დოელი** (2590), სტანისლავ სავჩენკო (2526) და საერთაშორისო ოსტატი **ბაბუ ლალიტი** (2472). თორნიკე სწორედ ამ უკანასკნელს ეთამაშებოდა ბოლო ტურში თეთრი ფიგურებით. ყველასთვის მოულოდნელად ამ პარტიაში 48-ე სვლაზე გამარჯვება ინდოელმა მოჭადრაკემ მოიპოვა. ფანდენ დოელი და სავჩენკო ყაიმზე შეთანხმდნენ. ასე რომ, ბაბუ ლალიტი, ლეიდენის ტურნირის გამარჯვებული გახდა 7,5 ქულით.

ესპანეთის ქალაქ ბალაგერში გრძელდება მე-14 საერთაშორისო ტურნირი „ობერტ სიუტატ დე ბალაგერი", სადაც სამი ქართველი მონაწილეობს: **ლევან აროშიძე** (2537), **ლევან ბრეგაძე** (2426) და **ზურაბ ჯავახაძე** (2309). მე-6 ტურში ლევან აროშიძე შავი ფიგურებით ეთამაშა დიდოსტატ **ვლადიმირ ბურვაკინს** და დაუზავდა. ბრეგაძემ კი წააგო დიდოსტატ **ნიდიატ მამედოვთან**, თეთრებით მოთამაშე ჯავახაძე ინდოელ **ბჰარატის** დაუზავდა. მე-7 ტურის წინ ბალაგერში 5 ლიდერია 5-5 ქულით. ლევან აროშიძეს 4,5 ქულა აქვს, ლევან ბრეგაძეს - 4, ზურაბ ჯავახაძეს კი - 3. აროშიძე თეთრებით ინდოელ **ადიტია უდეშის** ეთამაშება. ბრეგაძის მეტოქე ქალთა შორის საერთაშორისო ოსტატი **კლაუდია რობლესია**, ჯავახაძე ფიდეს ოსტატ **კუშიკ გირიშს** ხვდება. შეგახსენებთ, რომ ბალაგერის ღია პირველობის საპრიზო ფონდი 13 ათასი ევროა.

საბერძნეთის კუნძულ იკარიაზე დასრულდა საერთაშორისო ტურნირი „იკაროსის საჭადრაკო ფესტივალი - ეგეოსის ღია პირველობა" (საპრიზო ფონდი - 3,6 ათასი $). ამ შეჯიბრებაში ძალები საერთაშორისო ოსტატმა **ბესარიონ ხეცურიანმა** (2331) და ქალთა შორის საერთაშორისო ოსტატმა **ინგა ხურცილავამ** (2261) სცადეს. 9-რაუნდიანი ტურნირი ჩვენებურებმა 6,5-6,5 ქულით დაასრულეს. საბოლოოდ, ხეცურიანს მე-9, ხოლო ხურცილავას მე-10 ადგილი ერგოთ. სამმა მოჭადრაკემ 7,5-7,5 ქულა დააგროვა, უკეთესი კოეფიციენტის წყალობით იკაროსის ფესტივალის გამარჯვებული პოლონელი დიდოსტატი **რობერტ კემპინსკი** გახდა. ბოლო ტურში ბესარიონ ხეცურიანი შავი ფიგურებით დიდოსტატ **ვლადიმირ ტუკმანოვს** (უკრაინა) დაუზავდა, ყაიმი დაფიქსირდა ინგა ხურცილავასა და რუსი საერთაშორისო ოსტატის **ოლეგ სპირინის** პარტიაშიც.

საბერძნეთის ქალაქ ქალკიდაში დასრულდა „ლეროსის ღია პირველობა - არტემისის თასის" პირველი გათამაშება. ქართველი დიდოსტატები **თამაზ გელაშვილი** (2605) და **მიხეილ მჭედლიშვილი** (2592) ახლოს იყვნენ ტურნირის ისტორიაში პირველ გამარჯვებულად შესულიყვნენ, თუმცა საბოლოოდ ისინი პოდიუმის ადგილებით დაკმაყოფილდნენ. ბოლოსწინა, მე-8 ტურში გელაშვილმა თეთრებით აჯობა ბერძენ დიდოსტატ **ათანასიოს მასტროვასილისს**, ხოლო მჭედლიშვილი შავებით დაუზავდა ლიდერს, უკრაინელ დიდოსტატ **ევგენი მიროშნიჩენკოს**. ბოლო ტურის წინ სწორედ მიროშნიჩენკოსა და მჭედლიშვილს დაუგროვდათ 6,5-6,5 ქულა. გელაშვილს კი 6 ქულა ჰქონდა. მჭედლიშვილი ბოლო ტურში ყაიმზე მეტს ვერ გამორჩა უკრაინელ დიდოსტატ **ალექსანდრ შნაიდერს**, არადა, რომ მოეგო ტურნირის გამარჯვებული გახდებოდა, რადგან ვერც მიროშნიჩენკომ შეძლო ნახევარ ქულაზე მეტის მოპოვება. გელაშვილი შავებით უნგრელ დიდოსტატ **დენის ბოროშს** დაუზავდა. ამგვარად, ტურნირი 7-7 ქულით ლიდერებად დაასრულეს ევგენი მიროშნიჩენკომ და მიხეილ მჭედლიშვილმა. სამწუხაროდ, უკეთესი კოეფიციენტის წყალობით ჩემპიონი მიროშნიჩენკო გახდა. 6,5 ქულა დააგროვა გელაშვილმა და მესამე ადგილი დაიკავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# არაბიძის ცხრიდან ცხრა

ფოთში დამთავრდა ნანა ალექსანდრიას სახელობის მე-4 საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც 250 გოგონა და ვაჟი მონაწილეობდა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. გაგაცნობთ მათს ვინაობას:

8-წლიანები. გოგონები. 1. ელენე კოსტავა-8, 2. გვანცა მარგველაშვილი-8, 3. ანასტასია ხარაზი-6,5 ქულა; ვაჟები. 1. ლევან ბაბუხადია-8, 2. კოკა ბუკია-7, 3. ცოტნე მამულაიშვილი-7 ქულა.

10-წლიანები. გოგონები. 1. ელა სვანიძე-7, 2. ნინო დახუნდარიძე-7, 3-6. მარიამ ბალდავაძე, თეა ჭოლაძე, თამარ ფაშკურიძე, ანი ჭანტურია-6,5-6,5 ქულა; ვაჟები. 1. ირაკლი ახვლედიანი-7,5, 2-4. გივი აბსარიძე, ამირან შონია, ლუკა ლიჩელი-7-7 ქულა.

12-წლიანები. გოგონები. 1. მარიამ ჭოლაძე-8, 2. ადა კაკუტია-6,5, მარიამ წულაია-6,5; ვაჟები. 1. გიორგი სიბაშვილი-7, 2. ნოე თუთისანი-6,5, 3-5. მამუკა ანთაძე, რაფიკ ხაჩატრიანი, მამუკა ქოჩაკიძე-6-6 ქულა.

16-წლიანები. გოგონები. 1. მერი არაბიძე-9, 2. ანა შამათავა-6,5, 3. ლელა უგულავა-6 ქულა; ვაჟები. 1. ნოდარ ლორთქიფანიძე-8, 2. გიორგი ნიკოლაშვილი-7,5, 3. ირაკლი ბერაძე-7,5.

**ვაჟა დანელია**

ქართული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. B დივიზიონი

# ქართული ტალღა სკანდინავიას მიადგა

საქართველოს ნაკრებმა 16 ივლისს პორტუგალიასთან წააგო, 17-ში დაისვენა, 18-ში ლუქსემბურგთან გაიმარჯვა, ხოლო გუშინ - სლოვაკეთთანაც მოიგო. ბოლო ორი მატჩის ანგარიშს ზემოთ მოცემული ოქმებიდანაც გაეცნობოდით, აქ კი მოვლენებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მივყვეთ.

17 ივლისს, სენსაციის მომსწრენი გავხდით: ჩვენმა მძლეველმა პორტუგალიამ ლუქსემბურგს ვერაფერი დაუპირისპირა და 19-ქულიანი სხვაობით დამარცხდა – 67:86. როგორც ჩანს, საქართველოსთან მოგებამ პორტუგალიელები გააყეყეჩა და "ჯუჯებთან" სათამაშოდ ყოველგვარი მობილიზების გარეშე გავიდნენ. იმავე დღეს შვედეთმა სლოვაკეთს 80:74 აჯობა.

შაბათს, 18 ივლისს მოედანს დაუბრუნდა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები, რომელსაც წინა დღის ტრიუმფატორი ლუქსემბურგი ელოდა. წინასწარ იოლი გამოსაცნობი იყო, რომ "ჯუჯები" პორტუგალიასთან გამარჯვებას ენერგიას ბოლომდე შეალევდნენ და **დავით უსტიაშვილის** გუნდთან ბოლომდე საბრძოლველად ძალა აღარ ეყოფოდათ. ასეც მოხდა: ლუქსემბურგელები ქართველებს პირველივე პერიოდში 11 ქულით ჩამორჩნენ (14:25) და დარჩენილ დროში კიდევ უფრო ჩამორჩნენ.

საყურადღებო იყო მესამე პერიოდის საფინალო ანგარიში. ქართველებმა ამ ათწუთეულში ლუქსემბურგსაც და პორტუგალიასაც 5-5 ქულა ჩააგდებინეს. ნათქვამია: ძლიერი გუნდი შეხვედრის ბედს მესამე პერიოდში წყვეტსო. ძლიერი შემადგენლობა რომ გვყავს, ცხადია, თუმცა მესამე ათწუთეულის მაღალ დონეზე ჩატარებამ შედეგი მხოლოდ ლუქსემბურგთან გამოილო, რადგან პორტუგალიას პირველ ტაიმში დიდი სხვაობით ჩამოვრჩით და თამაშის შემობრუნება ველარ შევძელით.

ზემოთ ლუქსემბურგელებს "ჯუჯები" ვუწოდეთ. ისინი ხომ ევროპის ჯუჯა ქვეყნის წარმომადგენლები არიან. საქართველოსთან მატჩმა კი გვიჩვენა, რომ მხოლოდ ქვეყანა არ აქვთ ჯუჯა: 40 წუთის განმავლობაში ლუქსემბურგელებმა თითქმის იმდენი მოხსნეს, რამდენიც მხოლოდ **რიჩარდ მათიაშვილმა** – მეტოქემ 13-ჯერ მოხსნა რიჩომ – 12-ჯერ. როგორც ჩანს, ლუქსემბურგელები ჩვენს კალათს ისე შესცქეროდნენ, როგორც მელია – ყურძენს. სამაგიეროდ ქართველები ბატონობდნენ ორივე ფარზე: 54:13 ასეთი სხვაობა დაფიქსირდა მოხსნებში (მეტოქის ფარზე 25 მოხსნა მოგვიგროვდა).

სამწამიან ზონაში რომ არაფერი გამოუვიდათ, ბენილუქსელებმა პერიმეტრიდან ტყორცნებს მიჰყვეს ხელი. მათ ჩვენზე ორჯერ მეტი, 8 სამქულიანი კი ჩააგდეს, მაგრამ ანგარიშს მაინც ვერაფერი დაატყვეს. ან რა უნდა დაეკლოთ, როცა ქართველებმა 31 ორქულიანი გამოიყენეს, ჯუჯა ქვეყნის წარმომადგენლებმა – 11.

საქართველოს ნაკრების სასტარტო ხუთეულის ოთხმა წევრმა 10-ქულიანი ბარიერი იოლად დაძლია. სნაიპერი **ნიკა მეტრეველი** გახდა (18 ქულა), **ლევან შენგელიამ** ორმაგი დუბლი შეასრულა (15 ქულა, 10 მოხსნა), **კოკა ტომარაძემ** 15 ქულა ჩააგდო, ხოლო **თორნიკე შენგელიამ** – 14. რიჩარდ მათიაშვილს პორტუგალიასთან შეხვედრის მსგავსი მონაგარი ჰქონდა: 22 წუთი, 9 ქულა. სხვაობა მხოლოდ ის იყო, რომ ლუქსემბურგთან ერთით მეტი მოხსნა მიითვალა – 12.

■ ■ ■

სლოვაკეთს საქართველოს ნაკრებთან დაპირისპირებამდე ორი წაგება ჰქონდა და თუ ჩვენთანაც დათმობდა, ჯგუფიდან გასვლის თეორიულ შანსსაც კარგავდა. ეს თავად სლავებსაც ესმოდათ, ამიტომაც შეგვიტიეს აქტიურად და საწყის წუთებზე 11:2 დაწინაურდნენ. ისევე როგორც მთლიანად ტურნირზე, სლოვაკეთთან დაპირისპირების საწყის წუთებზეც ბევრი საჯარიმო ავაცილეთ (სულ 36-დან 17 ჩავაგდეთ)... თუ პორტუგალიასთან გასახურებლად 20 წუთი დაგვჭირდა, სლოვაკეთთან 5 წუთიც გვეყო – პირველი პერიოდის ბოლოს დავწინაურდით კიდეც, მაგრამ ბოლო წამებზე მეტოქის იერიში გაგვეპარა და 20:21 დავთმეთ.

მეორე ათწუთეულში ათამაშებული საქართველოს ნაკრები ვერც ერთმა სლოვაკმა შეაჩერა. ვერც მათმა ლიდერმა **გრზნარმა** იყოჩაღა. სხვათა შორის, შარშან საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს (ნიკა მეტრეველი, თორნიკე შენგელია, კოკა ტომარაძე...) სწორედ გრზნარმა მოუგო და სათაურადაც ეს დავწერეთ: "გრზნარმა გამოგვხრა". გუშინ გრზნარზე უფრო მახვილი კბილები ჩვენ აღმოგვაჩნდა და მეორე-მესამე პერიოდებში სლოვაკეთი გორის ატამივით გამოვხარით. მეტოქეს მოხსნებშიც ვაჯობეთ (41:32), ორქულიანებშიც (22:18), სამიანებშიც (8:4), პასებშიც (21:10) და დაფარებებშიც (6:5). სლავებმა მხოლოდ საჯარიმოებში დაგვჯაბნეს – 24-დან 19 ჩაგვიგდეს, ჩვენ 36-დან 17 გამოვიყენეთ. მომდევნო შეხვედრებამდე დავით უსტიაშვილს ამ კომპონენტზე სერიოზული მუშაობა მართებს.

მატჩის ბომბარდირის სტატუსი თორნიკე შენგელიამ დაიბრუნა, რომელმაც პორტუგალიასთან დაპირისპირების მსგავსად 24 ქულა ჩააგდო (8-დან 4 ორქულიანი, 6-დან 4 სამიანი, 11-დან 4 საჯარიმო).

■ ■ ■

დღეს, 18:30 საათზე პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში შვედეთს ვეთამაშებით. თუ ჩვენს შემდეგ ლუქსემბურგმა სლოვაკეთი დაამარცხა, პორტუგალიას, ჩვენ და ლუქსემბურგს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაგვიგროვდება და უკეთესი მაჩვენებლის წყალობით მომდევნო ეტაპზე საქართველო გავა. მაგრამ, როგორ შეიძლება ლუქსემბურგელთა მოგების იმედად ვიყოთ?! გაცილებით მომგებიანია შვედეთის დამარცხება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჯგუფში პირველ ადგილს ჩვენ დავიკავებთ, მეორეც: მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე შვედეთთან ერთად გადავალთ და B ჯგუფის ორი გუნდი დაგვემატება. იმ ეტაპზე შვედეთს აღარ ვეთამაშებით, ამიტომ დღევანდელი მატჩის შედეგი გადაგვყვება და თუ დღეს მოვიგეთ, მეორე ჯგუფურ ეტაპს 2 ქულით დავიწყებთ.

დანარჩენზე ხვალ ვისაუბროთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

18 ივლისი. სკოპიე, მაკედონია

**საქართველო-ლუქსემბურგი 88:53**

25:14, 24:22, 24:5, 15:12

| საქართველო | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წიწვიძე | 22 | 4 | 3 | 3 | 0 | 0 | 1 | 2 |
| ტომარაძე | 26 | 15 | 3 | 0 | 2 | 0 | 2 | 1 |
| თ. შენგელია | 26 | 14 | 9 | 4 | 0 | 1 | 1 | 4 |
| ლ. შენგელია | 24 | 15 | 10 | 1 | 0 | 0 | 2 | 4 |
| მეტრეველი | 25 | 18 | 5 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 |
| ცეკვავა | 21 | 3 | 2 | 1 | 2 | 0 | 2 | 1 |
| მათიაშვილი | 22 | 9 | 12 | 3 | 0 | 1 | 0 | 2 |
| ჩაჩიბაია | 17 | 4 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 |
| ნანიტაშვილი | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მაჭავარიანი | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| აბაიშვილი | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| კვეტენაძე | 5 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |

ლუქსემბურგი: კარტეისერი (10ქ), ჯონსი (8ქ, 4პ), კოსტერი (7ქ), ჰაასი (7ქ), უილსონი (7ქ)...

19 ივლისი. სკოპიე, მაკედონია

**საქართველო-სლოვაკეთი 85:67**

20:21, 23:10, 24:11, 18:25

| საქართველო | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წიწვიძე | 29 | 4 | 6 | 4 | 0 | 0 | 0 | 4 |
| ტომარაძე | 25 | 12 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 |
| თ. შენგელია | 30 | 24 | 8 | 3 | 0 | 3 | 1 | 2 |
| ლ. შენგელია | 23 | 10 | 7 | 2 | 1 | 1 | 3 | 1 |
| მეტრეველი | 30 | 13 | 6 | 5 | 0 | 1 | 3 | 1 |
| ცეკვავა | 15 | 7 | 2 | 2 | 1 | 0 | 4 | 2 |
| მათიაშვილი | 23 | 9 | 6 | 3 | 0 | 1 | 5 | 2 |
| ჩაჩიბაია | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 |
| ნანიტაშვილი | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მაჭავარიანი | 4 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| აბაიშვილი | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კვეტენაძე | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 |

სლოვაკეთი: ჰასანი (14ქ), დორაზილი (13ქ, 6მ), ბალდოვსკი (11ქ.)

| 16 ივლისი | |
|---|---|
| საქართველო-პორტუგალია | 75:78 |
| შვედეთი-ლუქსემბურგი | 91:59 |
| **17 ივლისი** | |
| ლუქსემბურგი-პორტუგალია | 86:67 |
| შვედეთი-სლოვაკეთი | 80:74 |
| **18 ივლისი** | |
| საქართველო-ლუქსემბურგი | 88:53 |
| პორტუგალია-სლოვაკეთი | 92:64 |

| 19 ივლისი | |
|---|---|
| საქართველო-სლოვაკეთი | 85:67 |
| შვედეთი-პორტუგალია | 63:60 |

**სატურნირო ცხრილი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. პორტუგალია | 4 | 2 | 2 | 6 |
| 3. საქართველო | 3 | 2 | 1 | 5 |
| 4. ლუქსემბურგი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 5. სლოვაკეთი | 3 | 0 | 3 | 3 |

**დღეს**

საქართველო-შვედეთი, ლუქსემბურგი-სლოვაკეთი

## ფარიკაობა



# თურქებს გავუსწარით

მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატზე ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში ხმლით მოფარიკავეთა გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გავიდა საასპარეზოდ: **მიხეილ მომცელიძე, ბექა ბაზაძე, სანდრო ბაზაძე** და **მიხეილ მარდალეიშვილი.**

კენჭისყრამ პლეი ოფის პირველივე წრეში რუსეთის ნაკრები შეგვახვედრა, რომელსაც მე-6 რეიტინგი აქვს (ჩვენებს - მე-11). პირველად ფიცარნაგზე მომცელიძე და **ილია მოკრეცოვი** გავიდნენ. მიხეილი თავიდან 3:1 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ რუსმა ზედიზედ 4 შედეგიანი დარტყმა განახორციელა - 3:5. ესტაფეტა ბექა ბაზაძემ და **ნიკოლაი კოვალიევმა** გადაიბარეს. სამი დარტყმის განხორციელება ბექამაც შეძლო - რუსეთი 10:6 დაწინაურდა. სანდრო ბაზაძემ კი ნაკლები წინააღმდეგობა გაუწია **სერგეი რეშეტნიკოვს**, 15:8 რუსეთის სასარგებლოდ.

მატჩი მეორე რაუნდით გაგრძელდა, ილია მოკრეცოვს ამჯერად ბექა ბაზაძე დაუპირისპირდა, ამ ორთაბრძოლის შემდეგ კი რუსთა უპირატესობას აშკარა ეთქმოდა - 20:10. შეხვედრის მიმდინარეობის დეტალურ თხრობას აღარ განვაგრძობთ, რადგან რეალური ბრძოლა აღარც ყოფილა, საქართველოს ნაკრები საბოლოოდ 19:45 დამარცხდა. საქართველოს ნაკრებს ყველაზე მეტი ქულა მიხეილ მომცელიძემ შემატა - 8. 6 ქულა ბექა ბაზაძის ანგარიშზეა, 5 - სანდრო ბაზაძის.

საქართველოს ნაკრები მე-9 ადგილისთვის ბრძოლაზე გადაერთო, ამჯერად უკვე უკრაინელები შეგვხვდნენ. ეს დაპირისპირება გაცილებით დაძაბული გამოდგა. მომცელიძემ საქართველო 5:2 დააწინაურა, მას მერე, რაც **ოლეგ შტურბაბინი** დაამარცხა, ბექა ბაზაძემ **დმიტრი ბოიკოსთან** ორთაბრძოლის შემდეგ ჩვენს გუნდს სამქულიანი უპირატესობა შეუნარჩუნა - 10:7. უკრაინელები წინ მას შემდეგ გავიდნენ, რაც საასპარეზოდ სანდრო ბაზაძე და **ოლექსანდრ ტორშუკი** გავიდნენ - 15:14. ბექას და მიხეილის მონადინებით სხვაობა დიდად არ იზრდებოდა - 25:22. აქ კი სანდრო ბაზაძე აშკარად დაჩაგრა დმიტრი ბოიკომ, ანგარიში 30:23 გახდა და მატჩის ბედიც თითქმის გადაწყდა. საბოლოოდ უკრაინის ნაკრებმა 45:32 მოგვიგო. 12 ქულა ნაკრებს ბექა ბაზაძემ მოუტანა, 11 - მომცელიძემ, 9 - სანდრო ბაზაძემ.

ჩვენები მე-11 ადგილისთვის მასპინძლებს შეხვდნენ და დაძაბულ მატჩში ეს შეხვედრაც დათმეს - 43:45. არადა, ნაკრების ლიდერმა ბრწყინვალედ იასპარეზა, მომცელიძემ 24 ქულა დააგროვა, (10 ქულა ბექა ბაზაძე, 9 - მიხეილ მარდალეიშვილი). საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა ბოლოსწინა, მე-12 ადგილი დაიკავა და მხოლოდ თურქეთის ნაკრებს გაუსწრო.

გუნდურ შეჯიბრებაში სცადა ძალები ჩვენმა ნაკრებმა დაშნით მოფარიკავეთა შორისაც. ამ დისციპლინაში სულ 22-მა ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა. ჩვენმა გუნდმა პლეი ოფის პირველივე წრეში ჰოლანდიის გუნდთან 38:45 წააგო და საბოლოოდ მე-18 ადგილს დასჯერდა. საქართველოს სახელით გამოვიდნენ: **ანზორ ალბრეხტი, დავით არველაძე, დავით ელბაქიძე** და **გიორგი ნაცვლიშვილი.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საზაფხულო ლიგა

# 12 სკამი, სამჯერ 12 ქულა...

თუკი ფილმ "12 სკამის" გმირები რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ 12 სკამს, **ნიკოლოზ ცქიტიშვილს** 12 ქულის სამჯერ მოსაგროვებლად სამი დღე ეყო. იგი ჯერ "მემფისთან" გამორჩა 12 ქულას, შემდეგ – "დეტროიტთან", ბოლოს – "საკრამენტოსთან".

ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაზე მის პირველ და მეორე შეხვედრებზე პარასკევისა და ხუთშაბათის ნომრებში გესაუბრეთ...

ნიკას "ნიუ იორკმა" მესამე შეხვედრა "საკრამენტო კინგსთან" გამართა და მორიგი მარცხი იწვნია – 71:84.

ცქიტიშვილმა წინა მატჩებისგან განსხვავებით პერიმეტრიდან დაბალი შედეგიანობით ისროლა (5-დან 1 სამიანი), ქულათა ნახევარი ფარქვეშიდან ჩააგდო – 9-დან 3 ორქულიანი. 26 წუთში ნიკამ 12 ქულას 4 მოხსნა და 2 დაფარება მიამატა.

"ნიუ იორკისთვის" იღბლიანი ვერც მეოთხე მატჩი გამოდგა, თუმცა მესამე პერიოდის შემდეგ სკიტას თანაგუნდელები 67:60-ს იგებდნენ. დასკვნით მეოთხედში "ხარებმა" თამაში გამოასწორეს და 6 ქულის სხვაობით იმარჯვეს – 90:84.

ამ შეხვედრაში ნიკა ცქიტიშვილს გაცილებით მეტი სათამაშო დრო ერგო – მწვრთნელმა იგი 37 წუთი ათამაშა. ლოგიკურად, უნდა გაზრდილიყო ქართველი ფორვარდის მონაგარიც. ასეც მოხდა: 14 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი, 2 დაფარება. ცქიტომ ოთხივე სამქულიანი მიზანს ააცილა, 8-დან 4 ორქულიანი გამოიყენა, რასაც 6 საჯარიმო მიამატა. როგორც დავინახეთ, ბოლო შეხვედრაში მოხსნების რაოდენობამ იმატა. ამის მიზეზი მწვრთნელის გადაწყვეტილებაა – ნიკა სასტარტო შემადგენლობაში ცენტრის პოზიციაზე გამოჩნდა. როგორც ჩანს, "ნიუ იორკის" მთავარი მწვრთნელი, **მაიკ დანტონი** ცქიტიშვილს სხვადასხვა ამპლუაში ცდის და სწორედ ამის შემდეგ გადაწყვეტს, გაუფორმოს თუ არა კონტრაქტი.

დანტონი ქართველის გარჯით კმაყოფილია თუ არა, ამას კემპის დასრულების შემდეგ გავიგებთ. "ნიუ იორკი" ლას ვეგასის ტურნირზე ბოლო მატჩს დღეს გამთენიისას "ვაშინგტონ ვიზარდსთან" გამართავდა. ამ შეხვედრის შესახებ ხვალ გამცნობთ.

...ვნახოთ, 12-12 ქულის მოგროვება სკიტას "ნიუ იორკის" სკამში ჩადებული კონტრაქტს აღმოჩენაში დაეხმარება თუ არა...

**ვაჟა სიმონიშვილი**



უტევს ნიკა ცქიტიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# ამაგის მემკვიდრეობა



ხოვლე ისტორიული და სპორტული ტრადიციებით ცნობილი სოფელია. აქ აღიზარდნენ სახელგანთქმული ფალავნები — **აკაკი და ქრისტეფორე ნიკოლაიშვილები, ოთარ ყურაშვილი, ზურაბ ბახტაძე, გია ჯალალი, გელა დალაქიშვილი** და სხვები. ამ სოფლიდან იყო **ომარ მერაბიშვილი**, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ ქუთაისში დასახლდა და იქვე ძიუდოს მძლავრი სკოლა ჩამოაყალიბა, ორი ოლიმპიური ჩემპიონი აღზარდა — **დავით ხახალეიშვილი** და **ირაკლი ცირეკიძე**.

სწორედ ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული სახელოვანი მწვრთნელის ხსოვნას მიეძღვნა შესანიშნავად ორგანიზებული გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელსაც მისმა მშობლიურმა სოფელმა უმასპინძლა. ახლა ხოვლეში ალოობაა და დიდი თუ პატარა მინდვრად არის გასული — დროს ეშურებიან მოსავლის დასაბინავებლად. იმ დღეს კი საქმე გვერდზე გადადეს და მთელმა სოფელმა საჭიდაოსთან მოიყარა თავი. 1700-ზე მეტი გულშემატკივარი ესწრებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული საუკეთესო ფალავნების ორთაბრძოლებს. მთავარი პრიზისთვის 9 გუნდი (თითოეულში — 5-5 მოჭიდავე) ეცილებოდა ერთმანეთს. ერთადერთი მცხეთა-მთიანეთის წარმომადგენლებმა აშკარად დაჯაბნეს აჭარის გუნდის წევრები (5:0), თორემ დანარჩენ პაექრობებში გამარჯვებული, ფაქტობრივად, თითო ქულამ გამოავლინა.

მეოთხედფინალში ქვემო ქართლმა ხოვლეს აჯობა 3:2, ასეთივე ანგარიშით თბილისმა შიდა ქართლს მოუგო, იმერეთმა — აფხაზეთს, ხოლო მცხეთა-მთიანეთმა — საგარეჯოს. ნახევარფინალში მცხეთა-მთიანეთმა ქვემო ქართლი დაამარცხა — 4:1, თბილისმა იმერეთს სძლია 3:2. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ქვემოქართლელებმა იმერლებს დააყრევინეს ფარ-ხმალი 3:1.

ფინალური პაექრობაც თვალსასეირო გამოდგა. გულშემატკივრებმა აქ იხილეს ყველაფერი, რითაც გამოირჩევა ჩვენი ეროვნული საუნჯე — ცხარე ორთაბრძოლა, ელვისებური ფანდები, ნერვიული შეჯახებაც, ოღონდ არა წრეგადასული (ისე, მსაჯებს მეტი ფხა და პრინციპულობა გამოეჩინათ, უკეთესი იქნებოდა). მართლაც, რჩეული ბიჭები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სამბოში მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის პრიზიორმა **ლევან ქოჩიევმა** 3:0 სძლია **მიხეილ ოსაძეს** და პირველი ქულა მოუტანა მცხეთა-მთიანეთის გუნდს. გამარჯვების სიხარული განელებულიც არ ჰქონდათ, რომ თბილისელმა **მიხეილ ხომიზურმა** წმინდა გამარჯვებით (**ხვიჩა ნიკლაურს** მოუგო) ანგარიშში წონასწორობა აღადგინა. 80 კილოში **გიორგი ბაინდურაშვილი** და **ხვიჩა ხუციშვილი** უნდა დაჭიდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ წინა შეხვედრაში მიღებული ტრავმის გამო ბაინდურაშვილმა სარბიელზე გამოსვლა ვერ შეძლო. თბილისმა უბრძოლველად ჩაიწერა ქულა. მცხეთამთიანეთელებს **გიორგი ცოციაშვილმა** გამოუკეთა ხასიათი **იოსებ ნიკლაურის** დამარცხებით. დადგა მატჩისა, და, საერთოდ, ტურნირის კულმინაციური წერტილი — მთავარი პრიზის მფლობელის ვინაობა საქართველოს რვაგზის ფალავნის **ალექსი დავითაშვილისა** (ამჯერად იგი მცხეთა-თიანეთის ღირსებას იცავდა) და ძიუდოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორის **ლაშა გუჯეჯიანის** შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ძირითადი დროის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე დავითაშვილმა ელვისებური კისრულით წმინდა გამარჯვება მოიპოვა. მან ამ ტურნირზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღეს ქართულ ჭიდაობაში ბადალი არ მოეპოვება.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს თასები, მედლები და ფულადი ჯილდოები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა** და ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **უშანგი ყურაშვილმა** გადასცეს. ტექნიკური მოჭიდავის პრიზი ლევან ქოჩიევს, ხოლო საუკეთესო მოჭიდავის პრიზი ალექსი დავითაშვილს ხვდა. კასპის ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა ხოვლელი ფალავნები ჩოხებით დაასაჩუქრეს.

შეჯიბრებას (მთავარი მსაჯი **ოთარ ყურაშვილი**) მრავალი სახელოვანი ფალავანი ესწრებოდა.

**გია ნაცვლიშვილი**, სეოკ-ის პრეზიდენტი: — არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ: ნახერხზე ჭიდაობას სხვა ხიბლი აქვს, რაშიც დღევანდელმა ტურნირმაც დაგვარწმუნა. წლეულს შემოდგომით ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 20 წლისთავს აღვნიშნავთ. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით რომელიმე ტრადიციულ სოფელში კიდევ ერთ გრანდიოზულ შეჯიბრებას მოვაწყობთ სოლიდური დაფინანსებით. მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატები დამთავრებული იქნება და იმ ტურნირში თითქმის ყველა უძლიერესი ფალავანი იჭიდავებს. მართლაც, საოცარი სანახაობა იქნება. ქართველებს ეროვნული საუნჯე რომ უყვართ, ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ ხალხმა მინდვრად სამუშაოები მიატოვა და ორთაბრძოლების საყურებლად მოიყარა თავი. ამგვარი მუხტის გაღვივებაა საჭირო მთელ საქართველოში.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ხელბურთი

ინტერვიუ შოთა თევზაძესთან

# ისევ ბაკაუ, ისევ საჩემპიონო ამბიცია




**საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა, მეკარე შოთა თევზაძემ ზაფხულის არდადეგები თბილისში გაატარა. მას საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე შევხვდით. მაშინ გვითხრა, რომ კლუბის შეცვლას არ აპირებდა, და ისიც დაამატა, უფრო ვრცლად სჯობს, მაშინ ვისაუბროთ, როცა რუმინეთში დავბრუნდებიო. იგი უკვე რუმინეთშია და "ბაკაუსთან" ერთად ახალი სეზონისთვის ემზადება.**

**- როგორ შეაფასა კლუბის ხელმძღვანელობამ განვლილი სეზონი?**

- სეზონი დადებითად შეფასდა იმის მიუხედავად, რომ ერთი პერიოდი ჩემპიონობისთვის ვიბრძოდით, საბოლოოდ კი საპრიზო სამეულს მიღმა აღმოვჩნდით. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა, როგორც ჩანს, პირველ რიგში, გამოცდილება არ გვეყო. წარმატებით გამოვედით ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე, სადაც მეოთხედფინალამდე მივაღწიეთ.

**- ახალი სეზონისთვის რუმინეთში მოემზადებით?**

- აქ მზადებისთვის ყველანაირი პირობა გვაქვს შექმნილი და სხვა ქვეყანაში გამგზავრება ნამდვილად არ ღირს. ინტენსიურად ვვარჯიშობთ, ვატარებთ საკონტროლო მატჩებს. თუმცა კი ახალი სეზონის დაწყებამდე ჯერ საკმაო დროა დარჩენილი, სექტემბრამდე ოფიციალური თამაშები არ გვინევს.

**- იმედია, ახალ სეზონშიც "ბაკაუს" ძირითადი მეკარე იქნები...**

- თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ასეც იქნება. ნამდვილად არ ჩამიტარებია ურიგო სეზონი და, ვფიქრობ, ძირითად მეკარეობას ობიექტურად ვიმსახურებ.

**- ხელმძღვანელობა კატეგორიულად ითხოვს ჩემპიონობას?**

- საკითხი ასე პირდაპირ არ დგას. მისაღებ შედეგად ჩაითვლება საპრიზო სამეულში მოხვედრა, თუმცა საჩემპიონო პოტენციალიც გაგვაჩნია. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ წარმოვაჩენთ საკუთარ შესაძლებლობებს. ბუნებრივია, ძალიან ბევრ რამეს გადაწყვეტს მოსამზადებელი პერიოდი, მთავარია, სეზონს ყველანი კარგ ფორმაში შევხვდეთ. არადა, ჩემპიონობა ყველას ძალიან გვწყურია. "ბაკაუს" ეს ტიტული არასოდეს მოუპოვებია.

**- გუნდის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა?**

- დაგვემატა ორი ლეგიონერი, ერთი რუსი და ერთიც უკრაინელი. გუნდი დატოვა ორმა სერბმა მოთამაშემ. არადა, ლეგიონერებზე ლიმიტი რომ არ არსებობდეს, რუმინეთში ყველას ვაჯობებდით. აქაურ გუნდებს მხოლოდ სამი უცხოელის ნება აქვთ და სერბებს ამიტომაც შეელიენ.

**- ევროტურნირებზე ისევ ითამაშებთ?**

- დიახ, მეტიც, ევროპის ფედერაციამ შარშანდელი წარმატება დაგვიფასა და კვალიფიკაციის გარეშე მოგვახვედრა თექვსმეტ საუკეთესო გუნდში.

**- როგორც ვხვდებით, "ბაკაუში" ყველაფერი გაკმაყოფილებს...**

- "ბაკაუსთან" ორწლიანი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული. კიდევ ერთი წელიწადი დამრჩა და თუ შემომთავაზეს, ხელშეკრულებას კიდევ გავახანგრძლივებ. აქ ყველაფერი მომწონს და, იმედია, დიდხანს დავრჩები. "ბაკაუ" ჩემი კარიერის საუკეთესო გუნდია. მოედანზეც ყველაფერი გამომდის და ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებიც მაქვს.

**- საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გადამწყვეტმა მატჩებმა როგორი შთაბეჭდილება დაგიტოვა?**

- ცუდია, რომ ჩემპიონატში ვერ ითამაშა სტუ-"შევარდენმა", მაგრამ ეს ფაქტი "თბილისის" წარმატებას ვერ აკნინებს. ამ გუნდმა ჩემპიონობა ნამდვილად დაიმსახურა. იმედია, მომავალ ჩემპიონატში "შევარდენიც" იასპარეზებს და ამით გათამაშების დონე აიწევს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სუმოს სამყარო

# ტოჩინოშინი: მიზნამდე სამი მოგებაა

ნაგოიას ბაშომ ეკვატორი გადალახა, ელიტაში მოჭიდავე ჩვენი სუმოისტების ბედი კი საპირისპიროდ წარიმართა, თუკი შესანიშნავი სტარტის მერე **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ზედიზედ ხუთი მარცხი განიცადა, **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** ბოლო დღეებში კარგად იასპარეზა. მოკლედ, ტოჩინოშინს 5-3 ბალანსი აქვს, კოკაის - 3-5.

უქმეებზე კოკაიმ ორივე ორთაბრძოლა დათმო, ჯერ **მიაბიამასთან** (ოშიდაშით), შემდეგ **შიმოტორისთან** (იორიკირით). ტოჩინოშინმა კი ჯერ **ტაკამისაკარისთან** დათმო (იორიკირით), შემდეგ კი **კაკიძოეს** მოუგო (ოკურიდაშით).

შაბათს მესამე დივიზიონში მოასპარეზე **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** 200-კილოიან **ტოვანოიამასთან** წააგო უვატენაგეს ილეთით. დღეს გაგამარუ მე-3 მაკუშიტა **სადანოფუჯის** შეხვდება. ჩვენებურს 1-3 მარცხი აქვს და თუ დღესაც წააგო რეიტინგში აუცილებლად დაქვეითდება.

ბაშოს ორი დაუმარცხებელი ლიდერი შემორჩა დიდი ჩემპიონი, მონღოლი **ჰაკუჰო** და ჩემპიონი, ბულგარელი **კოტოოშუ**. მათ 8-0 ბალანსი აქვთ. გუშინ პირველად წააგო **ასაშორიუმ**, რომელსაც პუბლიკის ოვაციების თანხლებით იაპონელთა იმედი **კისენოსატო** გაუმკლავდა.



ტოჩინოშინი (მარცხნივ) კარგად ასპარეზობს

**VII დღე**

| | |
|---|---|
| ჰაკუჰო (ი)-კისენოსატო (ს) | ცუკიოტოში |
| ასაშორიუ (ი)-ივაკიამა (მ3) | ჰატაკიკომი |
| კოტოოშუ (ო)-კიოკუტენჰო (კ) | იორიკირი |
| კაიო (ო)-ტოიოჰიბიკი (მ2) | ჰატაკიკომი |
| კოტომიცუკი (ო)-გოეიდო (მ1) | იორიკირი |
| ჩიოტაიკაი (ო)-არანი (მ1) | ოშიდაში |
| ჰარუმაფუჯი (ო)-კაკურიუ (ს) | ცუკიოტოში |
| კოტოშოგიკუ (კ)-ტოჩიოძანი (მ2) | კიმედაში |
| ბარუტო (მ3)-ტოიონოშიმა (მ7) | უვატენაგე |
| მიაბიამა (მ4)-კოკაი (მ8) | ოშიდაში |
| ტაკამისაკარი (მ4)-ტოჩინოშინი (მ5) | იორიკირი |
| ამინიშიკი (მ5)-ბუშუიამა (მ6) | უვატედაშინაგე |
| ტამანოშიმა (მ6)-კაკიძოე (მ8) | ჰატაკიკომი |
| შოტენრო (მ10)-მოკონამი (მ7) | იორიკირი |
| ტაკეკაძე (მ9)-ფუტენო (მ13) | ჰიკიოტოში |
| ტოჩინონადა (მ9)-შიმოტორი (მ9) | სუკუინაგე |
| ტოკიტენკუ (მ10)-ჰომაშო (მ15) | ჰატაკიკომი |
| იამამოტოიამა (მ11)-დეჯიმა (მ13) | კოტენაგე |
| კასუგაო (მ15)-ტამაავაში (მ11) | იორიკირი |
| ასასეკირიუ (მ12)-ტოსაიუტაკა (მ14) | იორიტაოში |
| იოშიკაძე (მ12)-ვაკაკოიუ (მ16) | იორიკირი |

**VIII დღე**

| | |
|---|---|
| კისენოსატო (ს)-ასაშორიუ (ი) | ცუკიოტოში |
| ჰაკუჰო (ი)-ივაკიამა (მ3) | შიტატენაგე |
| კაიო (ო)-კიოკუტენჰო (კ) | იორიკირი |
| კოტომიცუკი (ო)-ჩიოტაიკაი (ო) | უვატენაგე |
| ჰარუმაფუჯი (ო)-ტოჩიოძანი (მ2) | უვატენაგე |
| კოტოოშუ (ო)-ბარუტო (მ3) | იორიტაოში |
| კაკურიუ (ს)-არანი (მ1) | იორიკირი |
| გოეიდო (მ1)-კოტოშოგიკუ (კ) | იორიკირი |
| ტაკამისაკარი (მ4)-ტოიოჰიბიკი (მ2) | უვატენაგე |
| ტაკეკაძე (მ9)-მიაბიამა (მ4) | ჰიკიოტოში |
| ტოჩინოშინი (მ5)-კაკიძოე (მ8) | ოკურიდაში |
| შოტენრო (მ10)-ამინიშიკი (მ5) | ჰატაკიკომი |
| ტამანოშიმა (მ6)-ტოკიტენკუ (მ10) | ოშიდაში |
| ბუშუიამა (მ6)-იოშიკაძე (მ12) | უვატენაგე |
| მოკონამი (მ7)-იამამოტოიამა (მ11) | იორიკირი |
| ტოიონოშიმა (მ7)-ფუტენო (მ13) | ოშიდაში |
| შიმოტორი (მ14)-კოკაი (მ8) | იორიკირი |
| კასუგაო (მ15)-ტოჩინონადა (მ9) | იორიკირი |
| ტოსაიუტაკა (მ14)-ტამაავაში (მ11) | ცუკიოტოში |
| ასასეკირიუ (მ12)-ვაკაკოიუ (მ16) | ჰატაკიკომი |
| ჰომაშო (მ15)-დეჯიმა (მ13) | იორიკირი |

*შენიშვნა: მარცხნივ გამარჯვებული რიკიში*

**IX დღე**

| | |
|---|---|
| ჰაკუჰო (8-0) | კაკურიუ (3-5) |
| ასაშორიუ (7-1) | ჩიოტაიკაი (4-4) |
| კოტომიცუკი (7-1) | ჰარუმაფუჯი (6-2) |
| კოტოოშუ (8-0) | კაიო (5-3) |
| კისენოსატო (6-2) | არანი (1-7) |
| კიოკუტენჰო (2-6) | გოეიდო (2-6) |
| კოტოშოგიკუ (3-5) | ტოიოჰიბიკი (0-8) |
| ბარუტო (6-2) | ტოჩიოძანი (0-8) |
| ამინიშიკი (6-2) | ივაკიამა (2-6) |
| მიაბიამა (4-4) | ტოიონოშიმა (3-5) |
| ტაკამისაკარი (4-4) | მოკონამი (4-4) |
| ტოჩინოშინი (5-3) | ტაკეკაძე (4-4) |
| კოკაი (3-5) | ბუშუიამა (3-5) |
| ტამანოშიმა (6-2) | შოტენრო (6-2) |
| ტოსაიუტაკა (4-4) | კაკიძოე (2-6) |
| ტოჩინონადა (2-6) | დეჯიმა (2-6) |
| ტოკიტენკუ (6-2) | კასუგაო (5-3) |
| იამამოტოიამა (4-4) | ვაკაკოიუ (2-6) |
| შიმოტორი (4-4) | ტამაავაში (2-6) |
| ასასეკირიუ (4-4) | იოშიკაძე (4-4) |
| ჰომაშო (6-2) | ფუტენო (3-5) |

**სატურნირო მდგომარეობა**

**8-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტოოშუ (ოძეკი)
**7-1:** ასაშორიუ (იოკოძუნა), კოტომიცუკი (ოძეკი)
**6-2:** ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კისენოსატო (სეკივაკე), ბარუტო (მაეგაშირა 3), ამინიშიკი (მ 5), ტამანოშიმა (მ 6), შოტენრო (მ 10), ტოკიტენკუ (მ 10), ჰომაშო (მ 15).
**5-3:** კაო (ოძეკი), ტოჩინოშინი (მ 5), კასუგაო (მ 15).
**...3-5:** კოკაი (მ 8).

ქართველთა დღევანდელი მეტოქეები

**ტოჩინოშინი ტაკეკაძეს წინაალმდეგ: 3:1**

**ტაკეკაძე:**

მე-9 მაეგაშირა, 30 წლის, 170 სმ, 143 კგ, ყოფილი კომუსუბი.



**კოკაი ბუშუიამას წინაალმდეგ: 4:0**

**ბუშუიამა**



მე-6 მაეგაშირა, 33 წლის, 191 სმ, 175 კგ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი. სამი ერი



რიჩი მაკქოუ ლელოს ზეიმობს

# ოლ ბლექსმა მძიმედ, ძნელი გამარჯვებით დაიწყო

**ზელანდია-ავსტრალია 22:16**

ზელანდია (15-9) მულიაინა, ქორი, კ.სმითი, ნონუ, სივივატუ, დონალდი, ქოუანი (ვიპუ 53). (1-8) ვუდქოქი, ჰორი (მეალამუ 45), ტიალატა (ფრენქსი 45), თორნი, როსი (ითონი 71), კაინო, მაკქოუ, სოოიალო (რიდი 61).

ლ: მაკქოუ. 5ს,გ: დონალდი.

**ავსტრალია** (15-9) ეშლი-კუპერი, თერნერი, მორთლოკი, ბარნსი (ოკონორი 62), მიჩელი, გიტო, ბერჯესი (გენია 74). (1-8) რობინსონი, მური, ბაქსთერი (ელიქსანდერი 72), ჰორვილი, შარფი, ბრაუნი (ფოქოქი 50), ჯ.სმითი, პალუ.

ლ: ბარნსი. 3ს,გ: გიტო.

**მსაჯი:** კრეგ იუბერი (ს.აფრიკა)

სამი ერის წლევანდელი გათამაშება ამ ტურნირის ბოლო ოთხი სეზონის გამარჯვებულის, ზელანდიის მოედანზე გაიხსნა. ოკლენდის „იდენ პარკზე", სადაც 2011 წლის მსოფლიო თასის ფინალური შეხვედრა უნდა გაიმართოს, კივებმა მეზობელ ავსტრალიას უმასპინძლეს და 22:16 დაამარცხეს.

თამაშის წინ ორივე გუნდი წამყვანი მორაგბეების ტრავმებზე ჩიოდა. თუმცა საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ასპარეზობაში მონაწილეობა თითქმის ყველა მათგანმა მიიღო. არ უთამაშია მხოლოდ ზელანდიელთა მგეზავს, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მორაგბე **დენ კარტერს**, რომელმაც ტრავმა ჯერ კიდევ მაისში, საფრანგეთის ჩემპიონატში „პერპინიანის" შემადგენლობაში ასპარეზობისას მიიღო და ეროვნულ ნაკრებს, სამი ერის გათამაშებაში, მხოლოდ მეორე ნახევრიდან დაეხმარება.

სამაგიეროდ, ზელანდიელებს დაუბრუნდათ კაპიტანი და გუნდის უდავო ლიდერი **რიჩი მაკქოუ**, რომელიც მუხლის ტკივილს უჩიოდა და ივნისის ტესტები მთლიანად გაუცდა. არადა, ამ კაცის გარეშე „ოლ ბლექსი" მეტოქეებისთვის მთლად მრისხანე ვერაა. რიჩიმ ავსტრალიელებთან მატჩში 71-ე კეპი მოიხვეჭა.

მასზე ბევრად მეტი, მეასე კეპი მიითვალა ავსტრალიელთა მესამეხაზელმა, მაკქოუსავით მბოჭავმა და მლეტელმა **ჯორჯ სმითმა.** მას კარგი შანსი ჰქონდა, საიუბილეო თამაში გამარჯვებით აღენიშნა, მაგრამ კივებმა საკუთარ მოედანზე გამარჯვების მისაღწევად ყველაფერი იღონეს.

არადა, ავსტრალია მეტოქეს 26-ე წუთისთვის უკვე 13:3 უგებდა, რაც ასეთი დონის გუნდების ორთაბრძოლისას საკმარისად დიდი ჰანდიკაპია. ანგარიში ვოლაბებმა დასაწყისშივე, მე-4 წუთზე გახსნეს. ბოჭვისას ზელანდიელები უნიათოდ ირჯებოდნენ, რითაც მშვენივრად ისარგებლა ავსტრალიელთა შუამარბმა **ბერიკ ბარნსმა** და მეტოქე დაალელოვა. **მეთ გიტომ** გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 7:0.

ასეთი დასაწყისი, ცხადია, ბევრისთვის იყო მოულოდნელი. თუმცა ასე არ ფიქრობდნენ ავსტრალიელები. თამაში მათივე უპირატესობით გაგრძელდა. ექვს წუთში გიტომ უკვე საჯარიმოდან შესძინა სამი ქულა თავის გუნდს - 10:0. მომდევნო ათ წუთში გუნდებმა თითო საჯარიმოც გაცვალეს - 13:3 და სწორედ ამის შემდეგ ამუშავდა „ოლ ბლექსი" მთელი თავისი სიმძლავრით.

მასპინძლებმა მოედნის ცენტრთან ახლოს დანიშნული საჯარიმო აუტში გადაიტანეს. დერეფანი ლელოდან ათ მეტრში მოიგეს. მოლით სამიოდ მეტრი წინ წაიწიეს და მერე ბურთი მარჯვნივ გრძელ ფრთაზე გაიტანეს. ზელანდიელებმა რამდენიმეფაზიანი შეტევა სხვადასხვა მიმართულებით ცვალეს.

ვოლაბები თავდადებით იცავდნენ ჩათვლის მოედნის მისადგომებს. საბოლოოდ კი მასპინძელთა შუამარბის **კონრად სმითის** გარღვევას ვერაფერი მოუხერხეს. მან, მოწინააღმდეგეს რომ ხელიდან დაუსხლტა, იქვე რიჩი მაკქოუს აუგდო ბურთი, რომელმაც ორ მეტოქესთან ჭიდილში შეძლო ლელოში შეღწევა. გარდასახვა **სტეფან დონალდმა** დაარტყა ზუსტად - 10:13.

მეორე ტაიმი ისე გამოვიდა, რომ დამრტყმელების - დონალდისა და გიტოს პაექრობის არენად გადაიქცა. უკეთ ზელანდიელი გაისარჯა. მან თავის მონაგარს კიდევ ოთხი ზუსტი საჯარიმო დარტყმა შემატა. რაზეც გიტომ მხოლოდ ერთით უპასუხა.

ზელანდიამ სამი ერის გათამაშება მძიმედ, ძნელი გამარჯვებით დაიწყო - 22:16.

ბესიკ ჯანგავაძე

| დარჩენილი თამაშები |
| --- |
| **25 ივლისი** |
| ს.აფრიკა - ზელანდია |
| **1 აგვისტო** |
| ს.აფრიკა - ზელანდია |
| **8 აგვისტო** |
| ს.აფრიკა - ავსტრალია |
| **22 აგვისტო** |
| ავსტრალია -ზელანდია |
| **29 აგვისტო** |
| ავსტრალია - ს.აფრიკა |
| **5 სექტემბერი** |
| ავსტრალია - ს.აფრიკა |
| **12 სექტემბერი** |
| ზელანდია აფრიკა |
| **19 სექტემბერი** |
| ზელანდია - ავსტრალია |

კალათბურთი. NBA ჰიუსტონ როკეტსი

# არც მინი, არც ტრეისი

გასულ სეზონში „ჰიუსტონ როკეტსი" სერიოზულად ფიქრობდა ჩემპიონობის მოპოვებაზე. ამ გუნდში მივიდა **რონ არტესტი**, ჯანმრთელები იყვნენ ლიდერები - **ტრეისი მაკგრეიდი** და **იაო მინი**... მომავალ წელს კი ჰიუსტონის გულშემატკივრებს პლეი ოფში მოხვედრის იმედიც აღარ აქვთ. იაო მინი ტრავმირებულ მუხლზე ოპერაციას დათანხმდა და მთელ მომავალ სეზონს გამოტოვებს, ხოლო ნახევარ სეზონს ვერ ითამაშებს ტრეისი მაკგრეიდი. არტესტმა კი საჩემპიონო ბეჭდის მოპოვება მოინდომა, გაცილებით დაბალ ხელფასს დათანხმდა და **კობი ბრაიანტთან** „ლეიკერსში" გადავიდა.

შაბათს ექიმებმა ჩინელ ცენტრთან დაკავშირებით საბოლოო განაჩენი გამოიტანეს - იაომ მთელი სეზონი უნდა გამოტოვოს. მომავალ კვირას კალათბურთელს ფეხზე ოპერაციას გაუკეთებენ და ჩინელი გიგანტის დაბრუნებას 2010 წლის ზაფხულის საწვრთნელ ბანაკში დაელოდებიან.

მაკგრეიდი მწყობრში უფრო ადრე ჩადგება. სავარაუდოდ, თებერვალში. მაგრამ ეს ძალიან გვიან იქნება იმისთვის, რომ ტი-მაკმა „ჰიუსტონი" პლეი ოფში გაათრიოს. მით უმეტეს, რომ ტრეისის დიდი დრო დასჭირდება ფორმის აღსადგენად.

„როკეტს" ჰყავს ერთი ახალწვეული - არტესტის დაკარგვისგან გამოთავისუფლებული ფულით „როკეტსმა" **ტრევორ არიზა** შეიძინა, მაგრამ ეს ვერ დაეხმარება გუნდს აღმასვლაში. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **დერილ მორეიმ** სულ რაღაც ერთი თვის წინ წამყვან მოთამაშედ სწორედ იაო დაასახელა. საინტერესოა, ამჟამინდელ „ჰიუსტონში" ვინ უნდა ჩაითვალოს ლიდერად?

სეზონი დღეს რომ იწყებოდეს, „როკეტსის" სასტარტო ხუთეული ასეთ სახეს მიიღებდა: არიზა, **აარონ ბრუქსი, შონ ბატიე, ლუის სკოლა** და **დევიდ ანდერსონი.**

„ჰიუსტონში" ცდილობენ ისეთი სახე მიიღონ, თითქოს ყველაფერი კარგადაა. *„ჩვენ ვერ დაველოდებით ტრეისისა და იაოს დაბრუნებას, - ამბობს მორეი. - ისინი ძლიერი მოთამაშეები არიან, მაგრამ ტრავმები აქვთ და გულხელდაკრეფილი ვერ ვიქნებით. შევეცდებით ახალი მოთამაშეების გაფორმებას. ისეთების, როგორიც ტრევორ არიზაა, რომელიც გუნდთან ერთად გაიზრდება და მრავალ მატჩს მოიგებს".*

ახალი კალათბურთელის გაფორმების სურვილი ერთია და მისი გადაბირება - მეორე. დღეს „როკეტსის" გენერალურ მენეჯერს ცხელი დღეები უდგას. ის მუდმივად მოგზაურობაშია, მოლაპარაკებებს აწარმოებს, მაგრამ არიზას გარდა, წარმატებული ტრანსფერის შესახებ ინფორმაციები არ გვესმის.

პირველ რიგში, „ჰიუსტონი" იაოს შემცვლელის პოვნას ცდილობდა. კლუბი „ორლანდოდან" **დუაიტ ჰოვარდის** დუბლიორის, პოლონელი **მარსინ გორტატის** გადაბირებას შეეცადა, მაგრამ „მეჯიქმა" ეს კალათბურთელი თავისთან დაიტოვა. გასულ კვირას, „როკეტსმა" ესპანეთის „ბარსელონადან" ავსტრალიელი **დევიდ ანდერსონი** შეიძინა, მაგრამ ცხადია, რომ ის იაოს სრულფასოვნად ვერ შეცვლის.

*„მომავალი ოპერაცია კარიერის გაგრძელების საშუალებას მომცემს, - ნაღვლიანად აღნიშნა მინმა. - ძალიან მინდა მოედანზე დაბრუნება და თამაშის განახლება. მადლობელი ვარ ჩემი თანაგუნდელების, მეგობრებისა და გულშემატკივრების, რომელთაგანაც უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობ".*

გულშემატკივრებს ისღა დარჩენიათ, რომ მინსა და მაკგრეიდის სწრაფად გამოჯანმრთელება უსურვონ. როცა ეს ორი კალათბურთელი ერთად თამაშობს, გუნდის მოგება-წაგების შეფარდება ასე გამოიყურება - 146/47. მაგრამ ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა. საინტერესოა, კიდევ როდის ვიხილავთ მათ ერთად?

გია თვალაბეიშვილი



# ტაუმ ოლიმპიური ჩემპიონი აიყვანა

## რენდოლფი მემფისში გადავიდა, ნეში ფინიქსში დარჩება

გასული უქმეებზე ევროპასა და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში რამდენიმე საინტერესო ტრანსფერით აღინიშნა. ევროლიგის მონაწილე ევროპულმა კლუბმა „ტაუგრესმა" NBA-ის კლუბ „დეტროიტ პისტონზის" ფორვარდი **ვალტერ ერმანი** (30 წლის, 206 სმ) გადაიბირა.

გასულ სეზონში არგენტინელი კალათბურთელის საშუალო სტატისტიკური მონაცემები 3.9 ქულასა და 1.8 მოხსნას შეადგენდა. „დეტროიტის" გარდა, ოკეანის გაღმა ერმანი „შარლოტში" თამაშობდა, ევროპაში კი - „უნიკახასა" და „ფუენლაბრადას" შემადგენლობაში.

არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში ვალტერმა 2004 წლის ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიპოვა. მაშინ ერმანი ამერიკასთან ნახევარფინალური მატჩის ერთ-ერთი გმირი გახდა.

■ ■ ■

ერმანის გაშვების შემდეგ, „დეტროიტმა" თავისუფალი აგენტი **კრის უილკოქსი** გაიფორმა. 26 წლის მძიმე ფორვარდმა, რომელიც შარშან „ნიუ იორკისა" და „ოკლაჰომა-სიტის" ღირსებას იცავდა, „პისტონზში" **ანტონიო მაკდაესი** უნდა შეცვალოს, ვინც „სან ანტონიოში" გადავიდა.

შარშან უილკოქსმა რეგულარულში 62 მატჩი ჩაატარა და 7.2 ქულასა და 4.5 მოხსნას მოუყარა თავი. ბოლო სამი წლის განმავლობაში ფორვარდის საშუალო შედეგიანობა 13 ქულას შეადგენს.

■ ■ ■

ყველაზე მნიშვნელოვანი გარიგება „ლოს ანჯელეს კლიპერსსა" და „მემფის გრიზლისს" შორის დაიდო.

კალიფორნიულმა კლუბმა „მემფისში" მძიმე ფორვარდი **ზაკ რენდოლფი** გაუშვა, სანაცვლოდ კი მცველი **კვენტინ რიჩარდსონი** მიიღო.

გასულ სეზონს რენდოლფი „ნიუ იორკში" იწყებდა, შემდეგ კი ლოს ანჯელესში გადავიდა. ფორვარდმა 50 მატჩში საშუალოდ 20.8 ქულა და 10.1 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

„ინდიანა პეისერსი" კონტრაქტს გააფორმებს გამთამაშებელ **ირლ უოტსონთან,** რომელიც „ოკლაჰომა-სიტიმ" დაითხოვა. უოტსონი „პეისერსის" შემადგენლობაში „ტორონტოში" წასულ **ჯარეტ ჯეკს** შეცვლის.

გასულ სეზონში 30 წლის კალათბურთელმა 68 მატჩი ჩაატარა. ის თავის გუნდს 6.6 ქულით, 5.8 პასითა და 2.7 მოხსნით დაეხმარა.

■ ■ ■

„ფინიქს სანზის" ძირითადი გამთამაშებლის **სტივ ნეშის** აგენტი მოლაპარაკებებს აწარმოებს კლუბის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე. ლაპარაკია ხელშეკრულების ორი წლით გაგრძელებაზე და როგორც Arizona Republic წერს, მხარეები ახლოს არიან საბოლოო შეთანხმებასთან.

გია თვალაბეიშვილი

კრივი

# ხანი ახალი ჩემპიონია



შაბათს ბრიტანელმა მოკრივე **ამირ ხანმა** პირველ ნახევრად საშუალო წონაში WBA-ის (მსოფლიოს საკრივო ასოციაცია) ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ხანის ბრძოლა 30 წლის უკრაინელ **ანდრეი კოტელნიკთან** მანჩესტერში გაიმართა. ბრიტანელი უფრო სწრაფ და ზუსტ დარტყმებს ასრულებდა, იმ დროს, როცა მეტოქის დარტყმები გაცილებით ძლიერი იყო, მაგრამ მას იშვიათი ხასიათი ჰქონდა.

12 რაუნდის შედეგების მიხედვით, მსაჯებმა ერთხმად მიანიჭეს გამარჯვება 22 წლის ბრიტანელ მოკრივეს. ასე რომ, კოტელნიკმა დაკარგა WBA-ის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 63.5-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

ხანი 2004 წელს ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი იყო, 2005 წელს კი დებიუტი ჰქონდა პროფესიულ რინგზე. სულ მას 22 ბრძოლა აქვს გამართული, რომელთაგანაც 21 მოიგო.

კოტელნიკთან ბრძოლამდე ცოტა ხნით ადრე ხანი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო პოლიციაში მოხვდა. მანამდე, ბრიტანელი ასევე ორჯერ დააკავეს ავტომობილის წესების დარღვევით მართვის გამო.

■ ■ ■

დაუზუსტებელი ინფორმაციის თანახმად, სუპერმძიმე წონაში WBC-ის ვერსიით საჩემპიონო ბრძოლა უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსა** და ბრიტანელ **დევიდ ჰეის** შორის გერმანიის ქალაქ ფრანკფურტის საფეხბურთო სტადიონზე გაიმართება, რომელიც **50** ათას მაყურებელს იტევს.

ბრძოლის ჩატარების სავარაუდო თარიღი 12 სექტემბერია და მას პირდაპირ ეთერში ამერიკული ტელეარხი HBO გადასცემს.

გია თვალაბეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა. ოქროს ლიგა. IV ეტაპი

# კვარტეტი არ დაშლილა

„ოქროს ლიგის" პარიზის ეტაპის შემდეგ მილიონიანი ჯეკპოტისთვის მებრძოლთა რიგებში ცვლილებები არ მომხდარა. კვლავ ოთხი მძლეოსანი ინარჩუნებს ამ პრესტიჟული სერიის მთავარი პრიზის მოპოვების შანსს.

ერთ-ერთი მათგანია ლეგენდარული რუსი ჭოკით მხტომელი **ელენა ისინბაევა**, რომელმაც „ოქროს ლიგაზე" ზედიზედ მეოთხე სტარტი მოიგო, მაგრამ მოკრძალებული შედეგით ამჯერადაც იმედი გაუცრუა გულშემატკივრებს.

როგორც ყოველთვის, ელენა სტარტზე ბოლო გავიდა და პირველივე ცდაზე 4.65 მეტრი აიღო. ვერც ერთმა მისმა კონკურენტმა ასეთი სიმაღლის დაძლევა ვერ შეძლო. ისინბაევას ნახტომის შემდეგ წვიმა წამოვიდა და რუსი ხტომის სექტორში აღარ გასულა, რადგან გამარჯვება განაღდებული ჰქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ ელენა კვლავ შეხვეული მუხლით ასპარეზობს, თუმცა ერთი ნახტომის შესრულება არ გასჭირვებია.

ჯეკპოტის სხვა პრეტენდენტებიც დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. **კენენისა ბეკელემ** უპრობლემოდ მოიგო 3000 მეტრი. ამერიკელმა **ბერნარდ ლაგატმა** სცადა ეთიოპიელისთვის ხელის შეშლა და პირადი რეკორდიც დაამყარა, მაგრამ ბეკელე გაცილებით სწრაფი იყო. მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა **სანია რიჩარდსმა**, რომელიც უკონკურენციოდაა 400 მეტრზე სირბილში. იმავე სიტუაციას ვხედავთ ქალთა სპრინტში, სადაც **კერონ სტიუარტი** ეტაპს ეტაპზე იგებს. წვიმის მიუხედავად, პარიზში მან 11 წამზე ნაკლებ დროში გაირბინა 100 მეტრი.

ამ კვარტეტს სანუკვარ მილიონამდე ორი ეტაპი აშორებს. თუ ოთხივე მძლეოსანი ბოლომდე წაუგებლად მივა ფინიშთან, მაშინ ორგანიზატორებს მილიონის ოთხად გაყოფა მოუწევთ.

მაგრამ პარიზის ეტაპის მთავარი მოვლენა უკავშირდებოდა ადამიანს, რომელიც მთავარ პრიზზე პრეტენზიას არ აცხადებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წინა ეტაპებზე არ მიუღია მონაწილეობა. პლანეტის საუკეთესო სპრინტერი **უსაინ ბოლტი** პირველად გამოჩნდა წლევანდელ „ოქროს ლიგაზე".

სამწუხაროდ, კაცების სპრინტის სტარტამდე ცოტა ხნით ადრე, მოულოდნელად წვიმა წამოვიდა. მაგრამ ამან უსაინი ვერ შეაჩერა. მან პუბლიკასთან წაითამაშა და მონაწილეების წარდგენისას საფირმო ცეკვა შეასრულა. გვერდით ბილიკზე, მოულოდნელად **დანიელ ბეილიც** აცეკვდა და როგორც ჩანს, ეს მას კარგი შედეგის მიღწევაში დაეხმარა. უსაინმა, როგორც ეს ხშირად ხდება, გვარიანად წააგო სტარტი, მაგრამ შემდეგ თავისი მეექვსე კოსმოსური სიჩქარე ჩართო და წამმზომი 9.79 წამზე გააჩერა! და ეს წარუმატებელი სტარტისა და სველი ბილიკის ფონზე... ბოლტს გამოეკიდნენ ბეილი და უსაინის ნაკლებად ცნობილი თანამემამულე **იუჰან ბლეიკი**. ფინიშის შემდეგ ეს მძლეოსნები უფრო გახარებულები ჩანდნენ, ვიდრე ეტაპის ტრიუმფატორი. ორივემ კარიერის რეკორდები დაამყარა - 9.91 და 9.94. კარგი შედეგებია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლტთან და **ტაისონ გაისთან** საბრძოლველად არასაკმარისი. ბეილი და ბლეიკი ბერლინში მხოლოდ **ასაფა პაუელს** თუ შეებრძოლებიან ბრინჯაოს მედლისთვის.

როგორც იქნა, ევროპაში ჩამოაღწია ამერიკელმა **ჯერემი უორინერმა** და მშვიდად მოიგო თავისი საყვარელი 400 მეტრი. შუბის ტყორცნაში ნორვეგიელი **ტორკილდსენისა** და ფინელი **პიტკამიაკის** მორიგი დაპირისპირება ზედიზედ მეორედ ნორვეგიელმა მოიგო. წელს „ოქროს ლიგაზე" ამ ორი მძლეოსნის ურთიერთდაპირისპირების ანგარიშია - 2:2. მათი მთავარი დუელი მსოფლიოს ჩემპიონატზე შედგება.

ადგილობრივი პუბლიკა გაახარა ორმა ფრანგმა მძლეოსანმა. ჭოკით ხტომაში ამომავალი ვარსკვლავის **რენო ლავინიეს** წარმატება ბევრს არ გაჰკვირვებია, სამაგიეროდ, **მაჰიედინ მეკხისი-ბენაბადას** გამარჯვება 3000 მეტრ სტიპლჩეზში სრული მოულოდნელობა იყო, რადგან ფრანგმა უკან ჩამოიტოვა ცნობილი კენიელი **კემბოი**. სწორედ ეს იყო პარიზის ეტაპის მთავარი სენსაცია.

ახლა „ოქროს ლიგა" სოლიდურ პაუზას აილებს და შემდეგი ეტაპი 28 აგვისტოს გაიმართება, ანუ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში, პლანეტის პირველობამდე სამი საინტერესო სტარტი გველის - 24 ივლისს ლონდონში, 27 ივლისს მონაკოსა და 31 ივლისს სტოკჰოლმში.

**პარიზი (საფრანგეთი)**

**კაცები**

**100 მ.** 1. ბოლტი (იამ) - 9,79; 2. ბეილი (ანტ) - 9,91; 3. ბლეიკი (იამ) - 9,94. **400 მ.** 1. უორინერი (აშშ) - 45,28; 2. ბრაუნი (ბაჰ) - 45,44; 3. დიონი (საფ) - 45,47. **3000 მ.** 1. ბეკელე (ეთი) - 7.28,64; 2. ლაგატი (აშშ) - 7.33,15; 3. ამდუნი (საფ) - 7.37,50. **სამხტომი.** 1. აიდოვუ (ბრიტ) - 17,17; 2. გრეგორიო (ბრა) - 17,12; 3. ჯირატი (კუბ) - 17,07; **შუბის ტყორცნა.** 1. ტორკილდსენი (ნორ) - 88,03; 2. პიტკამიაკი (ფინ) - 86,68; 3. ვასილევსკისი (ლატ) - 82,82.




**ქალები**

**100 მ.** 1. კერონ სტიუარტი (იამ) - 10,99; 2. სტარუპი (ბაჰ) - 11,15; 3. ბეილი (იამ) - 11,26. **400 მ.** 1. რიჩარდსი (აშშ) - 49,34; 2. უილიამს-მილსი (იამ) - 50,39; 3. მონტსშო (ბოტ) - 50,61. **800 მ.** 1. უილარდი (აშშ) - 1.58,80; 2. პიჩიონე (იტა) - 1.58,99; 3. ზბროჟეკი (რუს) - 1.59,13. **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ვლასიჩი (ხორ) - 1,99; 2. ჩიჩეროვა (რუს) - 1,97; 3. დი მარტინო (იტა) - 1,97. **ჭოკით ხტომა.** 1. ისინბაევა (რუს) - 4,65; 2. ფეოფანოვა (რუს) - 4,55; 2. როგოვსკა (პოლ) - 4,55.

**ჯეკპოტის პრეტენდენტები**

**(ოთხი ეტაპის შემდეგ)**

**კაცები**

3000 მ/5000 მ - კენენისა ბეკელე (ეთი)

**ქალები**

100 მ - კერონ სტიუარტი (იამ)
400 მ - სანია რიჩარდსი (აშშ)
ჭოკით ხტომა - ელენა ისინბაევა (რუს)

**დარჩენილი ეტაპები**

28 აგვისტო - ციურიხი (შვეიცარია)
4 სექტემბერი - ბრიუსელი (ბელგია)

ცხელი ხაზი

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ბასტადი** | |
| სიოდერლინგი-მონაკო | 6:3 7:6 |
| **ATP. შტუტგარტი** | |
| შარდი-ჰანესკუ | 1:6, 6:3, 6:4 |
| **WTA. პალერმო** | |
| პენეტა-ერანი | 6:1, 6:2 |
| **WTA. პრაღა** | |
| სკიავონე-ბამერი | 6:7, 2:6 |

TV პროგრამა

**20 ივლისი. ორშაბათი**

**I არხი**

**23:00** გოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:30** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ვილიარეალი.
**08:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რეალი-ზენიტი.
**10:20** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
**11:25** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი.
**15:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ლიონი-ბარსელონა.
**18:10** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-მარსელი.
**20:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:25** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:25** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ბარსელონა.
**23:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:30** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. რეალი-ლივერპული.
**01:25** საფეხბურთო ღამე.
**01:55** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
**03:35** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ბარსელონა.
**05:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი.

**EUROSPORT**

**10:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ბრენდს ჰეტჩი. ბრიტანეთი.
**11:30** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა (სინქრონული ხტომები). ქალები. 10 მ. ფინალი. რომი. იტალია.
**12:00** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა (სინქრონული ხტომები). ქალები. 3 მ. რომი. იტალია (LIVE).
**15:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი. პონტარლიე-ვერბიე.
**16:15** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. კაცები. 10 მ. რომი. იტალია (LIVE).
**19:15** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა (სინქრონული ხტომები). ქალები. 3 მ. რომი. იტალია.
**20:00** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. ქალები. 3 მ. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**21:30** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. კაცები. 10 მ. რომი. იტალია (LIVE).
**21:45** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. ახალი ამბები.
**22:00** ველოსპორტი. „პლანეტა არმსტრონგი". ტელეჟურნალი.
**22:15** მულტისპორტი.
**22:30** პრო-რესტლინგი.
**00:25** მულტისპორტი.
**00:30** ბრძოლა წესების გარეშე.
**01:30** ველოსპორტი. „პლანეტა არმსტრონგი". ტელეჟურნალი.
**01:45** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. ქალები. 3 მ. 1/2 ფინალი. რომი. იტალია.
**03:00** მულტისპორტი.
**03:15** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი 2009

# კონტადორი გაყვითლდა

## ტურ დე ფრანსზე ისვრიან




გუშინდელმა ეტაპმა წლევანდელ ტურში ყველაფერი ლოგიკის მიხედვით დაალაგა. ტურ და ფრანსის 2007 წლის ჩემპიონმა **ალბერტო კონტადორმა**, როგორც მოსალოდნელი იყო, შვეიცარიის ალპებში გადამწყვეტი შეტევა მიიტანა კონკურენტებზე და სავსებით დამსახურებულად მოიპოვა ლიდერის ყვითელი მაისურა.

მე-15 ეტაპის ბოლო შვიდ კილომეტრს ბევრი კითხვისთვის უნდა გაეცა პასუხი. ველომრბოლლები ვერბიეს აღმართს აუყვნენ. თანაგუნდელები **ლენს არმსტრონგი** და ალბერტო კონტადორი **ფრენკ შლეკს** ჩაუდგნენ კვალში და ორი კილომეტრი ერთად აიარეს. ორი დღის წინ ტურის შვიდგზის ჩემპიონმა არმსტრონგმა განაცხადა, რომ თუ მისი ესპანელი კონკურენტი მთებში უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა, ალბერტოს არ გამოეკიდებოდა და სხვა მოწინააღმდეგეებს შეაკავებდა.

სწორედ ასე მოხდა გუშინ. ფინიშამდე ხუთი კილომეტრით ადრე, კონტადორმა თავისი საფირმო გაქცევა დაიწყო, ლენსმა კი ძველი ტემპით განაგრძო რბოლა. რთული სათქმელია, შეეძლო თუ არა ამერიკელს ალბერტოს გამოკიდება, თუ არმსტრონგმა ბოლომდე გუნდის ინტერესები დაიცვა? ასეა თუ ისე, ფინიშზე ლენსმა კონტადორთან წუთ-ნახევარზე მეტი წააგო და ახლა, საერთო ჩათვლაში მათ შორის სხვაობა წუთსა და 37 წამს შეადგენს.

ხვალ ტურზე შესვენებაა. პარიზში ფინიშამდე ექვსი ეტაპია დარჩენილი. ხუთშაბათს გაიმართება დროზე რბოლა და თუ არმსტრონგი ჯერ კიდევ ფიქრობს გამარჯვებაზე, სწორედ აქ უნდა მიიტანოს იერიში კონტადორის პოზიციებზე. ტურის ბედი კი შაბათს, 25 ივლისს ბოლოსწინა ეტაპზე გადაწყდება, როცა ველომრბოლები მონ ვენტოს ლეგენდარულ მთაზე ავლენ.

ბოლოს კი იმ უცნაური ამბის შესახებ, რომელიც მე-13 ეტაპზე მოხდა. რბოლის მსვლელობისას, ტურის ორ მონაწილეს პნევმატური იარაღიდან ესროლეს (!).

BBC News-ის ცნობით, „რაბობანკის" ესპანელი ველომრბოლი **ოსკარ ფრეირე** ბარძაყში დაჭრეს, ხოლო ზელანდიელი **ჯულიან დინი** (Garmin-Slipstream) - მარცხენა ხელის საჩვენებელ თითში.

ინციდენტი 165-ე კილომეტრზე მოხდა. ჯერჯერობით უცნობია, ვინ ისროლა ტყვიები. ფრეირეს თქმით, მან სამი გასროლის ხმა გაიგონა და უცებ ფეხში ტკივილი იგრძნო. მიუხედავად ამისა, ორივე ველომრბოლმა ეტაპის დასრულება მოახერხა, რის შემდეგაც მათ სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. კერძოდ, ფრეირეს ბარძაყიდან პატარა ბურთულა ამოუღეს. პოლიციამ ამ ინციდენტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

შეგახსენებთ, რომ 2007 წელს, ასევე ტურ დე ფრანსის მსვლელობისას, ერთ-ერთი ეტაპის მარშრუტზე ბომბი აფეთქდა. საბედნიეროდ, ველომრბოლებს გავლილი ჰქონდათ ის ადგილი. მაშინ, ამ ინციდენტზე პასუხისმგებლობა ბასკთა სეპარატისტულმა დაჯგუფებამ - ETA-მ აიღო.

**XIV ეტაპი**

**კოლმარი-ბეზანსონი. 199 კმ**

1. **ივანოვი** (რუს, კატიუშა) - 4.37,46; 2. **როუჩი** (ირლ, AG2R) - +0,16; 3. **როულსტონი** (ახ. ზელ, ჩერველო) - იგივე დრო; 4. **მაასკანტი** (ჰოლ, გარმინ-სლიპსტრიმი) - იგივე დრო; 5. **მინარი** (საფ, კოფიდისი) - იგივე დრო; 6. **რიგი** (იტა, ლამპრე) - იგივე დრო... 30. **ე. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +5,36; 31. **ფ. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - იგივე დრო... 35. **ევანსი** (ავსტრა, საილენს-ლოტო) - იგივე დრო... 37. **კონტადორი** (ესპ, ასტანა) - იგივე დრო... 45. **ნოჩენტინი** (იტა, AG2R) - იგივე დრო... 47. **კროიციგერი** (ჩეხ, ლიკუიგასი) - იგივე დრო; 48. **კლოდენი** (გერ, ასტანა) - იგივე დრო; 49. **არმსტრონგი** (აშშ, ასტანა) - იგივე დრო... 60. **მენშოვი** (რუსეთი, რაბობანკი) - იგივე დრო... 70. **ვიგინსი** (ბრიტ, გარმინ-სლიპსტრიმი) - იგივე დრო... 94. **სასტრე** (ესპ, ჩერველო) - იგივე დრო...

**XV ეტაპი**

**პონტარლიე-ვერბიე (შვეიც). 207,5 კმ**

1. **კონტადორი** (ესპ, ასტანა) - 5.03,58; 2. **ე. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +0,43; 3. **ნიბალი** (იტა, ლიკუიგასი) - +1,03; 4. **ფ. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +1,06; 5. **ვიგინსი** (ბრიტ, გარმინ-სლიპსტრიმი) - იგივე დრო; ნიგივე დრო; 7. **ევანსი** (ავსტრა, საილენს-ლოტო) - +1'26; 8. **კლოდენი** (გერ, ასტანა) - +1,29; 9. **არმსტრონგი** (აშშ, ასტანა) - 1,35... 11. **კროიციგერი** (ჩეხ, ლიკუიგასი) - +2,06... 19. **ნოჩენტინი** (იტა, AG2R) - +2,36... 65. **მენშოვი** (რუსეთი, რაბობანკი) - +6,27...

**საერთო ჩათვლა**

1. **კონტადორი** (ესპ, ასტანა) - 63.17,56; 2. **არმსტრონგი** (აშშ, ასტანა) - +1,37; 3. **ვიგინსი** (ბრიტ, გარმინ-სლიპსტრიმი) - +1,46; 4. **კლოდენი** (გერ, ასტანა) - +2,17; 5. **ე. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +2,26; 6. **ნოჩენტინი** (იტა, AG2R) - +2,30... 10. **ფ. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +3,25; 11. **სასტრე** (ესპ, ჩერველო) - +3,52... 14. **ევანსი** (ავსტრა, საილენს-ლოტო) - +4,27... 16. **კროიციგერი** (ჩეხ, ლიკუიგასი) - +4,40... 29. **მენშოვი** (რუსეთი, რაბობანკი) - +11,23...



# კიმიმ ამერიკის ღია დაადასტურა



მსოფლიოს პირველი ჩოგანი **კიმ კლაისტერსი**, რომელიც პროფესიული კარიერის განახლებას აპირებს, დიდ სპორტში დაბრუნების საბოლოო გადაწყვეტილებას ამერიკის ღია პირველობის შემდეგ მიიღებს. 26 წლის ბელგიელი ორწლიანი შესვენების შემდეგ ითამაშებს პროფესიულ ტურში.

*„ბოლო თვეებში პროფესიონალივით ვვარჯიშობ და პრო-ტურში სრულფასოვან დაბრუნებას ვგეგმავ. პრაქტიკულად ნულიდან დავიწყე ყველაფერი, რადგან ორი წელი არ მითამაშია. მაგრამ ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, რომ მე საბოლოოდ დავბრუნდი პროფესიულ ჩოგბურთში. ვნახოთ, როგორ ვიგრძნობ თავს ამერიკის ღია პირველობის შემდეგ და როგორ იმოქმედებს ჩემზე მოგზაურობები. ჩემთვის აბსოლუტურად ახალი გამოცდილებაა ტურნირებზე ოჯახთან ერთად მგზავრობა. 10-12 წლის წინ მშობლებთან ერთად მოვიარე მთელი მსოფლიო, ახლა იმავეს გაკეთება ჩემს შვილთან ერთად მომიწევს და ეს სულ სხვა გამოცდილებაა“*, - ამბობს კლაისტერსი.

შეგახსენებთ, რომ ბელგიელმა ჩოგბურთელმა კარიერა 2007 წლის მაისში შეწყვიტა, 2008 წლის თებერვალში კი გოგონა გააჩინა. „დიდი სლემის“ რიგით მეოთხე ტურნირის წინ კლაისტერსს მეისონისა და ტორონტოს კორტებზე გამოსვლა აქვს გადაწყვეტილი, ამერიკის ღიას შემდეგ კი მის გეგმებშია ლუქსემბურგის ღია პირველობაზე თამაში.

შეგახსენებთ, რომ ათწლიანი კარიერის განმავლობაში კიმმა ერთეულთა თანრიგში 34 ტურნირი მოიგო. 2005 წელს მან ამერიკის ღია პირველობაზე გაიმარჯვა. აგრეთვე უთამაშია როლან გაროსის (2001, 2003), აშშ-ის ღიას (2003) და ავსტრალიის ღიას (2004) ფინალებში.

აქტიური კარიერის განმავლობაში მას 14 მილიონ დოლარზე მეტი აქვს გამომუშავებული.

# შტიხი დაბრუნდა!

სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს გერმანული პრესა. 1991 წლის უიმბლდონის ჩემპიონი **მიხაელ შტიხი**, რომელმაც 12 წლის წინ პროფესიული კარიერა მხრის ტრავმის გამო დაასრულა, ამ კვირას ჰამბურგში ATP-ის ტურნირზე აპირებს გამოსვლას. 40 წლის ჩოგბურთელი წყვილთა თანრიგში თანამემამულე **მიშა ზვერევთან** ერთად ითამაშებს.

*„მიშასთან ერთად ჰამბურგში ხუთი წლის განმავლობაში ვვარჯიშობდი და გაგვიჩნდა იდეა, რომელიმე ოფიციალური ტურნირის წყვილთა თანრიგში გვეცადა ბედი*, - თქვა გერმანელმა. - *ახლა ასეთი შესაძლებლობა გამოინახა. ორივენი ჰამბურგელები ვართ და საკუთარი პუბლიკის წინაშე გამოსვლა სასიამოვნო იქნება“.*

შტიხი ჰამბურგის ტურნირის დირექტორია. ამ შეჯიბრებამ ბოლო დროს პრესტიჟი დაკარგა. გასულ წელს მას „მასტერსის“ სტატუსი ჩამოართვეს, წელს კი ორგანიზატორები ფინანსურ პრობლემებს განიცდიდნენ. მიუხედავად ამისა, ამჯერადაც ჰამბურგში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბება. პირველობისთვის იბრძოლებენ: **ჟილ სიმონი, ფერნანდო ვერდასკო, ნიკოლაი დავიდენკო, რობინ სიოდერლინგი, გაელ მონფილსი, ტომი რობრედო, სტანისლას ვავრინკა და დავიდ ფერერი.**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




**გამოვიდა ივლისის ნომერი**

# ამერიკის ოქროს გასაღები

ამერიკული საჩოგბურთო საზოგადოება დიდი ხანია შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ჰორიზონტზე არ ჩანან **სამპრასის, აგასის, როდიკისა** და „ვეტერანთა“ კატეგორიას მიახლოებული დები **უილიამსების** შემცვლელები. ამიტომაც, საკლუბო ტურნირის - World Team Tennis-ის (WTT) ჩემპიონატში ნორჩი ამერიკელის **მედისონ კისის** დებიუტმა უფრო მეტი ყურადღება მიიპყრო, ვიდრე თეთრ სახლში ამერიკის პრეზიდენტ **ბარაკ ობამასა** და **სერენა უილიამსის** შეხვედრამ.

უმცროსი უილიამსი აღფრთოვანებული გამოვიდა თეთრი სახლიდან. *„პრეზიდენტი ძალიან მომეწონა, ბუნებრივად იქცეოდა*, - აღიარა სერენამ. - *ჩემთვის ნამდვილი მოვლენა იყო ის, რომ ობამას ჩემი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები მოეწონა. ხუმრობით მკითხა კიდეც - აუცილებელია სპორტსმენისთვის ასეთი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ტარებაო. ის აბსოლუტურად მართალია - ასეთი ფეხსაცმლით სიარული ჩემთვის სახიფათოა, მაგრამ ხანდახან ვაიძულებ თავს მათ ჩაცმას“.*

მაგრამ ნამდვილი ხიფათი სერენას 14 წლის მედისონ კისთან მატჩში ელოდა. ეს უკანასკნელი WTT-ის არსებობის ისტორიაში ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე გახდა. ამერიკულ კლუბებს შორის ჩემპიონატი ლეგენდარულმა **ბილი ჯინ კინგმა** 1974 წელს დააარსა. ამ ტურნირს მხარს უჭერენ მსოფლიოს ჩოგბურთის ვარსკვლავები - სამპრასი, აგასი, უილიამსები, **შარაპოვა...** სხვათა შორის, მარია აქ 14 წლიდან თამაშობს. *„ძალიან იოლია უიმბლდონის შემდეგ თქვა: „დავიღალე. არაფრის კეთება არ მინდა. ამის ნაცვლად, მარია ამბობს: „მინდა მხარი დაგიჭიროთ“*, - ეს კინგის სიტყვებია.



მედისონ კისი (მისი გვარი - Keys შეიძლება ითარგმნოს, როგორც „გასაღებები“), რომელიც 1995 წლის 17 თებერვალს არის დაბადებული, შარაპოვაზე 17 დღით უმცროსი იყო, როცა მას დებიუტი ჰქონდა World Team Tennis-ზე. მედისონი ლეგენდარული **კრის ევერტის** ძმასთან - **ჯონ ევერტთან** ვარჯიშობს. მედისონის ოჯახი ამისთვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლასაც კი დათანხმდა და ფლორიდაში, ჯონთან ახლოს გადაბარგდა.

საინტერესოა, რომ მედისონმა თავისი საჩოგბურთო გზა ოთხი წლის ასაკში დაიწყო, როცა ტელევიზორში პირველად იხილა **ვენუს უილიამსი.** გოგონას განსაკუთრებით ჩოგბურთელის კაბა მოეწონა. მაგრამ მამამისმა უპასუხა, რომ ასეთ კაბას მხოლოდ ჩოგანთან ერთად მიიღებდა. ასე არ დაუტოვეს მედისონს არჩევანი.

ასაკის მიუხედავად, კორტზე მედისონ კისი ჩამოყალიბებული მებრძოლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ყველა დროის ყველაზე ძალისმიერ ქალი მოთამაშის - სერენა უილიამსის ფონზე, კისის უკანა ხაზზე თამაში სოლიდურად გამოიყურებოდა.

ბევრმა შეიძლება სკეპტიკურად შეხედოს მედისონისა და სერენას მატჩის ანგარიშს (5:1 კისის სასარგებლოდ). რა თქმა უნდა, ეს მატჩი ვერ შეედრება უიმბლდონის მეოთხედფინალში და ნახევარფინალში სერენას მიერ ნაჩვენებ თამაშს. მედისონიც ჯერჯერობით სკოლის მოსწავლეა. მიუხედავად ამისა, 14 წლის ასაკში უკვე პროფესიულ ლიგაში თამაშობს და უგებს მასზე ორჯერ უფროს სერენას!

რა თქმა უნდა, უილიამსმა სათანადოდ ვერ შეაფასა მეტოქე და არასერიოზულად მოეკიდა საქმეს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - მედისონმა გასაღები მოუნახა სერენას თამაშს და 5:1 მოიგო პროფესიულ კორტზე და არა Nintendo-ს ან Play Station-ით თამაშისას.

კისი WTT-ის ერთ-ერთ გუნდში („ფილადელფია“) შემთხვევით არ მოხვედრილა. მარტში მას დებიუტი ჰქონდა WTA-ის ტურნირში და ყველაზე პრესტიჟულ იუნიორთა ტურნირზე - Orange Bowl-ზე ნახევარფინალს მიაღწია. იქ მას 16 წლის მეტოქეები ჰყავდა, თვითონ კი 13 წლის იყო. დღეს, WTA-ში მოქმედებს წესები, რომელიც მკაცრად ზღუდავს 18 წლამდე გოგონების გამოსვლას პროფესიულ ტურში. ამიტომაც 2013 წლამდე მისი მეტოქეები ცოტას ამოისუნთქავენ და არ მოუწევთ მედისონთან ხშირად შეხვედრა.

# ნოვაკს ტურნირს ართმევენ

სერბეთის დედაქალაქ ბელგრადის ტურნირს, რომელიც მსოფლიოს მეოთხე ჩოგნის **ნოვაკ ჯოკოვიჩის** ოჯახის საკუთრებაა, დახურვის საფრთხე დაემუქრა. საქმე ისაა, რომ ჯოკოვიჩებმა არ შეასრულეს ყველა ვალდებულება და ქალაქის მთავრობის მიერ გამოყოფილი მიწის ნაკვეთი სრულად არ აითვისეს.

ბელგრადის მუნიციპალიტეტთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, ჯოკოვიჩების ოჯახმა 2011 წლამდე 9 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია უნდა ჩადოს კრაგუევაცში გამოყოფილ მიწის ნაკვეთში და დაასრულოს საჩოგბურთო აკადემიის მშენებლობა.

მიმდინარე წლის ბოლომდე ქალაქის ხაზინაში 1.5 მილიონი ევრო უნდა შევიდეს. ბელგრადის მთავრობის წარმომადგენელი აცხადებს, რომ თუ ჯოკოვიჩები ფულს არ გადაიხდიან, მიწაზე უფლებასაც დაკარგავენ და ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდური ჯარიმის გადახდაც მოუწევთ.



თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge